თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ზაზა ნაკუდაშვილი

პირის ღრუს პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის ზოგიერთი ასპექტი და პროფილაქტიკური ღონისძიებების ანალიზი

დისერტაცია

სტომატოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2019

ნაშრომი შესრულებულია შემდეგ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევით დაწესებულებებში:
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტი.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეპრ ლაბორატორია.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ლ. ბახუტაშვილის სახ. სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი.
სამედიცინო ცენტრი „ ტესტი-დიაგნოსტიკისა“.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სამსონ მღებრიშვილი - თსსუ-ის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მედ. მეც. დოქტორი, პროფესორი.
თამარ სანიკიძე - თსსუ ფიზიკის, ბიოფიზიკის, ბიომექანიკის და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ბიოლ. მეც. დოქტორი, პროფესორი.

ექსპერტები:
1. ვლადიმერ მარგველაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
2. ნატო შონია - ასოცირებული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი.
3. ნატალია პავლიაშვილი - ასოცირებული პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის საუნივერსიტეტო სტომატოლოგიის კლინიკის ბაზაზე, თსსუ-ის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის, ბიოქიმიის დეპარტამენტის და საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე 14.12.2017.

დისერტაციის დაცვა შედგება 2019 წლის 23 იანვარს 16 სთ-ზე თსსუ-ის ადმინისტრაციულ კორპუსში I სართულზე (ვაჟა-ფშაველას გამზ.№33).

Tbilisi State Medical University

Zaza Nakudashvili

Some Aspects of Pathogenesis of Oral Lesions Associated with Dental Prosthesis and Analysis of Prophylactic Medical Measures

D I S S E R T AT I O N

To get the

Academic Degree of Doctor of Philosophy (Dentistry)

Tbilisi
2019

The research has been carried out in the following higher educational and scientific research institutions:

Department of Clinical Prosthodontics at Tbilisi State Medical University;

EPR (Electron Paramagnetic Resonance) Laboratory of Tbilisi State Medical University;

Tbilisi State Medical University, Institute of Medical Biotechnology;

Medical Center, "Test Diagnostics".

Supervisors:

Samson Mghebrishvili – Head of the Department of Clinical Prosthodontics at Tbilisi State Medical University; Doctor of Philosophy in Medicine, Professor;

Tamar Sanikidze – Head of the Department of Physics, Biophysics, Biomechanics and Information Technologies; Doctor of Philosophy in Biology, Professor.

Experts:

1. **Vladimer Margvelashvili** - Doctor of Philosophy in Medicine, Professor;
2. **Nato Shonia –** Associate Professor, Doctor of Philosophy in Medicine;
3. **Natalia Pavliashvili** - Associate Professor, Doctor of Philosophy in Medicine.

Preliminary review of the Doctoral Dissertation (evaluation) was held at the joint session of Tbilisi State Medical University A. Urushadze Central Dental Clinic, TSMU Department of Odontology, Department of Periodontology and Oral Mucosal Diseases, Division of Prosthodontics and Maxillofacial Orthopedics, Department of Phantom based Prosthodontics, Department of Clinical Prosthodontics, Department of Biochemistry and the Professional Association of Georgian Stomatologists (14.12.2017).

Dissertation defense will be held at Tbilisi State Medical University administrative building (ferst floor; 33, Vazha-Pshavela Ave) at 16 p m, on 23-th of January 2019.

სარჩევი

	შესავალი	8
I.	ლიტერატურის მიმოხილვა	12
1.1	პროთეზირების თანამედროვე მეთოდები	12
1.1.1	მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზებით ორთოპედიული მკურნალობის მოთხოვნადობა მოსახლეობაში.	12
1.1..2	პირის ღრუს ლორწოვანი გარსში მიმდინარე ცვლილებები პროტეზირებისას.	13
1.1.3	მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად გამოყენებული მასალების დახასიათება.	15
1.1.4	მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გავლენა საპროთეზო ველის ქსოვილებზე.	21
1.1.5	მოსახსნელი პროთეზებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების კორექციის თანამედროვე მეთოდები.	25
1.2	ოქსიდაციური სტრესის როლი პიროს ღრუს პათოლოგიების პათოგენეზში	28
1.3	Jurkat და MDCK უჯრედები, როგორც პრეპარატების კვლევის სამოდელო სისტემა	36
II.	კვლევის მასალა და მეთოდები	39
2.1	კლინიკური მასალა;	39
2.1.1.	პაციენტების ჯგუფების დახასიათება	39
2.2.	გამოკვლევის კლინიკური მეთოდები	43

2.2.1.	შილერ -პისარევის სინჯი	43
2.2.2.	Lange-ს ჰიგიენური ინდექსი API	43
2.2.3.	გინგივიტის ინდექსი PMA	45
2.3.	ლაბორატორული კვლევები	46
2.3.1.	ნერწყბში ცილა P-53-ის განსაზღვრა	47
2.3.2.	ნერწვში ციტოკინების განსაზღვრა	47
2.3.3.	პაციენტების ნერწყვში რედოქს ბალანსის განსაზღვრა	47
2.3.4.	პაციენტების ნერწყვში თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობის განსაზღვრა	47
2.3.5.	ნერწყვში ანტრანილის მჟავის შემცველობა	48
2.4.	ექსპერიმენტული მოდელირება Jurkat და MDCK უჯრედების სამოდელურ სისტემაში	48
2.4.1.	უჯრედული კულტურა	49
2.4.2.	უჯრედების სტიმულაცია	49
2.4.3	საპროთეზო მასალების შედარებითი ტოქსიურობის შეფასება	49
2.4.4.	ოქსიდაციური რედოქს-ჰომეოსტაზის შეფასება	50
2.4.5.	გამდინარე ციტომეტრიის მეთოდი	50
2.4.6	უჯრედულ კულტურაში უჯრედების უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების შესწავლა	51
2.5	სტატისტიკური ანალიზი	51
III.	საკუთარი კვლევის შედეგები.	52
3.1	მოსახსნელ პროთეზებთან შეგუების პირობებში კლინიკური გამოკვლევების შედეგები.	52
3.2	მოსახსნელ პროთეზებთან შეგუების პროცესში მიღებული კლინიკური მაჩვენებლები	52
3.3	ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა	55
3.4.	ნერწვში ციტოკინების განსაზღვრა	57

3.5.	პაციენტების ნერწყვში რედოქს ბალანსის განსაზღვრა	60
3.6.	პაციენტების ნერწყვში თავისუფალი აზოტის ჯანგის შემცველობა	63
3.7.	ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობა	65
3.8.	ექსპერიმენტული მოდელირება Jurkat უჯრედების სამოდელო სისტემაში	65
3.8.1.	საპროთეზო მასალების Prothyl hot, Perflex Flexi Nylon და Ftorax-ის ტოქსიკურობის შესწავლა Jurkat უჯრედების სამოდელო სისტემაში	66
3.8.2.	საპროთეზო მასალის ზემოქმედება Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტურ პოტენციალზე	67
3.8.3.	საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat უჯრედებში ლიპო- და სუპეროქსიდრადიკალების წარმოქმნის ინტენსიბობაზე	70
3.8.4.	საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat უჯრედების ენერგეტიკულ პოტენციალზე	71
3.8.5.	საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat უჯრედების იმუნოლოგიურ მაჩვენებლებზე	75
3.9.	საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon და Ftorax ტოქსიკურობის შესწავლა MDCK უჯრედების სამოდელო სისტემაში	76
IV.	მიღებული შედეგების განსჯა	78
	დასკვნები	108
	პრაქტიკული რეკომენდაციები	110
	გამოყენებული ლიტერატურა	111
	Introdaction	129
	დანართი 1 სტატიები	138

შესავალი

ორთოპედიული სტომატოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კბილთა რკალის დეფექტების აღდგენა, დაკავშირებული არის პირის ღრუში ადამიანის ორგანიზმისათვის უცხო სხეულის - ანუ კბილთპროთეზების შეტანასთან. პროთეზები კომპლექსურ ზემოქმედებას ახდენენ პირის ღრუს ყველა შემადგენელ ნაწილზე, რაც დაკავშირებულია კბილთპროთეზების როგორც მექანიკურ, ასევე ტოქსიურ-ალერგიულ ზემოქმედებასთან და აგრეთვე, პირის ღრუში პათოგენური ფლორის გავრცელებასთან. პროთეზის მექანიკური ზეწოლა, ან მისი მასალის ალერგიულ-ტოქსიკური ზემოქმედება პირის ღრუს ლორწოვანის ქსოვილში ანთებითი და დისტროფიული პროცესების განვითარებას განაპირობებს.

სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პირის ღრუს ქსოვილებთან ურთიერთქმედება და მათი მავნე (უარყოფითი) ეფექტის პრევენცია, კორექცია – სტომატოლოგიის ერთ-ერთი გადაუწყვეტელი და აქტუალური პრობლემაა. სტომატოლოგიის ამ დარგში კვლევები ძირითადათ ახალი საპროთეზო მასალების შემუშავებისაკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ინტერესს იპყრობს ახალი სამკურნალო პრეპარატების, საშუალებების და მეთოდების ძიება, რომლებიც მოქმედებენ პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის სხვადასხვა ჯაჭვებზე. აქედან გამომდინარე პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის საკვანძო რგოლების დადგენა და სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პათოლოგიური ზემოქმედების კორექციაზე მიმართული ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების ჩატარება თანამედროვე ორთოპედიული სტომატოლოგიის ძალზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

პროთეზინდუცირებული გართულებების აცილება და ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების და კორექციის გზების შემუშავება, ამ გართულებების და დაზიანებების განვითარების მოლეკულური მექანიზმების დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

პირის ღრუს ქსოვილების მეტაბოლიზმის და სიცოცხლის უნარიანობის რეგულაციაში უჯრედული რედოქს-ჰომეოსტაზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული მოსახსნელი პროთეზების ხმარების

დროს პირის ღრუს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის პარამეტრების და ანთებითი მარკერების ძიებისადმი მიძღვნილი კვლევები ვფიქრობთ, რომ საკმაოდ მცირეა და არასაკმარისია. ამ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა სასარგებლო იქნება პროთეზირების მეთოდების დახვეწისა და პოსტპროთეზული გართულებების აცილებისათვის. ორთოპედიული სტომატოლოგიის ერთ – ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, პირის ღრუს პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის და პრევენციის თანამედროვე უფრო მეტად სრულყოფილი მეთოდების შექმნა.

კვლევის მიზანი:

ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენების დროს პირის ღრუში თავისუფალრადიკალური ჟანგვის პროცესების, ანთებითი მარკერების ცვლილებების დადგენა და პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობის ანალიზი.

კვლევის ამოცანები:

-მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს პაციენტების ნერწყვში ოქსიდაციური მეტაბოლიზმის პარამეტრების (მჟავე-ტუტოვანი მაჩვენებელი (PH); ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზა, სუპეროქსიდდისმუტაზა) აქტივობის ცვლილებების შესწავლა.

-მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს, პაციენტების ნერწყვში პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების (IL-1β, IL-10) შემცველობის ცვლილებების შესწავლა.

- მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს, პაციენტების ნერწყვში NO-ს შემცველობის ცვლილებების დადგენა.

-მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს პაციენტების ნერწყვში აპოპტოზის (ცილა P-53-ის ექსპრესიის ინტენსივობის) ცვლილებების დადგენა.

-საპროთეზო მასალების პროანთებითი, ტოქსიური აქტივობის დადგენა ადამიანის ლეიკემია ტრანსფორმირებული მომწიფებულ T უჯრედებზე (Jurkat უჯრედები) და MDCK უჯრედებზე. უჯრედების კულტურა (გამოყოფილია S. H. Madin და N. B. Darby მიერ ზრდასრული კოკერ სპანიელის თირკმლის ქსოვილიდან (1958 წლის სექტემბერი) .

-პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურობის ანალიზი.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:

ორთოპედიული სტომატოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას პირის ღრუს პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის ახალი საკვანძო რგოლების შესწავლა წარმოადგენს. ამასთან ერთად მნიშვნელოვანი მეცნიერული კვლევის საგანი არის პოსტპროთეზული დაზიანებების მკურნალობისა და პრევენციის თანამედროვე უფრო მეტად სრულყოფილი მეთოდების შექმნა.

შესწავლილი იქნა სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული მოსახსნელი პროთეზების ხმარების დროს პირის ღრუს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის პარამეტრების და ანთებითი მარკერების ცვლილებები.

პროთეზების მატარებელ პაციენტების ნერწყვში გამოკვლეული იქნა ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზა, სუპეროქსიდდისმუტაზა), პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების (IL-1β, IL-10) , NO-ს შემცველობისა და აპოპტოზის ცილა P-53-ის ექსპრესიის ინტენსივობის ცვლილებები.

საპროთეზო მასალების პროანთებითი, ტოქსიური აქტივობა დადგინდა ადამიანის ლეიკემია ტრანსფორმირებული მომწიფებულ T უჯრედებზე (jurkat უჯრედები) და MDCK უჯრედებზე.

ექსპერიმენტებში უჯრედულ კულტურაზე სტანდარტულ პირობებში მოხდა შემოთავაზებული საპროთეზო მასალების ტოქსიურობის და აქტივობის შეფასება და გვერდითი ეფექტების გამოვლენა.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება:

ჩატარებული გამოკვლევების არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროთეზმატარებელთა ნერწყში მიმდინარე ცვლილებები დაგვეხმარება უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ ანთებითი პროცესების პათოგენეზი.

შეფასებული იქნა სხვადასხვა საპროთეზო მასალა, გამოვლინდა მათი დამაზიანებელი მოქმედების მოლეკულური მექანიზმები. უკანასკნელი დაგვეხმარება სხვადასხვა პაციენტებისათვის ინდივიდუალურად საპროთეზო მასალის შერჩევაში და არასასურველი გართულებების თავიდან აცილებაში. პროთეზირებულთა ნერწყვში გამოვლენილი ცვლილებები პროთეზებთან შეგუების პროცესში თავის მხრივ დაგვეხმარება ობიექტურად შევაფასოთ პროფილაქტიკური საშუალებების მოქმედების ეფექტურობა, რაც წარმოადგენს პრაქტიკულ ღირებულებას.

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა თსსუ-ის კლინიკური ორთოპედიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის, ბიოქიმიის დეპარტამენტის და საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის გაერთიანებულ სხდომაზე.

პუბლიკაციები:

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 8 სამეცნიერო სტატია.

დანართი - 1.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა:

დისერტაცია წარმოდგენილია 140 გვერდზე, შედგება შესავალისაგან, ლიტერატურის მიმოხილვისაგან, კვლევის მასალა და მეთოდებისაგან, საკუთარი კვლევის შედეგებისაგან, მიღებული შედეგების განსჯისაგან, დასკვნებისაგან, პრაქტიკული რეკომენდაციებისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისაგან. დისერტაცია ილუსტრირებულია 7 სურათით, 11 ცხრილით, 17 დიაგრამით და 3 ფიგურით, ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებულია 197 წყარო.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. პროთეზირების თანამედროვე მეთოდები

1.1.1. მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზებით ორთოპედიული მკურნალობის მოთხოვნადობა მოსახლეობაში

დღესდღეისობით კბილების დაკარგვის შემდეგ, მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზებით ორთოპედიული მკურნალობა საკმაოდ გავრცელებულია. 40 წლის ასაკში მოსახლეობის დაახლოებით 15-20% საჭიროებს მოსახსნელი კონსტრუქციით პროთეზირებას (31,61,86,176). 60 წლის ზემოთ კი დაახლოებით 60% (7,44).

ამავე დროს დღითიდღე იზრდება მოსახლეობის პროთეზირების საჭიროება მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზებით და აღწევს დაახლოებით 26,9 – 77,3% (103). სხვადასხვა ავტორების აზრით ამის მიზეზები შემდეგია:

1.კბილების ადრეული დაკარგვა, რაც გამოწვეულია კარიესული პროცესებით და მათი გართულებების ზრდით (31).

2.პაროდონტის დაავადებების ინტენსიური ზრდა (41,61).

3.ასაკოვანი პაციენტების ხვედრითი წონის გაზრდა. 60 წლის ზემოთ მოსახსნელ პროთეზირებას საჭიროებს მოსახლეობის დაახლოებით 98 % (135).

4.ძველი პროთეზების ახლით შეცვლის აუცილებლობა (3-4 წლის შემდეგ) (104,124,193).

5.ზოგადად პირის ღრუს ასაკობრივი ცვლილებები, კერძოდ კი საპროთეზო ველის ცვლილება (145,165,178).

6.პაციენტების მოთხოვნა, რომ პროთეზირებისას მიღწეული იყოს მაღალი ესთეთიკური შედეგები (167).

7.პროთეზის კონსტრუქციის არასწორი შერჩევა, რაც შეადგენს დაახლოებით 15-21% (22,41,81).

8.პროთეზის ცუდი ფიქსაცია (16,22,35,42).

9.პროთეზის დამზადების ტექნიკური ციკლის დარღვევა (1,11,26;65,74).

ამრიგად ლიტერატურული მონაცემების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მოსახლეობის 15 დან 96%-მდე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საჭიროებენ მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზების დამზადებას. აქედან ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზები ესაჭიროებათ დაახლოებით 58%-ს, ხოლო მთლიანი დაახლოებით 42%-ს (54,9,85).

პროთეზირებულთა 26% ვერ ხმარობენ მოსახსნელ პროთეზებს სხვადასხვა მიზეზების გამო. ხოლო 37% იძულებულია შეეგუოს უხარისხოდ დამზადებულ პროთეზებს (14,27).

1.1.2. პირის ღრუს ლორწოვანი გარსში მიმდინარე ცვლილებები პროთეზირებისას.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსი, როგორც ყველა სხვა პროლიფერადი ქსოვილი ორგანიზმში მუდმივ განახლებას განიცდის, რომელიც განპირობებულია მისი უჯრედების პროლიფერაციის, აპოპტოზის, მომწიფებისა და დიფერენციაციის განმსაზღვრელი მოლეკულური მექანიზმებით (105). ამ მექანიზმებში ზრდის ფაქტორებს, ციტოკინებს (148,170), ინტეგრინ-, კალციუმ- და რედოქს-დამოკიდებულ სასიგნალო სისტემებს (აზოტის ჟანგი NO), ჟანგბადის რეაქციულ ნაერთებს (სუპეროქსიდრადიკალები) და სხვ. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება (110, 132,170).

პირის ღრუს ლორწოვანის ფიზიკური დაზიანება, პროთეზების მიერ, ღრძილის ეპითელურ ქსოვილში უჯრედების დესტრუქციას, წყლულების, ან რეპარაციული ფიბროზული შემაერთებელი ქსოვილის ჭარბწარმოქმნას განაპირობებს. ბიოაქტიური ნივთიერებები (მაგალითად, ფისი (Polimethylmethacrylate), ან სხვა), რომლებიც გამოიყენება მოსახსნელ პროთეზებში, როგორც საბაზისო მასალა, ადამიანის პირის ღრუში მონობლასტოიდური უჯრედებისა და მურინულ ფიბრობლასტების მასიურ დაღუპვას აპოპტოზის და ნეკროზის გზით იწვევს (112). პირის ღრუში პროთეზების ხმარებით განპირობებული ალერგიულ-ანთებითი, ან ტრავმული დაზიანებები და მიკრობული ინტერვენცია ოქსიდაციური და იმუნური პროცესების ცვლილებებს განაპირობებს; შედეგად ადგილი აქვს პირის ღრუს ეპითელური და მეზენქიმალური ქსოვილების მეტაბოლიზმის მოდულაციას, რაც

ჟანგვითი სტრესის, უჯრედების პროლიფერაციის გაძლიერების, ან აპოპტოზის ინტენსიფიკაციის სახით, დნმ-ის პლოიდიზმის ცვლილებებით (99), ანთებითი პროცესის განვითარებით (სტომატიტი, გინგივიტი), პაროდონტის ქსოვილების დესტრუქციით, ან განლევით ვლინდება.

პირის ღრუს ქსოვილის უჯრედების პროთეზინდუცირებული კვდომის ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია (150). პროთეზინდუცირებული დაზიანების სხვადასხვა ეთიოლოგიური ფაქტორების (მექანიკური, ალერგიული, ტოქსიური, ბაქტერიული) ზემოქმედებით პაროდონტის ქსოვილებში ადგილი აქვს ანთებითი პროცესების განვითარებას, ლოკალურად ლიმფოციტების და მაკროფაგების დაგროვებას, პროანთებითი ციტოკინების, ზრდის ფაქტორების და ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებულ წარმოქმნას (133), რაც უჯრედული და სუბუჯრედული მემბრანების დარღვევას, ფერმენტული კომპლექსების, სისტემების ფუნქციონირების მოშლას და პირის ღრუს ქსოვილების დაზიანებას განაპირობებს (163).

ამ პროცესების მექანიზმებში ჟანგბადის რეაქციულ ნაერთებს, როგორც აქტივირებული იმუნური უჯრედების და, აგრეთვე, დაზიანებული პაროდონტის უჯრედების დარღვეული მეტაბოლიზმის პროდუქტებს, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. რეაქციული ჟანგბადის არაკომპენსირებადი (ანტიოქსიდანტური სისტემის მიერ) პროდუქცია ლოკალური ოქსიდაციური სტრესის განვითარებას იწვევს და პაროდონტის ქსოვილების სასიცოხლო ციკლის დარღვევას, ქსოვილის დესტრუქციას სიცოცხლე-სიკვდილის მექანიზმების მოშლას (აპოპტოზის განვითარებას) უწყობს ხელს.

ბოლო წლების კვლევებით დადგინდა, რომ პირის ღრუს უჯრედების პროლიფერაცია, ტერმინალური დიფერენციაცია და სპონტანური აპოპტოზის რეგულაცია პროაპოპტოზური ცილა P53-ის მონაწილეობით მიმდინარეობს (78,171). ცილა P53-ის აქტივობის რეგულაცია ხორციელდება ჟანგბადის რეაქციული ნაერთების და აზოტის ჟანგის (NO-ს) მეშვეობით (161). ასე რომ, სხვადასხვა სახის საპროთეზო მასალის გამოყენების პირობებში პროთეზინდუცირებული ანთების პათოგენეზური რგოლის - ცილა P53-ზე, ჟანგბადისა და აზოტის რეაქციულ ნაერთების, ანტიოქსიდანტური დაცვის

სისტემის – შესწავლა სასარგებლო იქნება სტომატოლოგიური პროთეზების მასალების პათოლოგიური ზემოქმედების კორექციასა და პრევენციისათვის.

1.1.3. მოსახსნელი პროთეზების დასამზადებლად გამოყენებული მასალების დახასიათება.

თანამედროვე გამოკვლევების შედეგად ორთოპედიულ სტომატოლოგიაში მოსახსნელი პროთეზების დამზადებისას გამოყენებული მასალები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს (1,68,90,125):

1. საკმარისი მდგრადობა მინიმალური სისქის დროს.
2. ელასტიურობა და მინიმალური დეფორმაცია ღეჭვითი ზეწოლის დროს.
3. არ უნდა ჰქონდეს მასენსიბილიზირებელი აქტიურობა.
4. საკმარისი სიმყარე და მინიმალური ცვეთადობა.
5. ნერწყვისა და საკვები ნივთიერებების მიმართ ინდიფერენტულობა.
6. დაბალი ხვედრითი წონა და დაბალი თერმული გამტარობა.
7. არ უნდა იყოს ტოქსიური პირის ღრუს ორგანოებისა და ზოგადად ორგანიზმის მიმართ.
8. დამზადების ტექნოლოგიის სიმარტივე და შეკეთების შესაძლებლობა.
9. სუნის არ ქონა.
10. ფერის მსგავსება პირის ღრუს ქსოვილებთან და მისი სტაბილურობა დროის გასვლის შემდეგ.
11. ხელმისაწვდომობა.

ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, ძირითადად გამოიყენება აკრილის და მეტაკრილის მჟავების წარმოებულებისაგან დამზადებული პლასტმასები (32). რომელთა გამოყენებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1936 წლიდან, რადგანაც ეს მასალები გამოირჩეოდნენ მაღალი ტექნოლოგიურობით, დაბალი ფასით და ხელმისაწვდომობით (65,74). 90-98% მოსახსნელი პროთეზები მზადდება პოლიმეტაკრილის მონომერისაგან. აკრილის ჯგუფის პლასტმასის მასები

ხასიათდება მრავალი დადებითი თვისებებით. ისინი ახდენენ რბილი და მაგარი ქსოვილების იმიტაციას, ადვილად იღებებიან, აქვთ კარგი ტექნოლოგიური თვისებები და მყარად უერთდებიან ლითონსა და ხელოვნურ კბილებს (18,45,83).

ორთოპედიულ სტომატოლოგიაში, გამოყენებული პლასტმასები, იყოფიან ძირითადად 2 ჯგუფად: პლასტმასები, რომლებიც პოლიმერიზდება მაღალ ტემპერატურაზე და თვითგამყარებადი პლასტმასები. მოსახსნელი პროთეზირებისთვის ძირითადად გამოიყენება მაღალ ტემპერატურაზე პოლიმერიზებადი პლასტმასები, რადგანაც ამ ჯგუფის პლასტმასებს აქვს კარგი ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები, ვიდრე ხაზოვან პოლიმერებს. ამ მასალების გამოყენებამ, საშუალება მისცათ საგრძნობლად გაეუმჯობესებინათ მოსახნელი პროთეზების ხარისხი (13,21,101). თუმცაღა ამ ჯგუფის პლასტმასების ხანგრძლივმა გამოყენებამ გვიჩვენა, რომ მოსახნელი აკრილის პოლიმერებისგან დამზადებული პროთეზები, იწვევს ანთებითი და დისტროფიული ხასიათის ცვლილებებს, საპროთეზო ველის ქსოვილებსა და პირის ღრუს ლორწოვან გარსში, რაც განპირობებულია პროთეზის ბაზისის მექანიკური და ტოქსიური-ალერგიული ზემოქმედებით (14.). 80-იან წლებში ჩატარებულმა ლაბორატორიულმა გამოკლევებმა აჩვენა, რომ პროთეზებთან შეუგუებლობის ძირითადი მიზეზი თავისუფალი მონომერისა და სხვა ტოქსიური ნივთიერებების გამოყოფა, პოლიმერიზაციის მერე პროთეზის ხმარებისას და შესაბამისად მკურნალობის ძირითადი საშუალება ამის აღკვეთაა. ამან საფუძველი ჩაუყარა მეთოდის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს პოლიმერიზაციის მაქსიმალურ სრულყოფას. რის მისაღწევადაც ხდებოდა სხვადასხვა დანამატების დამატება, ულტრაბგერით დამუშავება, CBR და სხვა ფიზიკური ზემოქმედებების გამოყენება (91,92,98). თუმცაღა სასურველი შედეგი მიღწეული ვერ იქნა, ამიტომ გრძელდებოდა კვლევები. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტი იყო პლასტმასაში ჰიდროქსილ აპათიტების დამატება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა პოლიმერიზაციის დრო მონომერის მოლეკულების კონვერსიის კოეფიციენტის გაზრდა და ასევე პლასტმასის კოლონიზაციური რეზისტენტობის გაზრდა ანუ მიკროორგანიზმების კოლონიების რაოდენობის შემცირება მის ზედაპირზე (60).

მიუხედავად ამ მიღწევებისა, იმ პაციენტების რაოდენობა, ვისაც არ აკმაყოფილებდა პროთეზირების შედეგები ან განიცდიდნენ მათ უარყოფით ზემოქმედებას კი არ მცირდებოდა არამედ განიცდიდა მატების ტენდენციას (4;6.). გარდა ადგილობრივი ტოქსიური ზემოქმედებისა, ზედმეტი მონომერი აგრეთვე იწვევს ადამიანის ორგანიზმში ზოგად ცვლილებებს. მათ შეიძლება მივაკუთნოთ კუჭნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებების გამწვავება, ასთენიზაცია (66.). შესაბამისად მხოლოდ საპროთეზო მასალისა და დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფა ვერ წყვიტავს კბილთპროთეზირებით გამოწვეულ პრობლემებს. ამიტომ, ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გავითვალისწინოთ ის რთული პროცესები, რომელიც მიმდინარეობს კბილთპროთეზებსა და პირის ღრუს ქსოვილებსა და მთლიანად ადამიანის ორგანიზმს შორის (2,59,74).

ამ მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, სცადეს პოლიმეთილმეტაკრილატის პტოთეზების ბაზისის ქვეშ გამოეყენებინათ სარჩულები, ელასტიური პოლიმერული მასალებისგან, მაგრამ ამანაც ვერ მოხსნა მთლიანად ეს პრობლემები. ამის შედეგად მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აქტიური მხარდაჭერა მიიღო მიმართულებამ შეექმნათ ახალი საპროთეზო მასალები, ელასტიური თერმოპლასტიური პოლიმერული მასალებისგან, წარმოებულები პროპილენისა და ნეილონისაგან. აღსანიშნავია, რომ ნეილონის მასალები არ შეიცავენ მონომერს, ახასიათებთ მაღალი ელასტიურობა, გამძლეობა და ესთეტიური თვისებები (ფერი, ფაქტურა და სხვა.), რითაც მაქსიმალურად უახლოვდება პირის ღრუს ლორწოვანი გარსის შესახედაობას. აგრეთვე ნეილონის მასალების უპირატესობაა ნაწილობრივი მოსახსნელი პროთეზების დამზადება ლითონის საფიქსაციო სამაგრების გარეშე (სურ. 1.) აღმოჩნდა, რომ ნეილონის კლამერები საკმაოდ მდგრადია, ნაკლებად ტრამვულია და ესთეტიურია, რადგანაც შესახედაობით პრაქტიკულად არ განსხვავდებიან ღრძილის ქსოვილისაგან (სურათი 2.). ასევე აღსანიშნავია, რომ იმ პაციენტებში ვინც ხმარობდნენ ნეილონის (იგივე ელასტიურ) პროთეზებს ალერგიული რეაქციები არ აღინიშნებოდა (76).

სურ. 1. ნაწილობრივი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზრბი ლითონის კლამერებით.

17/10/2018 11:10

17/10/2018 11:09

სურათი 2. ნეილონის მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზები თავისივე კლამერებით.

1.1.4. მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გავლენა საპროთეზო ველის ქსოვილებზე.

მოსახსნელი პროთეზების აკრილის ჯგუფის პლასტმასების გავლენის შესწავლა საპროთეზო ველის ქსოვილებზე ითვლის 60 წლიან ისტორიას. შეიძლება ითქვას, რომ ეს კვლევები დაიწყო მათი გამოყენებისთანავე (15,60,65,70,79,80).

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ძირითადად ტარდებოდა კლინიკური გამოკვლევები (14,17,86,138,151). დაწვრილებით იყო აღწერილი პროთეზებთან შეუგუებლობის სიმპტომები, ურთიერთკავშირი პროთეზის ხმარებისა და საპროთეზო ველს შორის. შემდგომ წლებში უფრო მეტ ყურადღებას აქცევდნენ აკრილის პლასტმასების, ქიმიკო-ტოქსიურ ზემოქმედებას საპროთეზო ველის ქსოვილებზე და ადამიანის ფსიქოლოგიურ ფაქტორებს (18,167,175).

80-იან წლებში ალერგოლოგიის განვითარებასთან ერთად გაირკვა პლასტმასებისადმი ალერგიულობის ფაქტორები, რაც პროთეზებთან შეუგუებლობის მიზეზი იყო, მაგრამ, მხოლოდ მცირე რაოდენობების პროთეზმატარებლებს აღმოაჩნდათ ეს პრობლემა (70,167). ამ დროის კვლევებმა აჩვენა, რომ პროთეზებთან შეუგუებლობის ძირითადი მიზეზი, მაინც იყო ზედმეტი მონომერისა და სხვა ტოქსიური ნივთიერებების გამოყოფა პირის ღრუში პროთეზების ხმარებისას (20). შესაბამისად შემდგომი კვლევები გაგრძელდა პოლიმერიზაციის მეთოდის სრულყოფისა და პლასტმასების ტოქსიურობის შემცირებისკენ (92). თუმცა, ვერც ამ მცდელობებმა მიიყვანა მკვლევარები სასურველ შედეგებამდე.

მრავლობითი მცდელობების შედეგად, რათა ჩამოეყალიბებინათ პროთეზების გავლენის კლასიფიკაცია საპროთეზო ველზე მივიდნენ დასკვნებამდე, რომ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს კლინიკური გამოვლინებები, რომლებიც აღინიშნება საპროთეზო ველზე (107,117).

ზ.ა. ვასილევის კლასიფიკაცია (1955წ.):

1. კეროვანი (ორგანული) მწვავე და ქრონიკული ანთება.
2. გავრცობითი (დიფუზური) მწვავე და ქრონიკული ანთება.

3. პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მგრძნობელობის დარღვევა მისი გარეგნულად ნორმალური შესახედაობის მიუხედავად.

ლანგერის კლასიფიკაცია:

1. ლორწოვანი გარსის ქრონიკული გაღიზიანება, გამოწვეულია:

ა) მექანიკური ფაქტორებით (პროთეზის ბაზისის შეუსაბამობა საპროთეზო ველის მიმართ, არასწორი არტიკულაცია).

ბ) ბაქტერიებით და მათი ტოქსინებით.

გ) ალერგიით.

2. პროთეზებთან შეუგუებლობა ლორწოვანი გარსის ქრონიკული ანთების ნიშნების გამოვლენის გარეშე.

3. პროთეზებთან შეუგუებლობა ლორწოვანი გარსის ქრონიკულ ანთების ნიშნების გამოვლენით.

ე.ი. გავრილოვი (17) გამოყოფს გვერდითი მოვლენებს, ტოქსიურ, ალერგიულ და ტრავმულ ზემოქმედებას საპროთეზო ველზე:.

შეიძლება ითქვას, რომ საპროთეზო ველის ქსოვილების პროთეზისადმი საპასუხო რეაქციების ყველაზე დიდი ჯგუფები დაკავშირებულია ლორწოვანი გარსის ანთებასთან ე.წ. საპროთეზო სტომატიტები (33,34,48).

პროთეზული სტომატიტების კლასიფიკაციები გამოყოფენ ძირითადად მწვავე და ქრონიკულ ფორმებს:.

1. სხვადასხვა ეთიოლოგიის პროთეზული სტომატიტები. (ტრავმის გარდა).

1.1. კეროვანი.

1.1.2. კატარალური

1.1.3. ჰიპერპლასტიური

1.2. გავრცობილი

1.2.1. კატარალური

1.2.2. წყლულოვანი

1.2.3. ჰიპერპლასტიური

2. ტრავმული სტომატიტი

2.1. კატარალური

2.2 წყლულოვანი (დეკუბიტალური)

ზ.ს. ვასილენკოს (1968წ.) მიხედვით ლორწოვანი გარსის ანთების მიზეზებია:

1. პროთეზის შიდა ზედაპირის ხორკლიანობა.
2. პროთეზის გრძელი და ბასრი კიდეები.
3. პროთეზის დეფორმირებული ბაზისი.
4. ხელოვნური კბილების მრავლობითი კონტაქტების არ არსებობის შემთხვევაში მომატებული საღეჭი ზეწოლა საპროთეზო ველზე.
5. პროთეზების ცუდი ფიქსაცია და სტაბილიზაცია.
6. წვეტიანი ძვლის შვერილები.

Z. Zak (1989) (197) და სხვა ავტორებიც აღნიშნავენ, რომ ანთების ერთ-ერთი მიზეზია ბაქტერიების ფენის გაჩენა პროთეზის შიდა ხორკლიან ზედაპირზე (103,162). მაგალითად, Candida albilans-is მეტაბოლიზმის პროდუქტი და პროთეზის ნადების სხვა მიკროფლორა აძლიერებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ჰიპერემიასა და პარესთეზიას (29,46)

სხვა ავტორები (38,42,160,195) მეტ ყურადღებას აქცევენ ღეჭვის დროს პროთეზის მიერ საპროთეზო ველზე განვითარებულ ბიძგისებურ ზეწოლას, რაც იწვევს ანთებითი რეაქციის განვითარებას.

მოსახსნელი პროთეზების გამოყენება აძლიერებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ეპითელიუმის დესქვამაციას (36,82,93,185). ა.ფ. კოვალენკომ და თანაავტორებმა იმ პირების ალვეოლარული მორჩის წანაზარდებზე არსებული ლორწოვანი გარის ეპითელიუმის მდგომარეობის შეფასებისას, რომლებიც ხმარობდნენ მთლიან მოსახსნელ პროთეზებს, დაადასტურეს არსებული გამოკვლევები (64). პროთეზირების შემდეგ ხდებოდა ლეიკოციტების მიგრაციის გაზრდა 3-4ჯერ (93).

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადებები იყოფა ლორწოვანი გარსის კეროვან ანთებად და გავრცობილ-ტოქსიკო ალერგიულ ანთებად (33,34,156). საპროთეზო ველის ლორწოვანი გარსის კეროვანი ტრავმული სტომატიტი დაკავშირებულია პროთეზის ზემოქმედებით გამოწვეულ მექანიკურ ტრავმასთან. გავრცობილი ტოქსიურ-ალერგიული ანთება კი დაკავშირებულია საპროთეზო მასალების მიმართ მომატებული რეაქტიულობით (39,86). აკრილის ჯგუფის პლასტმასებმა შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული და ტოქსიური სტომატიტები

(18,70,87,136,193). უნდა აღინიშნოს, რომ ნარჩენი მონომერი პროთეზში შიძლება შენარჩუნებული იყოს, 2 წელზე მეტ ხანს (30,40,167).

მონომერის ტოქსიური ზემოქმედება თავს იჩენს პროთეზის შეკეთებისას, როდესაც ადგილი აქვს სწრაფგამყარებადი პლასტმასის გამოყენებას (56). პროთეზული სტომატიტის გამომწვევი მიზეზებია: ნარჩენი მონომერი, საღებავები, შემღვრევის ფაქტორები, პლასტიფიკატორები, მიკროტრავმები და ბაქტერიული ნადები. (30,123) დიდი ხანია ცნობილია, რომ პროთეზული სტომატიტები ძირითადად ვლინდება იმ პაციენტებში, რომელთაც აღენიშნებათ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის რეზისტენტობის დაქვეითება, რასაც ძირითადად ადგილი აქვს მოხუცებულ ასაკში (153,155).

იმ პაციენტებს, რომელთაც აღენიშნებათ კბილების ნაწილობრივი დაკარგვა აღენიშნებათ დისბაქტერიოზი, რომლის დროსაც ადგილი აქვს კოკური ფორმების მომატებას, ბიფიდუმბაქტერიების, ლაქტობაქტერიებისა და ნორმალური მიკროფლორის არ არსებობის დროს პროთეზირება მცირე ხნით აუმჯობესებს მიკრობიოცენოზს, მაგრამ პროთეზის ხმარებიდან უკვე 6 თვის შემდეგ პირის ღრუს სითხეში ჩნდებიან ჰემოლიზური მიკროორგანიზმები და Candida-ს ჯგუფის სოკოები (72).

პლასტმასის მოსახსნელი პროთეზები გავლენას ახდენენ სანერწყვე ჯირკვლების ფუნქციონალურ მდგომარეობასა და სალივაციაზე (88,146).

თავიდან ადგილი აქვს სალივაციის გაძლიერებას 1,5 ჯერ, ერთი წლის შემდეგ კი აღინიშნება ჰიპოსალივაცია-ნერწყვის გამოყოფის სიჩქარის შემცირება 1,4-ჯერ პროთეზირებამდე არსებულ მაჩვენებლებთან შედარებით (67.).

ზოგი ავტორი ფიქრობს, რომ მოსახსნელი პროთეზები გავლენას ახდენს ნერწყვის ფერმენტულ აქტივობაზე (47.), მის PH-ზე და ნერწყვის შემადგენელი მიკრობების რაოდენობასა და ხარისხზე (75,84).

ლორწოვანი გარსის ტემპერატურული ცვლილება არის მნიშვნელოვანი სადიაგნოსტიკო ნიშანი, რომელიც არის ტროფიკული დარღვევების ნიშანი, სისხლის ავსების ხარისხი, საპროთეზო ველის სხვადასხვა უბნებზე დაზიანებების ხასიათისა და სირღმის მიხედვით (58.).

ტემპერატურის მომატება პროთეზის ბაზისის ქვეშ ხელს უწყობს საპროთეზო ველის ლორწოვანი გარსის მაცერაციას და გაფაშრებას და იწვევს სისხლძარღვების კედლების განვლადობის გაზრდას (24.).

პლასტმასის თერმომაიზოლირებელი მოქმედება იწვევს ორგანიზმის ალერგიული რეაქციების პროვოცირებას და გაძლიერებას (80).

ზოგი კვლევა ამტკიცებს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების კავშირს გულსისხლძარღვთა დაავადებების, ნერვულ, ენდოკრინულ, და საჭმლის მომნელებელი სისტემების დაავადებებთან (23,165.).

ლორწოვანი გარსის ასაკობრივი ცვლილებები იწვევს მიკროცირკულიაციის დარღვევას. ამის ფონზე მოსახსნელი პროთეზების გამოყენება იწვევს ჰემოდინამიკის დარღვევას, ქსოვილის ჰიპოქსიის მომატებას, რაც ხელს უწყობს ქრონიკული ანთების განვითარებას. ეს ყოველივე კი დამოკიდებულია პროთეზის კონსტრუქციაზე და ხმარების ხანგრძლიობაზე (10,49,71).

1.1.5. მოსახსნელი პროთეზებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების კორექციის თანამედროვე მეთოდები.

მოსახსნელი პროთეზებით გამოწვეული გვერდითი მოვლენების კორექცია ეყრდნობა 4 ძირითად ეთიოლოგიურ ფაქტორს და მიმართულია იმისკენ, რომ მივაღწიოთ პროთეზსა და პირის ღრუს შორის მაქსიმალურ ბიოლოგიურ შეთავსებადობას. (69,73,139). ეს ფაქტორებია:

1. პროთეზების შემადგენელი მასალების ტოქსიურობა და მათ მიმართ ალერგიული რეაქციების გამოვლინების შესაძლებლობა (53)
2. მექანიკური გაღიზიანება (51)
3. მიკრობული გაღიზიანება (52)
4. იმუნიტეტის დარღვევა (57)

პოლიმერული მასალების ხარისხობრიობის შემოწმება და პირის ღრუში მათი გამოყენების შესაძლებლობა, ძირითადად დგინდება სანამ ისინი მოხვდებიან პირის

ღრუში, ხოლო შემდეგ უკვე ხდება მათი კლინიკური გამოკვლევები (ან დაკვირვებები).

საბაზისო მასალების ხანგრძლივი გამოყენების წინასწარი შეფასების საშუალებას გვაძლევს ტენზინომეტრიული მეთოდები, რომლებიც თავიდან გვაცილებს შეცდომებს, რომლებიც თავს იჩენენ, იმ მასალების გამოყენებისას, რომელთაც არ აქვთ აუცილებელი ფიზიკო-მექანიკური თვისებები (21).

ლიტერატურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, პროთეზების ხარისხის ამაღლებას პოლიმერიზაციის ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზით (84,92). R.M Bascez, A.T. Austin (98), С.В. Харченко (1977) (83) მიერ შესასწავლილი იყო პოლიმერიზაციის მეთოდიკა. ავტორებმა დაამტკიცეს, რომ პოლიმერიზაციის ხანგრძლივობის უმნიშვნელოდ შემცირებაც კი იწვევს ნარჩენი მონომერის რაოდენობის საგრძნობად გაზრდას, რომელიც შემდგომში გამოიყოფა პირის ღრუში და ასევე იწვევს პროთეზის კონსტრუქციის მექანიკური თვისებების ცვლილებებს.

R.M. Biesbe (1987) ასევე ამტკიცებს, რომ პლასტმასის პოლიმერიზაციის რეჟიმის ზუსტ დაცვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფირფიტოვანი პროთეზების პლასტმასის შემადგენლობაში ჰიდროქსილაპათიტების კრისტალების დამატება, პოლიმერიზაციის პროცესში მონომერის მოლეკულების კონვერსიის კოეფიციენტის გაზრდის მიზნით, და ასევე პლასტმასის რეზისტენტობის კოლონიზაციის გაზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგანაც ჰიდროქსილაპათიტების კრისტალები არ არის ხელსაყრელი გარემო ბაქტერიების გაზრდისთვის. ეს მეთოდი თავიდან გვაცილებს პროთეზის აუტანლობას მისი გამოყენების პერიოდში (60).

მიუხედავად პოლიმერიზაციის მეთოდების დახვეწისა, მოსახსნელი პროთეზების დამზადებისას ნარჩენი მონომერის პირის ღრუში გამოყოფის მაქსიმალურად შემცირების პრობლემა მაინც რჩება აქტუალური. ამ საკითხისადმი მიძღვნილია ბევრი ნაშრომი, რომლებშიც გატარებულია ანალოგია პოლიმერიზაციის ხარისხსა და პრთეზის ხარისხს შორის (32,65,74,143).

ნარჩენი მონომერის დონის გამოკვლევის ექსპრეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს ფირფიტოვან პროთეზში ნარჩენი მონომერის დონე დავიყვანოთ 0,5%-მდე (66,87).

აკრილის პლასტმასების თვისება გამოანთავისუფლოს ჰისტამინი სისხლის ბაზოფილებისაგან, გვაძლევს ობიექტურ ინფორმაციას ამ მასალების ბიოშეთავსებადობაზე და მათ უვნებლობაზე. შესაძლოა მოხვდეს პოლიმერული მასალების ინდივიდუალური შერჩევა პროთეზირებისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ჰისტამინის არასპეციფიური გამოყოფა და ფსევდოალერგიული რეაქციების გამოვლინება (3).

მექანიკური გამღიზიანებლის აღმოფხვრა დამოკიდებულია პლასტმასის პროთეზების ზედაპირის ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებზე (15,77,89). Е.А. Успенского (84) და Е.И. Янцеловского (1968г.)(93) აზრით პროთეზის კიდეების ზუსტი შესაბამისობა საპროთეზო ველის საზღვრებთან საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ პროთეზული ტრავმული სტომატიტის განვითარება (სურათი 3.) (82).



სურათი 3. მოსახსნელი პროთეზისგან გამოწვეული ტრავმული სტომატიტი.

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად I. Houston-ი მხედველობაში არ იღებს მექანიკურ ფაქტორებს და აღნიშნავს, რომ საპროთეზო ველის ლორწოვანი გარსის ანთება, მაინც განვითარდება მიუხედავად კარგად შესრულებულ ყველა კლინიკო-ლაბორატორიულ ეტაპისა. მისი აზრით საპროთეზო ველის ლორწოვანი გარსის ეს მდგომარეობა დამოკიდებულია ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე.

მოსახსნელი პროთეზების კონსტრუქციის გაუმჯობესება ხელს უწყობს გვერდითი მოვლენების შემცირებას, მაგრამ მათი სრული ლიკვიდაცია შეუძლებელია (55).

1.2.ოქსიდაციური სტრესის როლი პირის რღუს პაოთლოგიების პათოგენეზში

პაროდონტის ქსოვილების ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში, ენდოგენური რედოქს-სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფიზიოლოგიურ პირობებში ეს სისტემა უზრუნველყოფს რედოქს-ჰომეოსტაზის სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას.

თავისუფალრადიკალური ჟანგვა – უჯრედის ნორმალური ცხოველქმედების აუცილებელ სტადიას, და ამავე დროს, მისი დაზიანების უნივერსალურ მექანიზმს წარმოადგენს. ორგანიზმის ნებისმიერ უჯრედში მიმდინარე დაშლისა და სინთეზის ბიოქიმიურ პროცესებს შორის განუწყვეტლივ ხორციელდება ამა თუ იმ ქიმიური ჯგუფის ჟანგვისა და აღდგენის რეაქციები, რომელთა განმავლობაში ზოგიერთი ნაერთი ბოლომდე ვერ იჟანგება ან ვერ აღდგება. სწორედ მათ გააჩნიათ ყველაზე მძლავრი რეაქტიული თვისებები, რადგან ატომის გარე ორბიტაზე რჩება გაუწყვილებელი ელექტრონი და ინერტულ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებისას, ართმევენ რა გარე ორბიტის ელექტრონს, ამ ნეიტრალურ ნაერთებს გარდაქმნიან რადიკალური ბუნების წარმონაქმნებად. ორგანიზმის დახურულ სისტემაში, თუ არ იქნება ჩართული ანტირადიკალური მექანიზმები, პროცესი მიიღებს ზვავისებურ ხასიათს და დამთავრდება უჯრედული შენების სრული განადგურებით.

უჯრედში წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების ძირითად ჯგუფებს შეადგენენ:

1. ჟანგბადის თავისუფალი რადიკალები (ROS) (სუპეროქსიდ-ანიონი (O2-), ჰიდროქსილ-რადიკალი (OH-), არარადიკალური წყალბადის ზეჟანგი (H2O2) და სინგლეტური ჟანგბადი).

2. აზოტის რადიკალური ნაერთები (NOS) (Ca2+/კალმოდულინ დამოკიდებული ნეირო-ნალური (nNOS) და ენდოთელური (eNOS), რომლებიც კონსტიტუციურად ექსპრესირდება მრავალ უჯრედში, ასევე Ca2+-დამოუკიდებელი ინდუციბელური NOS (iNOS), რომელიც ექსპრესირდება, ძირითადად იმუნური სისტემის უჯრედებში (135).სამივე nNOS, eNOS და iNOS ფორმა ნაპოვნია ციტოპლაზმაში, მოგვიანებით გამოვლენილია მიტოქონდრიული NOS(mtNOS), რომელიც არსებობს მხოლოდ მიტოქონდრიაში(100,190).

3. ლიპიდური რადიკალები (L) (ლიპოპეროქსიდი (LOO-) და ლიპიდის ზეჟანგი (LOOH)),

4. სხვა მეორადი რადიკალების ჯგუფები (5).

ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების წარმოქმნის მაინიცირებელი ძირითადი პროცესია, ელექტრონების გადატანის ბიოქიმიური ჯაჭვი. ასეთი ტიპის ჯაჭვს წარმოადგენს სუნთქვითი ჯაჭვი, მიმდინარე ჟანგვითი ფოსფორილირების პროცესით, როდესაც მოლეკულურ ჟანგბადზე, როგორც ტერმინალურ აქცეპტორზე, ხდება ელექტრონების გადატანა და მისი საბოლოო აღდგენის პროდუქტის- წყლის, წარმოქმნა(ოთხელექტრონიანი აღდგენა).

შესაძლებელია ამ ჯაჭვის პროტონული ტუმბოს I (NADH უბიქინონ ოქსირედუქტაზულ) და III (უბიქინონ-ციტოქრომ C რედუქტაზულ) კომპლექსების უბნებზე მოხდეს ერთეული ელექტრონის “გაჟონვა” პირდაპირ, მოლეკულურ ჟანგბადზე(1), შედეგად მიიღება არასრული ერთელექტრონიანი აღდგენის პირველი პროდუქტი - სუპეროქსიდ-რადიკალი (O2-), იგი ინიცირებს ჟანგბადის სხვა რადიკალების წარმოქმნას: ორელექტრონიანი აღდგენა - წყალბადის ზეჟანგი (H2O2), სამელექტრონიანი აღდგენა - ჰიდროქსილ- რადიკალი (OH-) (37). ისინი თავისი მაღალი რეაქტიულობის გამო იწვევენ ცილების, ნახშირწყლების და, განსაკუთრებით, ლიპიდებისა და დნმ-ის, მოლეკულების დესტრუქციას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მემბრანების ფოსფოლიპიდების ზეჟანგური ჟანგვაა,

ლიპოპეროქსიდების წარმოქმნა და ეს პროცესი თავისთავად შეუქცევად "ზვავისებურ" ხასიათს ატარებს.

შიდაუჯრედოვანი რედოქს-ჰომეოსტაზი – ძნელად რეგულირებადი სისტემაა. ნორმალურ ფიზიოლოგიურ პირობებში რედოქს-ჰომეოსტაზს ახასიათებს, დაჟანგვის და აღდგენის პროცესებს შორის ბალანსის შენარჩუნება, რასაც უზრუნველყოფს თავისუფალრადიკალური ჟანგვითი რეაქციების წინააღმდეგ მიმართული ბიოლოგიური დაცვის მექანიზმები - ეს არის ანიტიოქსიდანტური დაცვის სისტემა(19).

ანტიოქსიდანტური სისტემა ორგანიზმში წარმოდგენილია ფერმენტული და არაფერმენტული ნაერთების სახით (19). ენდოგენური ანტიოქსიდანტები იყოფა 3 დიდ ჯგუფად:

I ჯგუფი - ანტიოქსიდანტური ფერმენტებია, რომლებიც ძირითადად ორგანიზმის საკუთარ ანტიოქსიდანტურ დაცვას უზრუნველყოფენ. ენდოგენური ფერმენტული ანტიოქსიდაციური სისტემა მოიცავს სუპეროქსიდდისმუტაზას, კატალაზას და გლუტათიონის რედოქს-ციკლის ფერმენტებს – გლუტათიონ პეროქსიდაზას, გლუტათიონ რედუქტაზას და თვით გლუტათიონს. ფიზიოლოგიურ პირობებში ეს სისტემა უზრუნველყოფს უჯრედების ნორმალური მეტაბოლიზმის პროდუქტების თავისუფალი რადიკალების (ჟანგბადის და აზოტის რეაქციული ნაერთების ჩათვლით) დონის შენარჩუნებას, მათი წარმოქმნის ინტენსიობის და ანტიოქსიდციური ენდოგენური სისტემის მიერ კლირენსის ბალანსის შენარჩუნებას (128,144).

II ჯგუფის ანტიოქსიდანტები - არაფერმენტული ცილოვანი ანტი-ოქსიდანტებია, რომლებიც არიან, ძირითადად, სისხლის პლაზმაში. მათ მიეკუთვნება ცილები: ტრანსფერინი, ალბუმინი და ცერულოპლაზმინი, რომელიც აგრეთვე ავლენს ფერმენტულ აქტივობას (სუპეროქსიდ-დისმუტაზურს და პეროქსიდაზურს).

III ჯგუფის ანტიოქსიდანტები - დაბალმოლეკულური ნაერთებია და იყოფა: წყალში ხსნად და ცხიმში ხსნად ჯგუფებად. წყალში ხსნად ანტიოქსიდანტებს მიეკუთვნება: ასკორბინის მჟავა, შარდმჟავა, ბილირუბინი, S-H ჯგუფის შემცველი ამინომჟავები (გლუტათიონი, ცისტეინი, ცისტამინი); ცხიმში ხსნადს: α-

ტოკოფეროლი, β-კაროტინი, უბიქინონი და სხვ.; აგრეთვე, პლაზმასა და უჯრედშორის სითხეში არსებული დაბალმოლეკულური ნივთიერებები - ფენოლური ესტროგენები (17β ესტრადიოლი, ესტრიოლი), თიროქსინი და კატექოლამინები (63).

კარგადაა ცნობილი, რომ ჟანგბადის რექციული ნაერთები არა მხოლოდ დარღვეული უჯრედული მეტაბოლიზმის პროდუქტებია, არამედ მონაწილეობენ უჯრედის სასიგნალო სისტემის რეგულაციაში (109,179). ჟანგბადის რეაქციული ნაერთები სასიგნალო მოლეკულების როლში მონაწილეობენ გენების ექსპრესიის რეგულაციაში, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ იმუნური პასუხის, პროლიფერაციის და დიფერენციაციის პროცესების კონტროლს და ამ გზით მონაწილეობენ, ორგანიზმის სხვადასხვა პათოგენური ფაქტორების ზემოქმედებაზე საპასუხო რეაქციის რეგულაციაში.

ოქსიდაციური სტრესის პირობებში უჯრედში აქტიურდება ენდოგენური სასიგნალო სისტემა, რომელიც სასიგნალო მოლეკულების საშუალებით უზრუნველყოფს სიგნალის გადაცემას ციტოპლაზმასა და პლაზმური მემბრანის გავლით ბირთვში, სადაც ინდუცირდება სპეციფიური გენების ექსპრესია. ოქსიდაციური სტრესის საპასუხო გენების რეპლიკაციის პროდუქტები იცავენ უჯრედს თავისუფალი რადიკალების დამაზიანებელი მოქმედებისაგან(142,149).

ჟანგბადის თავისუფალი რადიკალების ჭარბი განთავისუფლება პათოლოგიური პროცესების განვითარებაში მონაწილეობს აგრეთვე არაპირდაპირი გზით რედოქს-მგრძნობიარე ბირთვული ტრანსკრიპციული ფაქტორების (NF-kB, AP-1) აქტივაციის მეშვეობით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ანთებადი და იმუნური პასუხის განვითარებას, Th2, Th1 ციტოკინების პროფილის შეცვლას და Th2-დამოკიდებული იმუნოგლობულინების (IgG) შემცველობის შემცირებას. (185).

იდენტიფიცირებულია ტრანსკრიპციული ფაქტორების მთელი რიგი (NF-kB, AP-1, P-53 და სხვა), რომლებიც აქტიურდებიან უჯრედშიდა რედოქს-ბალანსის ცვლილებების საპასუხოდ და მონაწილეობენ დნმ-ის ტრანსკრიპციის რეგულაციაში. ტრანსკრიპციული ფაქტორები შეიცავენ 2 ფუნქციურად მნიშვნელოვან დომენს – დნმ-თან შემაერთებელი და გამააქტივებელი საიტი. დნმ-ის შემაერთებელი საიტის ორი ამინომჟავა ამოიცნობს სპეციფიკურ დნმ-ს, რომლის

ტრანსკრიპცია შემდგომში ინდუცირდება სპეციფიური ტრანსკრიპციული ფაქტორების გამააქტივებელი საიტების საშუალებით. ტრანსკრიპციული ფაქტორებსა და ტრანსკრიპციულ აპარატს (რნმ-პოლიმერაზა და სხვა რეგულატორული ცილა) შორის ურთიერთქმედება ინიცირდება სხვადასხვა ფიზიოლოგიური, სამკურნალო და პათოლოგიური სტიმულების მიერ. ამ სტიმულების ეფექტურობა, დამოკიდებულია რეგულატორული ცილის სტრუქტურაზე, მისი მოდიფიკაციის უნარიანობაზე ფოსფორილირების, გლიკირების, ან დაჟანგვის (უჯრედშიდა რედოქს სტატუსის მეშვეობით) გზით (140). მრავალი ფაქტი მოწმობს იმის შესახებ, რომ უჯრედული ცხოველქმედების ციკლის რეგულაციაში მონაწილე ცილების მოდიფიკაცია (ფოსფორილირება, გლიკირება, დაჟანგვა) ხორციელდება ოქსიდაციური-ანტიოქსიდაციური ჰომეოსტაზის ფიზიოლოგიური მოდიფიკაციის გზით, რომელშიც თიოლ-დისულ-ფიდური წყვილების ბალანსს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ რედოქს-ჰომეოსტაზის მოდულაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზმში როგორც პათოლოგიური, ასევე ფიზიოლოგიური პროცესების განვითარების დროს.

რედოქს დისბალანსის შედეგად შესაძლებელია ერთი სასიგნალო სისტემის აქტივაცია და მეორეს ინჰიბიცია, რაც სრულიად განასხვავებს მეტაბოლურული გზების დარღვევების ინდუცირებას, სპეციფიური უჯრედებისა და ქსოვილების მეტაბოლიზმის მოშლას და ტოქსიკური მეტაბოლიტების წარმოქმნას განაპირობებს. ჩვეულებრივად თავისუფალი რადიკალების სინთეზის ინტენსიფიკაციას თან ახლავს ანტიოქსიდაციური დაცვის სისტემის აქტივობის დაქვეითება (183), რასაც თან სდევს დისბალანსი პრო– და ანტიანთებად სისტემებს შორის და პაროდონტის ქსოვილის დაზიანების პროგრესირება (127,166,175).

ჟანგბადისა და აზოტის რეაქციული ნაერთების სინთეზის ინტენსიფიკაციის პირობებში ენდოგენურ ანტიოქსიდციურ სისტემას არ ძალუძს რედოქს-ჰომეოსტაზის სტაბილობის შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს ოქსიდაციური სტრესის განვითარებას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მრავალი დაავადებების (დიაბეტის, სიმსივნური ზრდის, პაროდონტიტის, დაბერების და ა.შ.) პათოგენეზში (172). ამრიგად, ჟანგბადისა და აზოტის რაქციული ნაერთები ირთვებიან პირის

ღრუს ქსოვილებში ზოგიერთი პათოლოგიური პროცესის განვითარებაში, მაგალითად, მორეცედივე წყლული, ლეიკოპლაკია, ორალური კანცერი და პაროდონტის სხვადასხვა ანთებადი დაავადებები.

ექსპერიმენტული და კლინიკური მონაცემები მოწმობენ თავისუფალი რადიკალების მნიშვნელოვანი როლის შესახებ სხვადასხვა დაავადებების პათოგენეზში(128,144). განსაკუთრებით აღსანიშნავია ორგანიზმის გლუტათიონ-დამოკიდებული რედოქს-სისტემის უკმარისობის როლი. მრავალი კვლევები მოწმობენ დაავადებული პირების სხვადასხვა ბიოლოგიურ სითხეებსა (სისხლი, ნერწყვი, ლიმფა და სხვ.) და ქსოვილებში GSSG/GSH (დაჟანგული/აღდგენილი გლუტათიონი) შეფარდების მომატების შესახებ. ჟანგბადის (სუპეროქსიდ ანიონი, ჰიდროგენ პეროქსიდი და ჰიდროქსილრადიკალი) და აზოტის (აზოტის ჟანგი, პეროქსინიტრიტი) რეაქციული ნაერთები პირის ღრუს ქსოვილების ნორმალური მეტაბოლიტებია, რომელთა წარმოქმნა ძლიერდება პირის ღრუში დამჟანგველი აგენტების ინჰალაციისა ან თამბაქოს მოხმარების შედეგად. ჟანგბადის რეაქციული ნაერთები მონაწილეობენ, აგრეთვე, პირის ღრუს ქსოვილების ანტიმიკრობულ დაცვაში (194).

ნერწყვი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სითხეა, რომელიც უზრუნველყოფს პირის ღრუში ოქსიდაციური და იმუნური ბალანსის რეგულაციას. ნერწყვის მუდმივი ნაკადი უზრუნველყოფს კბილებიდან და მუკოზური ქსოვილიდან ბაქტერიების დიდი რაოდენობით გამოტანას. სანერწყვე ჯირკვლების მიერ ხორციელდება NO-ს დიდი რაოდეობით სეკრეცია. NO-ს კონცენტრაცია ნერწყვში 10-ჯერ მაღალია ვიდრე სისხლის პლაზმაში. პირის ღრუს მიკროორგანიზმები ექსპრესირებენ ფერმენტებს, რომლებიც ეფექტურად აქვეითებენ ნიტრიტების დონეს. რომლებიც PH-ის დაბალ მნიშვნელობებზე (3,5) გარდაიქმნებიან NO-დ. PH-ის ფიზიოლოგიურ მნიშვნელობებზე (6.2-7.6) პირის ღრუში ეს პროცესი მიმდინარეობს დაბალი ინტენსივობით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ჯანმრთელი პირების პირის ღრუში NO გენერირდება აგრეთვე ნეიტროფილების მიერ (iNOS). iNOS ექსპრესია ორალური ეპითელიუმის უჯრედების მიერ დაკავშირებულია უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის დაქვეითებასთან, რაც განპირბებულია NO-ს ჟანგბადის რეაქციულ ნაერთებთან ურთიერთქმედებისა და

პეროქსინიტრიტის წარმოქმნის შესაძლებლობით (122,152). ამას კი პირის ღრუს ქსოვილებში, სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების განვითარება მოსდევს.

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ პირის ღრუში ანთებითი პროცესების დროს ხშირია მელატონინის დონის მომატება ნერწყვში, სადაც ის ასრულებს ანტი-ოქსიდანტის როლს (97,188). მელატონინის პირდაპირი მოქმედება ვლინდება მის მიერ, ჟანგბადისა და აზოტის თავისუფალი რადიკალების დეტოქსიკაციით და ანტიოქსიდაციურ ფერმენტებზე (SOD, კატალაზა, GR, GP) არაპირდაპირი მასტიმულირებელი ეფექტით (97,118,121,131,141,159,189,192).

პირის ღრუში NO-ს პროდუქციის გაძლიერება აღინიშნება კარიესის მქონე პაციენტებში (10). მრავალი ლიტერატურული წყაროები მოწმობენ პირის ღრუში რედოქს-ბალანსის შესასწავლად ნერწყვის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ჟანგვითი სტრესის პირობებში შესაძლებელია პირის ღრუს ქსოვილების DNM-ის ოქსიდაციური დაზიანება, ნუკლეოზიდების დაჟანგვა, რაც ვლინდება ნერწყვში 8-ჰიდროქსიდეოქსიგუანოზინის (8-OHdG) დონის მომატებით (16).

ფიზიოლოგიურ პირობებში ადამიანის პირის ღრუში წარმოდგენილია ბაქტერიების 300-ზე მეტი ნაირსახეობა. Streptococcus mutans, S. sobrinus, S. cricetus, S. rattus, S. sanguist gamoyofilia ZiriTadad kbilebidan; S. salivarius – enidan; Helicobacter pylori (H. pylori) და Enterococcus faecalis (E. faecalis) პირის ღრუდან, როგორც მინორული ბაქტერიები. მიკრობები ნეიტროფილების მსგავსად აპროდუცირებენ სუპეროქსიდ- და ჰიდროქსილ- რადიკალებს. მუკოზური ბარიერი წარმოადგენს პირის ღრუში ბაქტერიული ფლორის საწინააღმდეგო დაცვის პირველ ხაზს, რომლის მუკოზას ქსოვილებში ინდუცირებული NO-სინთაზას (iNOS) მიერ წარმოქმნილი აზოტის ჟანგი უზრუნველყოფს პირის ღრუს ქსოვილებში ანტიბაქტერიულ დაცვას და იცავს პირის ღრუს ბაქტერიების ინვაზიისაგან. პირის ღრუში პაროდონტის ანთებადი პროცესების განვითარების დროს ადგილი აქვს ჟანგბადის და აზოტის რეაქციული ნაერთების გენერაციის ინტენსიფიკაციას (177).

გრამუარყოფითი ბაქტერიების კოლონიზაცია, რომელიც მიმდინარეობს სუბგინგივალურ არეში, იწვევს ნეიტროფილების აქტივაციას (154). ნეიტროფილიბის ბაქტერიის ზედაპირულ რეცეპტორებთან (TLR, Fcg-R) შეერთებისას ძლიერდება სუპეროქსიდრადიკალების წარმოქმნა (რომლებიც თავის

მხრივ გარდაიქმნებიან ჰიდროგენ პეროქსიდებად და ჰიდროქსილ რადიკალებად) და ფაგოციტოზის ინიციაცია. ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებული გენერაცია, ხელს უწყობს ფაგოსომებში ბაქტერიოციდული ფერმენტების აქტივაციას; ნეიტროფილიბის მიერ გამოყოფილი ჟანგბადის რეაქციულ ნაერთებს კი, თავის მხრივ შეუძლიათ, პაროდონტის ქსოვილის დაზიანებაში ჩართვა, რასაც თან სდევს პარადონტის პათოგენების მიერ სტიმულირებული მასპინძელი ორგანიზმის უჯრედების მიერ პროანთებადი ციტოკინების გამოყოფა. ამრიგად ანთების კერაში პოლიმორფობირთვული უჯრედების მასიური მიგრაცია ღრძილოვან სითხეში ჟანგბადის რეაქციული ნაერთების დიდი რაოდენობით განთავისუფლებას და ოქსიდაციური სტრესის განვითარებას განაპირობებს (168,184). პაროდონტის ქსოვილში მაკროფაგების ინფილტრაცია ხელს უწყობს აგრეთვე, iNOS ექსპრესიის გაძლიერებას და NO-ს დიდი რაოდენობით წარმოქმნას. რომელიც ირთვება პაროდონტიტის პათოგენეზში და ხელს უწყობს პარადონტის ძვლის განლევის პროგრესირებას (126).

ამრიგად, რედოქს-ჰომეოსტაზი ცოცხალი უჯრედებისა და ქსოვილების მეტაბოლიზმის რეგულაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ბირთვულ ფაქტორებზე ზემოქმედების საშუალებით მონაწილეობს გენების ტრანსკრიპციის და სხვადასხვა ბიოაქტიური მოლეკულების (ანტიოქსიდანტების, იმუნოაქტიური პეპტიდების, NO-სინთაზას და სხვ.) სინთეზის აქტივობის რეგულაციაში და უჯრედული მეტაბოლიზმის გზების აქტივაციაში და განაპირობებს ქსოვილების, ორგანოების და მთელი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ, ან პათოლოგიურ მდგომარეობას.

პირის ღრუს ქსოვილებში ჟანბადისა და აზოტის რეაქციული ნაერთები მათი ფიზიოლოგიური მეტაბოლიზმის ინტერმედიანტები არიან. პირის ღრუში ეს რედოქს-აქტიური ნაერთები წარმოიქმნებიან, როგორც ქსოვილების ჟანგვა-აღდგენითი პროცესების (მიტოქონდრიული, მიკროსომული), იმუნური უჯრედების ანტიბაქტერიული დაცვითი რეაქციებისა და, აგრეთვე პირის ღრუში არსებული მრავალი მიკროორგანიზმების ცხოველქმედების შედეგად. პირის ღრუში ანთებადი პროცესების დროს ადგილი აქვს ჟანგბადის და აზოტის რეაქციული ნაერთების გენერაციის ინტენსიფიკაციას (ნეიტროფილების,

ფაგოციტების აქტივაციის, გამრავლებული ბაქტერიების, პარადონტის ქსოვილში მაკროფაგების ინფილტრაციის შედეგად). რედოქს-ჰომეოსტაზის რეგულაციაში ჟანგბადის და აზოტის რეაქციულ ნაერთებს დუალური ფუნქცია გააჩნია: ისინი ან ბირთვული ფაქტორების აქტივაციის მეშვეობით იწვევენ რედოქს-ჰომეოსტაზის რეგულაციაში მონაწილე გენების ტრანსკრიპციის და სხვადასვა რედოქს-აქტიური მოლეკულების სინთეზის აქტივაციას, ან თვითონ ერთვებიან დამაზიანებელი პროცესის პათოგენეზურ ჯაჭვში. პირველის დასტურია – მელატონინის შემცველობის მომატება ნერწყვში პაროდონტიტის დროს. მელატონინი საკუთარი ანტიოქსიდაციური თვისებების და ანტიოქსიდაციურ ფერმენტებზე მასტიმულირებელი ზემოქმედების გამო რედოქს-ბალანსის ნორმალიზაციას უზრუნველყოფს. მეორე შემთხვევაში კი პრო – და ანტიოქსიდაციურ სისტემებს შორის დისბალანსის დროს იწვევს ოქსიდაციური სტრესის განვითარებას და ხელს უწყობს პირის ღრუს ქსოვილებში დაზიანების პროგრესირებას.

1.3 Jurkat და MDCK უჯრედები, როგორც პრეპარატების კვლევის სამოდელო სისტემა

Jurkat ლეიკემიური T უჯრედების კულტურა მოსახერხებელ მოდელს წარმოადგენს T ლიმფოციტების აქტივაციის პირობების შესასწავლად. ეს აქტივაცია, ჩვეულებრივ, IL-2–ს სეკრეციით განისაზღვრება. IL-2 (ადრე T უჯრედების ზრდის ფაქტორად მოიხსენიებოდა (T cell growth factor (TCGF)) ხელს უწყობს T ლიმფოციტების პროლიფერაციას. Jurkat უჯრედების კულტურას ფიტოჰემაგლუტინინით ან კონკა-ნავალინ A-Ti (Con A) სტიმულირების შემთხვევაში შეუძლია 100 და 300-ჯერ მეტი IL-2 პროდუცირება, ვიდრე ლექტინით სტიმულირებულ ადამიანის ჩვეულებრივი პერიფერული სისხლის ლიმფოციტებს. Jurkat უჯრედების მიერ გამომუშავებული IL-2 ინარჩუნებს უნარს, აინდუციროს ანტიგენ-აქტივირებული ადამიანის ეფექტორული უჯრედების პროლიფერაცია ინ ვიტრო, ამდენად, Jurkat უჯრედების კულტურა ღირებული რეაგენტია იმ მკვლევარებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა ანტიგენური

და ეფექტორული სპეციფიკურობის მქონე კლონალური ადამიანის T უჯრედების პროლიფერაციით.

ბოლო დროს დიდ ინტერესს იწვევს სხვადასხვა დაავადებების განვითარების აუტოიმუნურ ანთებითი მექანიზმი, და ამდენად, იმუნური უჯრედების დიფერენციაციისა და აქტივაციის მექანიზმები. პროანთებით და ანტიანთებით ციტოკინებს შორის ბალანსს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სხვადასხვა პროცესების პროგრესირებისათვის (158).

Jurkat ჯრედების კულტურა ღირებული რეაგენტია იმ მკვლევართათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვადასხვა ანტიგენური და ეფექტორული სპეციფიკურობის მქონე კლონალური ადამიანის T უჯრედების პროლიფერაციით. jurkat უჯრედებზე შესაძლებელია მოდელირდეს როგორც ჯანმრთელი, ისე ანთებითი T უჯრედები, რომლებიც სხვადასხვანაირად რეაგირებს ჟანგვითი მეტაბოლიზმის დარღვევებზე და მის პროდუქტებზე (მაგ., აზოტის ჟანგზე (NO), წყალბადის ზეჟანგზე (H_2O_2)) (174). T უჯრედებზე ჟანგვითი მეტაბოლიზმისა და მისი პროდუქტების, ჟანგბადის რეაქტიული ფორმების მოქმედების შესწავლა და მისი რეგულაციის გზების მონახვა მეტად პერსპექტიულია ანთებით იმუნურ დაავადებათა მკურნალობის გასაუმჯობესებლად.

დღეისათვის T უჯრედული იმუნური პასუხის დარღვევის მექანიზმის ერთ-ერთ მაჩვენებლად ითვლება, უჯრედების აქტივაციურ-ინდუცირებული სიკვდილი აპოპტოზის გზით. ნაჩვენებია, რომ T უჯრედების მომატებული მგრძნობელობა, ინდუცირებული აპოპტოზის მიმართ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, კრიტიკული მდგომარეობების პათოგენეზში. ადამიანის ლიმფობლასტოიდური jurkat T უჯრედების კულტურა ჩვეულებრივ, ფართოდ გამოიყენება აპოპტოზის პროცესებისა და მექანიზმების კვლევის მიზნით და უნიკალურად მოსახერხებელია ამ თვალსაზრისით (28).

აპოპტოზის მაინდუცირებელი სიგნალები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ: 1. პირველნი (პროანთებითი ციტოკინები, გლუკოკორტიკოიდები, ტოქსინები, ციტოტოქსიური წამლები, პათოგენები.) ზრდის ფაქტორის უკმარისობა (173) იწვევს სიკვდილის მაინდუცირებელი სასიგნალო კომპლექსის ფორმირებას, სიკვდილის რეცეპტორების ციტოპლაზმურ ნაწილში, რასაც უჯრედის სიკვდილზე

პასუხისმგებელი პროთეოლიზური კასპაზების კასკადის პირდაპირი აქტივაცია მოჰყვება (96); 2. მეორენი დასაწყისში მიტოქონდრიებიდან აპოპტოგენური ცილების (ციტოქრომ c) გამოთავისუფლებას ახდენენ. თუმცა გამონაკლისის სახით არსებობს უჯრედები, რომლებშიც სიკვდილის რეცეპტორებით ინიცირებული აპოპტოზური სიგნალებიც კი მიტოქონდრია-დამოკიდებული გზით აინდუცირებს უჯრედის სიკვდილს. Jurkat უჯრედები სწორედ ამ უნიკალურ კატეგორიას მიეკუთვნება (186).

MDCK უჯრედების კულტურა (გამოყოფილია S. H. Madin და N. B. Darby მიერ ზრდასრული კოკერ სპანიელის თირკმლის ქსოვილიდან (1958 წლის სექტემბერი) ჩვეულებრივად გამოიყენება, როგორც ეპითელური უჯრედების სამოდელო სისტემა. პირის ღრუს ეპითელური ქსოვილი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ნივთიერებების აბსორბციისა და გამოყოფის მექანიზმებში.

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები

2.1. კლინიკური მასალა

2.1.1 პაციენტების ჯგუფების დახასიათება

გამოკვლეული იქნა 120 პაციენტი , რომლებიც ხმარობდნენ სხვადასხვა კონსტრუქციის და სხვადასხვა მასალისგან დამზადებულ მოსახსნელ პროთეზებს (ნაწილობრივს და მთლიანს). ამ პაციენტებისთვის მოსახსნელ პროთეზებით პროთეზირება იყო პირველადი ე.ი. მათ ადრე არ ჰქონდათ ნახმარი მოსახსნელი კონსტრუქციის პროთეზები. პაციენტები დაიყო ოთხ ჯგუფად: I ჯგუფში შევიდნენ პაციენტები რომლებიც ხმარობდნენ პლასტმასის ფირფიტოვან პროთეზებს (Ftorax (სურათი 4.)), II ჯგუფში პაციენტები, რომლებმაც იხმარეს ბიგელისებური პროთეზები, III ჯგუფში პაციენტები, რომლებმაც იხმარეს ე.წ. ნეილონის (ელასტიური) პროთეზები (Perflex Flexi Nylon (სურათი 5.)) (სურათი 6.)და IV საკონტროლო ჯგუფი, პრაქტიკულად ჯამრთელი პირები. I, II და III ჯგუფები დაიყო 2 ქვეჯგუფად: ა. რომლებმაც არ იხმარეს პირის ღრუსა და პროთეზის მოვლის ჰიგიენური საშუალებები და ბ. რომელბმაც იხმარეს ეს საშუალებები. პროფილაქტიკის მიზნით პროთეზებთან შეგუების პერიოდში პაციენტებს ვუნიშნავდით გენგიგელის სავლებს, ხოლო პროთეზების მოვლა (გაწმენდა) ხდებოდა შემდეგნაირად: 1-2 საათით თავსდებოდა კორეგას ხსნარში, შემდეგ ირეცხებოდა გამდინარე წყლის ქვეშ პროთეზების გასაწმენდი ჯაგრისით და კბილის პასტით.

სურათი 4.

სურათი 5.

სურათი 6.

ყველა პაციენტის კლინიკური გამოკვლევა ტარდებოდა საყოველთაოდ მიღებულ სქემით: გამოკითხვა, ანამნეზის შეკრება, დათვალიერება, ყბა-კბილთა სისტემის

მდგომარეობის ობიექტური შეფასება, დამატებითი და სპეციფიკური კვლევებით. აგრეთვე ვავლენდით მავნე ჩვევებისა და თანმხლები დაავადებების არსებობას. ეს მონაცემები შეგვქონდა პაციენტის სამედიცინო ბარათში (ფორმა №IV—220\ა).

გამოკვლევის დროს ვიღებდით პაციენტის ნერწყვს უზმოზე სტიმულაციის გარეშე მინის ჭურჭელში. ნერწყვის აღება ხდებოდა I პროთეზირებამდე პაციენტის მომზადების პერიოდში, II პროთეზის ჩასმიდან მე-3 დღეს (მაქსიმალური გაღიზიანების ფაზა). და III პროთეზების ჩასმიდან 1 თვის შედეგ, როდესაც პაციენტები უკვე შეგუებულნი იყვნენ პროთეზებთან (სრული შეკავების ფაზა).

ცხრილი № 1

პაციენტების დაყოფა ჯგუფებში ასაკისა სქესის მიხედვით

ჯგუფები	ასაკი					
	60 წლამდე		60 - 70		70-ზე მეტი	
	სქესი					
	მამრ.	მდ.	მამრ.	მდ.	მამრ.	მდ.
Iჯგუფი n=30	6	6	4	8	2	4
Iა n=15	3	3	2	5	1	1
Iბ n=15	3	3	2	3	1	3
IIჯგუფი n =30	8	10	4	6	0	2
IIა n=15	4	5	2	3	0	1
IIბ n=15	4	5	2	3	0	1
IIIჯგუფიn=30	5	6	6	7	3	3
IIIIა n=15	2	3	4	4	1	1
IIIIბ n=15	3	3	2	3	2	2
საკონტროლო ჯგუფი n=30	15	15	0	0	0	0

*- სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

ნერწყვის აღების სქემის მიხედვით ამავე დღეებში ყურადღებას ვაქცევდით, საპროთეზო ველის და ღრძილის ქსოვილის ცვლილებებს, აგრეთვე პაციენტის სუბიექტურ შეგრძნებებს.

საპროთეზო ველის ცვლილება ფასდებოდა, შილერ-პისარევის სინჯის გამოყენებით, ღრძილის მდგომარეობა პაპილო-მარგინო-ალვეოლარული ინდექსით (PMA) და ლანგის API ჰიგიენური ინდექსის გამოყენებით ვამოწმებდით, პაციენტის პირის ღრუს ჰიგიენურ მდგომარეობას.

პაციენტების გადმოცემით კბილების დაკარგვის ძირითადი მიზეზები იყო კარიესული პროცესების გართულებები და პაროდონტის დაავადების გართულება.

პაციენტებს დაუმზადდათ ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზები და ბიუგელისებური პროთეზები. საბაზისო მასალად გამოყენებულ იქნა პლასტმასა Ftorax, ელასტიური თერმოპლასტიური პოლიმერული საპროთეზო მასალა, რომელიც არის ნეილონისა და პროპილენის წარმოებული Perflex Flexi Nylon, ხოლო ბიუგელის კარკასისთვის ლითონის შენადნობი ვერონიტი (კობალტ- ქრომის ნაერთი). ხელოვნური კბილები გარნიტური სუპერ ლუქსი.

პროთეზები მზადდებოდა ზოგაგად მიღებული მეთოდებით:

1. ანაბეჭდის აღება;
2. სახის ქვედა მესამედის სიმაღლისა და ცენტრალური ოკლუზიის განსაღვრა, ხელოვნური კბილების ფერისა და ფორმის შერჩევა. ბიუგელისებური პროთეზის დამზადების დროს კარკასის მორგება;
3. ცვილზე დაყენებული ხელოვნური კბილების კონსტრუქციის მორგება პირის ღრუში;
4. პროთეზის მორგება, ჩაბარება, რჩევა-დარიგებების მიცემა.
5. პროთეზების შესწორება

ანატომიური ანაბეჭდის აღება ხდებოდა, სტანდარტული საანაბეჭდო კოვზით, ალგინატიური საანაბეჭდო მასალების გამოყენებით (კრომოპანი). უკბილო ყბების შემთხვევაში ანატომიური ანაბეჭდიდან მიღებულ მოდელებზე, მზადდებოდა ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზები და ვიღებდით ფუნქციონალურ ანაბეჭდს,

ორშრიანი ელასტიური საანაბეჭდო მასით (Z-პლიუს). ამავე მასით ვიღებდით ანაბეჭდებს ბიუგელისებური პროთეზების დამზადებისას.

2.2. გამოკვლევის კლინიკური მეთოდები

2.2.1. შილერ - პისარევის სინჯი.

პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებას ვსაზვღვრავდით შილერ-პისარევის მეთოდიკით. ლორწოვანი იღებებოდა ხსნარით:

Jodi puri cristallisati - 1,0

Kalli jodati pulv - 2.0

Aq. Destill - 40.0

პირის ღრუს ჰიგიენური დამუშავების შემდეგ.

სინჯის პრინციპია, ღრძილში ასრებული გლიკოგენის შეღებვა. ანთების დროს ადგილი აქვს, ღრძილში გლიკოგენის დაგროვებას, ეპითელიუმის კერატინიზაციის ხარჯზე.

ჯამრთელი ლორწოვანი გარსი იღებება მოყვითალო - ჩალისფერ ფერად. ქრონიკული ანთების დროს, ღრძილში მკვეთრად იზრდება გლიკოგენის რაოდენობა, რომელიც იღებება ყავისფრად და მერყეობს ღია ყავისფრიდან მუქ ნაცრისფერამდე (რუხი), რაც განპირობებულია ანთებითი პროცესის ხარისხით. შეღებვის ინტენსიობის მიხედვით განასხვავებენ: უარყოფითი სინჯი (+) (ჩალისფერ მოყვითალო შეფერილობა), სუსტად დადებითი (++) (ღია ყავისფერი) და დადებითი (+++) (მუქი-ყავისფერი).

ამ სინჯის დინამიკა მკურნალობამდე და მის მერე საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის ეფექტურობა (10).

2.2. 2. Lange-ს ჰიგიენური ინდექსი ApI

კბილის აპროქსიმალური ზედაპირზე ნადების შეღებვის შემდეგ აფასებენ მის არსებობას (ფორმით კი ან არა). ამ ადგილებიდან ნადების მოშორება პაციენტისგან

მოითხოვს ჰიგიენური პროცედურების გულდასმით შესრულებას. ამიტომ კბილების აპროქსიმალურ ზედარებზე ნადების არსებობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ თუ რამდენად გულდასმით ახორციელებს პაციენტი ჰიგიენურ ღონისძიებებს და რამდენად აქტიურად თანამშრობლობს მკურნალ ექიმთან (პაციენტი, რომელიც არ თანამშრობლობდა ექიმთან. სურათი 7.).

კბილის აპროქსიმალურ ზედაპირზე ნადების შეფასება API ინდექსის მიხედვით ხდება I და III კვანდრატების ორალურ მხარეზე და II და IV კვანტრატების ვესტიბულარულ მხარეებზე.

სურათი 7.

$$\text{API} = \frac{\text{კბილის ნაღებების გამოვლინების დადებითი შედეგების ჯამი}}{\text{აპროქსიმალურ უბნებზე გამოვლენილი ჯამი}} \times 100$$

Api ინდექსის შეფასება ხდება შემდეგნაირად:

Api < 25% პირის ღრუს ჰიგიენის ოპტიმალური დონე;

Api = 25-39% პირის ღრუს საკმარისი ჰიგიენური დონე;

Api = 40-69% დამაკმაყოპილებელი;

Api = 70-100% არადამაკმაყოპილი;

Api ინდექსის მაჩვენებელი 35%-ზე ნაკლები მიუთითებს პაციენტების აქტიურ მონაწილეობაში სამკურნალო ღონისძიებების დროს.

2.2.3 გინგივიტის ინდექსი PMA

ღრძილის ქსოვილის ანთების შეფასებისთვის ვიყენებდით, პაპილო-მარგინო-ალვეოლარულ ინდექს (PMA)- Parma -ს მოდიფიკაცია (107).

ყველა კბილთან ვიზუალურად ვაფასებდით ღრძილის მდგომარეობას შილერ-პისარევის მეთოდით შეღებვის შემდეგ. ამ დროს ანთებითი უბნები იღებება ყავისფრად არსებული გლიკოგენის ხარჯზე. PMA ინდექსის შეფასება ხდება შემდეგი კოდებისა და კრიტერიუმისა მიხედვით.

0 - ანთების არ არსებობა

1 - ანთება მხოლოდ ღრძილის დვრილზე (P)

2 - ანთება მარგინალურ ღრძილზე (M)

3 - ალვეოლარული ღრძილის ანთება (A)

PMA ინდექსი გამოითვლება ფორმულოთ:

$$\text{PMA} = \frac{\text{ქულათა ჯამი}}{3 \times \text{კბილთა რაოდენობა}} \times 100\%$$

კბილების ნაწილობრივი დაკარგვის შემთხვევაში გაყოფა ხდება არსებული კბილების რაოდენობაზე.

ნორმაში PMA = 0, რაც მეტია PMA მაჩვენებელი მით მეტია გინგივიტის ინტესიობა.

PMA ინდექსის შეფასების კრიტერიუმებია:

30% და ნაკლები – გინგივიტის იოლი ფორმა

31-60% - საშუალო სიმძიმის ხარისხი

61% და მეტი – მძიმე ხარისხი.

2.3 ლაბორატორული კვლევები

ლაბორატორული გამოკვლევა პაციენტებს ჩაუტარდათ სამჯერადად: 1 - პროთეზირებამდე მათი საპროთეზოდ მომზადების პერიოდში ; 2 - პროთეზის ჩასმიდან მე-2, მე-3 დღეს – მაქსიმალური გაღიზიანების ფაზაში; 3 - ერთი თვის შემდეგ, რაც მეტნაკლებად შეესაბამება შეკავების ფაზას.

2.3.1. ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობის განსაზღვრა:

ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობის განსაზღვრა მოხდა „Cusabio“ იმუნოფერმენტული ტესტ-სისტემის საშუალებით.

2.3.2. ნერწვში ციტოკინების განსაზღვრა:

ნერწვში ციტოკინების IL1β, IL10 რაოდენობრივი მაჩვენებლები ისაზღვრებიდა, იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით რეაქტივების გამოყენებით.

2.3.3. პაციენტების ნერწყვში რედოქს ბალანსის განსაზღვრა

პაციენტების ნერწყვში, რედოქს ბალანსის განსაზღვრის მიზნით ნერწყვში ვსაზღვრავდით პეროლქსილ-რადიკალების (LOO·) შემცველობას და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ)) აქტივობას.

პეროქსილრადიკალების (LOO.) განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით სპინხაფანგს α-ფენილ-ტერტბუტილნიტრონ (PBN) (SIGMA), დოზით 50 მM 0,5 მლ სისხლზე. LOO·-ს ეპრ სპექტრებს ვსაზღვრავდით ეპრ რადიოსპექტრომეტრზე РЭ-1307 ოთახის ტემპერატურაზე მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 მვტ.

ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ)) აქტივობას ვსაზღვრავდით, სპექტროფოტომეტრული მეთოდით სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით (43,50).

2.3.4 პაციენტების ნერწყვში თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობის განსაზღვრა:

პაციენტების ნერწყვში, თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობა ისაზღვრებოდა, ეპრ მეთოდით სპინხაფანგის ნატრიუმის დიეთილ-დითიო-

კარბამატის (SIGMA) გამოყენებით, რადიოსპექტრომეტრზე РЭ-1307 თხევადი აზოტის ტემპერატურაზე, მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 მვტ.

2.3.5 ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობა

ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობას ვსაზღრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით. მეთოდი ეფუძნება ანტრანილის მჟავას პ-N,N-დიმეთილენდიამინთან რეაქციას შედეგად ($S_2O_8^{-2}$–ის თანაოისას) ინტენსიურად შეფერილი პროდუქტის წარმოქმნით (აბსორბციის მაქსიმუმი 670-320ნმ) (120).

2.4. ექსპერიმენტული მოდელირება Jurkat და MDCK უჯრედების სამოდელურ სისტემაში

საპროთეზო მასალის ტოქსიურობის მოლეკულური მექანიზმების დადგენის მიზნით, ჩვენ შევისაწვლეთ მისი აქტივობა Jurkat და MDCK უჯრედების სამოდელო სისტემში.

ადამიანის ლეიკემია ტრანსფორმირებული მომწიფებული T-უჯრედები (Jurkat უჯრედები, გამოყოფილი ლეიკემიით დაავადებული 14 წლის ბიჭის სისხლიდან 1970 წელს) ფართოდ გამოიყენება T-ლიმფოციტების სასიგნალო გზების შესწავლისათვის.

MDCK უჯრედები (გამოყოფილი S. H. Madin-ისა და N. B. Darby-ს მიერ ზრდასრული მდედრობითი სქესის კოკერ-სპანიელის თირკმლიდან 1958 წელს) ჩვეულებრივად გამოიყენება, ეპითელური უჯრედების მოდელის სახით ეპითელური უჯრედების სხვადასხვა სახის აქტივობისა და ფუნქციების – პროტექციის, აბსორბაციის, მგრძნობელობის რეცეფციის და სეკრეციის შესწავლის მიზნით, პირის ღრუს ეპითელური უჯრედები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პირის ღრუს მიერ სხვადასხვა ნაერთების აბსორბციისა და სეკრეციის პროცესებში.

კვლევაში გამოყენებულია Jurkat (DSMZ-Deutshe Sammulung von Mikroorganismen und Zellkulturen (Germania)) და MDCK (ლუგარის ლაბორატორია, თბილისი, საქართველო) უჯრედები.

2.4.1 უჯრედული კულტურა:

ადამიანის ლეიკემია ტრანსფორმირებული მომწიფებული T უჯრედები (Jurkat უჯრედები) (DSMZ-Deutshe Sammulung von Mikroorganismen und Zellkulturen (Germania)). უჯრედები მრავლდებიან ბიოლოგიური აქტიური არეში RPMI 1640 (GIBSO), ინაქტივიტებული ემბრიონული ხბოს შრატის (Sigma), L-გლუტამინის (4mM), პენიცილინის (100 ერთ/მლ) და სტრეპტომიცინის (100 ერთ/მლ) შემცველ სუსპენზიაზე 370 ტემპერატურაზე, ნოტიო 5% CO_2 შემცველ სუსპენზიაში. ექსპერიმენტები ჩატარდება უჯრედების კონცენტრაციაზე 0,3 – 0,6 ხ 106 უჯრედი 1 მლ არეში.

MDCK უჯრედები იზრდებოდა 37 °C ტემპერატურაზე, 5% CO_2-ს, Eagle's Medium (DMEM) (Mediatech, Herndon, VA), დამატებული 5% ხბოს ემბრიონულ შრატთან (FBS), ITS-თან, პენიცილინთან (100 U/mL) და ანტისტრეპტომიცინთან (100 U/mL).

2.4.2 უჯრედების სტიმულაცია:

უჯრედების საინკუბაციო სუსპენზიაში ემატებოდა გამოსაკვლევი საპროტეზო მასალა (Prothyl hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax). ინკუბაცია გრძელდებოდა 24 და 48 საათის განმავლობაში. საპროთეზო მასალების შედარებითი ტოქსიურობის შეფასების მიზნით უჯრედებში შესწავლილი იქნა, აგრეთვე, რედოქს სისტემის ცვლილებები (ეპრ სპექტროსკოპიის და სპექტროფოტომეტრული მეთოდით), ჯურკატ უჯრედებში აპოპტოზის ინტენსივობა (გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით).

2.4.3 საპროთეზო მასალების შედარებითი ტოქსიურობის შეფასება :

საპროთეზო მასალების შედარებითი ტოქსიურობის შეფასების მიზნით ვახდენდით Jurkat და MDCK უჯრედების ინკუბაციის შემდგომი

სიცოცხლისუნარიანობის შეფასება MTT ტესტით სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით.

2.4.4. ოქსიდაციური რედოქს-ჰომეოსტაზის შეფასება:

Jurkat და MDCK უჯრედების კულტურაში ოქსიდაციური სტრესის რედოქს-პარამეტრების, სუპეროქსიდრადიკალის (O2-), ლიპოპეროქსილ რადიკალის (LOO.) და თავისუფალი აზოტის ჟანგის (NO) განსაზღვრას ვაწარმოებდით, ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის (ეპრ) მეთოდით სპინ-ხაფანგების გამოყენებით რადიოსპექტრომეტრზე РЭ-1307 (რუსეთი).

Jurkat და MDCK უჯრედების კულტურაში ანტიოქსიდანტური ფერმენტების, კატალაზასა და სუპეროქსიდდისმუტაზას, აქტივობა განსაზღვრულია სპექტროფოტომეტრული მეთოდით. წინასწარ ვაწარმოებთ Jurkat უჯრედების დაშლას, რისთვისაც 30 წუთის განმავლობაში ვამუშავებდით ულტრაბგერით ყინულის ტემპერატურაზე (147). ფერმენტის აქტივობა გამოიხატება ერთეულით/მგ ცილაზე. ცილის შემცველობას საზღვრავენ O.H. Lowry-ს მეთოდით (164).

2.4.5 გამდინარე ციტომეტრიის მეთოდი:

უჯრედულ კულტურაში მიტოქონდრიული პოტენციალის ΔΨ-ს მნიშვნელობა განსაზღვრული იქნა, გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით ლიპოფილური კათიონური სინჯის 3,3'-dihexyloxacarbocyanine iodide - $DiOC_6$ გამოყენებით. გამდინარე ციტომეტრია ფლუორესცენტულ სინჯთან ერთად უჯრედების დიდი რაოდენობის ჰეტეროგენულ პოპულაციაში მიტოქონდრიული მემბრანული პოტენციალის განსაზვრის საშუალებას იძლევა. ანალიზისათვის საკმარისია უჯრედების შედარებით მცირე რაოდენობა (10^3-10^5), რომლებიც იღებება დაბალი კონცენტრაციის პირობებში (<1 μM) (Castedo et al., 2002). მიტოქონდრიული პოტენციალის განსაზღვრის მიზნით აწარმოებენ 1×10^5 უჯრედის ინკუბაციას $DiOC_6$-ის 0.2 μM -ის 0.2 μM-ულ ხსნარის 120 მლ –ში 15 წუთის განმავლობაში 37° C

ტემპერატურაზე. კვლევები ჩატარდა აპარატზე Becton Dickinson (US); $DiOC_6$-ის აგზნება ვლინდება ტალღის სიგრძეზე 488 ნმ, ემისია იზომება 530 ნმ-ზე.

2.4.6 უჯრედულ კულტურაში უჯრედების უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების შესწავლა.

უჯრედების, უჯრედული ციკლის ფაზებში გადანაწილების შესწავლა ჩატარდა, გამდინარე ციტომეტრიის საშუალებით პროპოდიუმ იოდიტის შეღებვის მეთოდით. პროპოდიუმ იოდიტით შეღებვის მეთოდი, ფართოდ გამოიყენება უჯრედული ციკლის სურათის მიღებისათვის. პროპოდიუმ იოდიტი (ინტერკალატორალური საღებავი) უკავშირდება დნმ-ის დიპლოიდურ ჯაჭვებს და საშუალებას იძლევა წარმოდგენა მივიღოთ უჯრედული ციკლის ფაზებში დნმ-ის გაორმაგებული ჯაჭვების განაწილების შესახებ (119), უჯრედები ფიქსირდება 70%-ან ეთანოლში ტემპერატურაზე +40C 12 საათის განმავლობაში. ეთანოლის მოშორების შემდეგ უჯრედულ ნალექს უმატებენ PNK-აზას (სიგმა) (10 μგ/μლ) და აწარმოებენ ინკუბაციას 30 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. შემდეგ უჯრედებს უტარებენ სუსპენდირებას პროპოდიუმ იოდიტის ხსნარში. უჯრედების ოთახის ტემპერატურაზე 30 წუთიანი ინკუბაციის შემდეგ მიმდინარეობს გაზომვა გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით.

2.5 სტატისტიკური ანალიზი

მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 10.0) პროგრამული პაკეტით. შედეგები მიღებულ იქნა საშუალო და საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილება. სხვაობა ჯგუფებს შორის შეფასდა სტუდენტ ტ+ კრიტერიუმით. ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრებოდა $P<0,05$-ით.

თავი III. საკუთარი კვლევის შედეგები

3.1 მოსახსნელ პროთეზებთან შეგუების პირობებში კლინიკური გამოკვლევების შედეგები.

დაკვირვებები ხდებოდა პროთეზირებამდე, პროთეზების ჩასმიდან მე-3 და 30 დღეზე. რადგანაც ასაკობრივი სხვაობა პაციენტებს შორის საკმაოდ განსხვავებული იყო შედარებისთვის უპირატესობას ვანიჭებდით არა ნორმის ფარგლების მაჩვენებლებს არამედ პროთეზირებამდე მიღებულ სიდიდეებს.

3.2 მოსახსნელ პროთეზებთან შეგუების პროცესში მიღებული კლინიკური მაჩვენებლები.

წარმატებული პროთეზირება დამოკიდებულია მრავალი ფაქტორების ერთბლიობაზე: 1.პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობა: 2. სწორად ჩატარებული კინიკო-ლაბორატორიული ეტაპები პროთეზების დამზადების დროს; 3. საპროთეზო ველის მდგომარეობა; 4. პაციენტის მონაწილეობა პირის ღრუს ნორმალური ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნებაში.

მოსახსნელი პროთეზებით პროთეზირებისას საპროთეზო ველის ლორწოვანი გარსის ანთების ობიექტური შეფასებისთვის ვიყენებთ შილერ-პისარევის სინჯს. საპროთეზო ველის შეღებვა ხდებოდა არა მარტო საპროთეზო ველის დაზიანებული ფართობის განსაზღვრისათვის, არამედ აგრეთვე ეს გვეხმარებოდა პროთეზის ბაზისის ზუსტი კორექციისათვის.

საპროთეზო ველის ქსოვილის კლინიკური შეფასება ხდებოდა, პროთეზირებამდე და პროთეზების ჩასმიდან მე-3 და 30-ე დღეს.

პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებლები API ინდექსი პროთეზირებამდე იყო ოპტიმალური 22,6 ± 1.3%, ხოლო მე-3, 4 დღეს ის იზრდებოდა დაახლოებით 60%-ით, 30-ე დღეს კი მცირდებოდა დაახლოებით 5%-ით და აღწევდა 34,4 ± 1,3%, რაც არის საკმარისი პირის ღრუსთვის, მაგრამ არა ოპტიმალური.

ცხრილი №2

I ,II და III ჯგუფებში შემავალი პაციენტების პირის ღრუს კლინიკური ინდექსები, დაკვირვება დინამიკაში

(პროთეზირების შემდეგ გართულებების მკურნალობა და პროფილაქტიკა დინამიკაში)

მაჩვენებლები	პროთეზირებამდე	პროთეზის კორექცია		ფირფიტონი პროთეზის კორექცია+სავლები		ბიგელისებ პროთეზის კორექცია+სავლები		ნეილონის პროთეზი კორექცია+სავლები	
		3 დღე	**30 დღე**	**3 დღე**	**30 დღე**	**3 დღე**	**30 დღე**	**3 დღე**	**30 დღე**
	n=90	**n=90**	**n=90**	**n=15**	**n=15**	**n=15**	**n=15**	**n=15**	**n=15**
API %	22,6±1,3	36,2±1,1	34,4±1,3	29,8±1,4	24,2±1,6	28,6±1,7	23,4±12	26,4±1,2	24±1.1
PMA %	0	34,8±0,8	49,2±1,7	30,9±1,1	16,8±0,3	29,4±1,2	10,5±11	27,5±1,4	10,2±1,4
შილერ-პისარევის სინჯის გამოყენე-ბის სიხშირე %	0	35,7±0,5	57,2±0,4	30,4±0,6	12,3±0,3	25,8±1,2	11,2±02	20.4±1,2	10,1±1,2

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

პროთეზირებამდე API ინდექსი იყო უფრო ნაკლები ვიდრე მესამე დღეს ხოლო 30-ე დღეს, ის მცირდებოდა მე-3 დღეს მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით, მაგრამ იყო მაინც უფრო მეტი ვიდრე პროთეზირებამდე. რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაციენტები არ ხმარობდნენ პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ საშუალებებს, პროთეზების კორექცია და მისი მექანიკური

ხარვეზების აღმოფხვრა, ხელს უწყობს API ინდექსის დაქვეითებას. იმ პაციენტებში, რომლებმაც პროთეზებთან შეგუების პერიოდში იხმარეს პროთეზებისა და პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ საშუალებები და უტარდებოდათ პროთეზების კორექცია, პტოთეზირებიდან მე-3 დღეს API ინდექსი მომატებული ჰქონდათ დაახლოებით 35%-ით, ხოლო 30 დღის შემდეგ ის თითქმის უტოლდებოდა საწყის მაჩვენებელს.

პროთეზირებამდე პაციენტებში PMA ინდექსი თითქმის არ რეგისტრირდებოდა, ე.ი. ღრძილის პაპილო-მარგინო-ალვეოლარული შეღებვა არ აღინიშნებოდა. მე-3, 4 დღეს კი ის უკვე აღწევდა 35%, რაც მიუთითებდა ანთების დაწყების ნიშნებს. 30-ე დღეს ის კიდევ იზრდებოდა 49%-მდე ე.ი. ანთებითი პროცესი განიცდიდა პროგრესირებას (ვინც არ იყენებდა ჰიგიენურ საშუალებებს). შესაბამისად პროთეზების მარტო კორექცია დამხმარე საშუალებების გამოყენების გარეშე თავიდან ვერ აგვაცილებს საპროთეზო ველსა და ღრძილის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ 30-ე დღეს პაციენტები სუბიექტურად არ აღნიშნავდნენ ჩივილებს. პაციენტებში, რომლებმაც პროთეზებთან შეგუების პერიოდში იხმარეს პროთეზებისა პირის ღრუს მოვლის ჰიგიენურ საშუალებები და უტარდებოდათ პროთეზების კორექცია, პტოთეზირებიდან მე-3 დღეს PMA ინდექსი აღწევდა დაახლოებით 30%-ს, ხოლო 30 დღის შემდეგ ფირფიტოვანი პროთზის ხმარების შემთხვევაში მცირდებოდა 16,8 %-მდე, ბიგელისებური პროთზის ხმარების შემთხვევაში კი მცირდებოდა 10,5%-მდე, ნეილონის პროთეზების ხმარებისას ასევე მცირდებოდა 10,2%-მდე.

ჰიგიენური საშუალებების ხმარების გარეშე პრთეზების ჩასმიდან მე-3, 4 დღეს შილერ-პისარევის სინჯი (++) და (+++) დაუფიქსირდათ პაციენტების 35%-ს, 30 დღის შემდეგ ასეთი მაჩვენებლები ჰქონდათ პაციენტების 57%-ს. ხოლო ჰიგიენური საშუალებების ხმარებისას მე-3 დღეს შილერ-პისარევის სინჯი (++) და (+++) დაუფიქსირდათ პაციენტების 30%-ს (ფირფიტოვანი პროთზის ხმარების შემთხვევაში) , 25%-ს (ბიგელისებური პროთზის ხმარების შემთხვევაში) და 20%-ს (ნეილონის პროთეზების ხმარებისას).30-ე დღეს კი 12%-ს (ფირფიტოვანი პროთზის ხმარების შემთხვევაში), 11%-ს (ბიგელისებური პროთზის ხმარების შემთხვევაში) და 10,1%-ს (ნეილონის პროთეზების ხმარებისას).

შესაბამისად აუცილებელია ორგანიზმის ანტიოქსიდანტური დაცვის გაზრდა. რაც ხელს უწყობს, ანთებადი ტრავმული დაზიანებების შემცირებას, მას აქვს ანტისტრესული და ადაპტოგენური თვისებები და ხელს უწყობს რეპარაციული პროლიფერაციის პროცესს.

3.3 ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა

ცხრილში №3 მოყვანილია პაციენტების ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობის ცვლილებები, სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Ftorax-ის (ჯგუფი Iა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა 68%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 55%-ს შეადგენს (2,5 ჯერ აღემატენა საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIა), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა P53-ის შემცველობა 50%-ით მცირდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი კიდე 10%-ით მცირდება (თითქმის 2,8-ჯერ აღემატება საკონტროლო მაჩვენებელს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა 53%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 53%-ს შეადგენს (2,2 ჯერ აღემატენა საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Ftorax (ჯგუფი Iბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ

ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა მნიშვნელოვნად (7%-ით მცირდება) არ იცვლებოდა საწყის დონესთან შედარებით, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 32%-ს შეადგენს (1,68jჯერ აღემატება საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIბ), რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა P53-ის შემცველობა 50%-ით მცირდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი აგრძელებს შემცირებას და უტოლდება საკონტროლო მაჩვენებელს.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა არ იცვლებოდა საწყის დონესთან შედარებით, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 28%-ს შეადგენს (1,4 ჯერ აღემატება საკონტროლო დონეს).

ჩვენ გამოვიყენეთ ცილა P53-ის, როგორც პირის ღრუს ქსოვილებში აპოპტოზის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ღრძილის დაზიანება შედარებით დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ცხრილი №3

პაციენტების ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში

	პროთეზის გამოყენებამდე I (მმ/მგ)	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს I (მმ/მგ)	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ I (მმ/მგ)
კონტროლი	2,5,0±0,7		
Iა	11,8±2,8	19,9±2,3*	6,5±2,2*
IIა	15,5±3,5	8,1±3,6*	6,8±1,4
IIIა	11,9±2,6	18,3±2,0*	6,4±2,0*
Iბ	13,2±2,2	12,3±2,1*	4,2±2,2*
IIბ	15,8±3,6	7,0±2,4*	2,8±2,6
IIIბ	12,4±1,8	12,0±2,0*	3,5±2,1*

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

3.4 ნერწვში ციტოკინების განსაზღვრა

ცხრილში №4 მოყვანილია პაციენტების ნერწყბში IL1β, IL10 შემცველობის ცვლილებები სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Ftorax (ჯგუფი Iა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა 21%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 20%-ით მცირდება, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება კიდე 13%-ით.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIა), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში

IL1β-ის შემცველობა 21%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; IL10-ის შემცველობა თითქმის არ იცვლება მთელი დაკვირვების განმავლობაში.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ნეილონის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა 9%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 17%-ით მცირდება, ხოლო 1 თვის შემდეგ იწყებს იკლებს კიდე 3%-ით.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Ftorax (ჯგუფი Iბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა 10%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგ ; IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 19%-ით მცირდება, და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIბ), რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოყენებისას, ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ, ნერწყვში IL1β-ის შემცველობა 36%-ით იზრდება და 1 თვის შემდეგ მცირდება 20%-ით; IL10-ის შემცველობა თითქმის არ იცვლება მთელი დაკვირვების განმავლობაში.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა14%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგ ; IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 19%-ით მცირდება, და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

ანუ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების შემცველობის ცვლილებები და მათ შორის ბალანსის დარღვევა, რაც ღრძილის ქსოვილში ანთების განვითარებაზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია Iა ჯგუფის პაციენტები, სადაც ნერწყვის

იმუნური ბალანსის პროანთებითისაკენ გადახრა განსაკუთრებით ძლიერია, როგორც 3 დღის, ასევე 1 თვის შედეგაც.

ცხრილი №4

პაციენტების ნერწყვში IL1β, IL10 შემცველობა პროთეზების გამოყენების

		პროთეზის გამოყენებამდე	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ
კონტროლი	IL1β	20,0±2,8		
	IL10	25,1±3,6		
	IL1β/IL10	0.8		
Iა	IL1β	21,5±2,1	26,1±3,0*	25,6±3,0*
	IL10	26,2±2,8	21,0±2,0*	18,0±2,7*
	IL1β/IL10	0,8	1,2	1,4
IIა	IL1β	20,6±2,5	25,1±2,7	23,0±2,9
	IL10	26,1±2,9	23,9±2,4	24,1±2,0
	I1β/I1β10	0,8	1,1	1,0
IIIა	IL1β	21,5±2,1	23,7±3,9*	23,6±3,8*
	IL10	26,2±2,8	24,1±2,9*	23,6±2,6*
	ILβ/IL10	0,8	1,0	1.0
Iბ	IL1β	21,4±2,2	23,5±3,0*	23,8±3,1*
	IL10	26,0±2,6	21,8±2,7*	20,9±2,6*
	IL1β/IL10	0,8	1,2	1,1
IIბ	I1β	19.8±2,2	26,9±2,2*	22,3±3,0
	I10	25,1±3,6	22,9±2,4	23,5±2,7
	I1β/I1β10	0,8	1,17	0,8
IIIბ	IL1β	20,9±2,0	23,7±3,9*	22,7,6±3,8*
	IL10	25,8±3,0	20,9±2,9*	20,6±2,6*
	IL1β/IL10	0,8	1.1	1,1

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

3.5 პაციენტების ნერწყვში რედოქს ბალანსის განსაზღვრა

ცხრილში №5 მოყვანილია, პაციენტების ნერწყვში ლიპოპეროქსიდების შემცველობისა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სოდ-ის) აქტივობის ცვლილებები, პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის (Ftorax. ჯგუფი Iა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ, პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში კატალაზას აქტივობა 30%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 17%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ იწყებს კლებას და მცირდება 8%-ით.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIა), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში კატალაზას აქტივობა 26%-ით იზრდება და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდე; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 13%-ით იზრდება და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყისი მაჩვენებლების დონემდე.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ნეილონის (Perflex Flexi Nylon. ჯგუფი IIIა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში კატალაზას აქტივობა 15%-ით იზრდება და 1 თვის შემდეგაც უბრუნდება საწყის მაჩვენებლებს; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 6%-ით იზრდებ და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის (Ftorax. ჯგუფი Iბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას, ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ, ნერწყვში კატალაზას აქტივობა 32%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის

აქტივობა 3 დღის შემდეგ 22%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება 10%-ით.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIბ), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას, ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში კატალაზას აქტივობა 11%-ით იზრდება და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდე; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 13%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება საწყისი მაჩვენებლების დონემდე.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ნეილონის ბაზისით (Perflex Flexi Nylon ჯგუფი IIIბ) დამზადებული, მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში კატალაზას აქტივობა 11%-ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 4%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება საწყისი მაჩვენებლების დონემდე.

ანუ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიოქსიდანტური სისტემის ბალანსის დარღვევა, კერძოდ ადგილი აქვს ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციის (რაც ლიპოპეროქსიდების გამოჩენით ვლინდება) ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივაციას.

ცხრილი №5

პაციენტების ნერწყვში ლიპორექსიდების შემცველობა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სოდ-ის) აქტივობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში

		პროთეზის გამოყენებამდე	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ
კონტროლი	კატალაზა	12,8±1,8		
	სოდ	47,1±3,9		
	LOO	-		
Iა	კატალაზა	13,0±2,0	17,1±3,2	16,3±3,1*
	სოდ	46,0±2,2	54,2±3,7*	50,2±2,1*
	LOO	-	1,2±0,2	1,0±0,2
IIა	კატალაზა	13,4±2,8	16,9±2,12	12,3±3,0
	სოდ	46,7±2,2	52,9±2,1	48,5±2,1
	LOO	-	1,1±0,2	-
IIIა	კატალაზა	13,1±2,0	15,1±3,2	13,3±3,1*
	სოდ	46,3±2,2	49,2±3,4*	48,2±2,8*
	LOO	-	1,0±0,2	1,0±0,6
Iბ	კატალაზა	13,8±2,6	18,3±2,5*	17,3±3,5*
	სოდ	45,7±2,3	55,6±3,6*	50,9±2,9*
	LOO	-	1,0±0,3	1,0±0,2
IIბ	კატალაზა	13,8±2,6	15,1±2,4	13,0±2,2
	სოდ	48,0±1,9	53,9±2,1	48,9±2,4
	LOO	-	1,1±0,2	-
IIIბ	კატალაზა	13,8±2,6	15,3±2,5*	15,3±3,5*
	სოდ	45,7±2,3	47,6±3,6*	45,9±2,9*
	LOO	-	1.0±0,3	1,0±0,2

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

3.6 პაციენტების ნერწყვში თავისუფალი აზოტის ჯანგის შემცველობა

ცხრილში №6, მოყვანილია პაციენტების ნერწყვში აზოტის ჟანგის შემცველობის ცვლილებები, სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის (Ftorax. ჯგუფი Iა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის გამოყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 40%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ, ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 130%-ს შეადგენს.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIა), რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 38%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 117%-ს შეადგენს.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ნეილონის ბაზისით (Perflex Flexi Nylon Ftorax ჯგუფი IIIა) დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის გამოყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 22%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ რჩება ამ დონეზე.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის (Ftorax. ჯგუფი Iბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის გამოყენებისას ხმარობდნენ, პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 43%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 120%-ს შეადგენს.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIბ), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ, პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 29%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და თითქმის უტოლდებოდა საწყისი მაჩვენებლების დონეს.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ნეილონის ბაზისით (Perflex Flexi Nylon. ჯგუფი IIIბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზის გამოყენებისას ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 35%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 107%-ს შეადგენს.

ჩვენ გამოვიყენეთ აზოტის ჟანგი, როგორც პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული ანთბებითი პროცესის ინტენსივობის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს, ანთებითი პროცესების შედარებით დაბალი ინტებსივობის შესახებ. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება, პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ცხრილი №6

პაციენტების ნერწყვში აზოტის ჟანგის შემცველობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში

	პროთეზის გამოყენებამდე I (მმ/მგ)	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს I (მმ/მგ)	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ I (მმ/მგ)
კონტროლი	5,0±0,7		
Iა	5,7±0,8	8,0±0,8*	7,4±0,5*
IIა	5,8±0,6	8,0±0,4*	6,8±0,6
IIIა	5,7±0,8	7,0±0,8*	6,8±0,5*
Iბ	5,3±0,6	7,5±0,5	6,4±0,7
IIბ	5,5±0,5	7,1±0,6	5,8±0,4
IIIბ	5,3±0,6	7,2±0,5	5,9±0,7

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

3.7 ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობა

გამოკვლეული პაციენტების ნერწყვში არ გამოვლინდა, ანტრანილის მჟავას შემცველობის სარწმუნო ცვლილებები, რაც პროთეზების ხმარებისას ნერწყვის ანტიმიკრობული დაცვის შენარჩუნებაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგები მოწმობენ, ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს, ღრძილის დაზიანება შედარებით დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

3.8 ექსპერიმენტული მოდელირება Jurkat უჯრედების სამოდელო სისტემაში

3.8.1 საპროთეზო მასალებს Prothyl hot, Perflex Flexi Nylon და Ftorax-ის ტოქსიკურობის შესწავლა Jurkat უჯრედების სამოდელო სისტემაში

ცხრილში №7 მოყვანილია საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax-ის ციტოტოქსიურობის შეფასების შედეგები (MTT ტესტის შედეგები).

როგორც ცხრილში მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარეობს, Jurkat უჯრედების საპროთეზო მასალებთან (Prothyl hot, Ftorax-ის სითხესთან) 24 საათიაანი ინკუბაციის შემდეგ. Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში, საპროთეზო მასალის Prothyl hot-ის სითხის დამატებისას უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,93). Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში, Prothyl Hot-ის ფხვნილის დამატებისას ამ უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა არ იცვლება, საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=1,06). Jurkat უჯრედების სითხესთან და ფხვნილთან ერთდროული 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ, უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა აგრეთვე არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე (K=1,06). Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში საპროთეზო მასალის Ftorax-ის პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული პლასტმასის უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,96). Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში საპროთეზო მასალის Perflex Flexi Nylon-ის ფხვნილის დამატებისას უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=1,06).

მაშასადამე, როგორც ჩანს გამოყენებული საპროთეზო მასალები (Prothyl Hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax) არ იწვევენ Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობას შეცვლას და, მაშასადამე არ ხასიათდებიან ტოქსიურობით.

ცხრილი №7

Jurkat უჯრედების პროლიფერაციული აქტივობის ცვლილებები საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax-ის კომპონენტებთან (სითხე და ფხვნილი) ინკუბაციის პირობებში

მასალა		K
არე	0,01±0,001	
Jurkat	0,3±0,01	1
Jurkat + Prothyl Hot -ის სითხე 0,013 μg	0,28±0,01	0,93 p>0,1
Jurkat + Prothyl Hot- ის ფხვნილი 31 μg	0,32±0,01	1,06 p>0,1
Jurkat + Prothyl Hot-ის პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული საპროთეზო პლასტმასა	0,32±0,02	1 p>0,1
Jurkat + Ftorax 35 μg	0,29±0,02	0,96 p>0,1
Jurkat + Perflex Flexi Nylon 35 μg	0,32±0,01	1,06 p>0,1

*-სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით($p<0.001$).

3.8.2 საპროთეზო მასალის ზემოქმედება Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტურ პოტენციალზე

ცხრილში N8 მოყვანილია მონაცემები Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტური აქტივობის ცვლილებების შესახებ საპროთეზო მასალებთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ. მოყვანილი მონაცამებიდან გამომდინარეობს, რომ Prothyl Hot-

ის ფხვნილთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში სოდ-ისა და გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო კატალაზას აქტივობა 2 ჯერ იზრდება, საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით.

Prothyl Hot - ის სითხესთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში სოდ-ის აქტივობა 150%-ით, გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა 116%-ით, ხოლო კატალაზას აქტივობა 50%-ით მატულობს საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით.

პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული საპროთეზო პლასტმასასთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ, Jurkat უჯრედებში სოდ-ის აქტივობა 250%-ით, გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა 33%-ით, ხოლო კატალაზას აქტივობა 130%-ით მატულობს საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით. მოყვანილი კვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საპროთეზო მასალის კომპონენტები არ ავლენენ ციტოტოქსიურობას, მაგრამ იწვევენ Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივაციას (განსაკუთრებით ერთდროული მოქმედების შემთხვევაში). ვვარაუდობთ, რომ ამ მასალების ზემოქმედებით უჯრედებში ადგილი აქვს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ცვლილებებს და ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის ზრდა ატარებს კომპენსატორულ ხასიათს (5.).

Jurkat უჯრედების და საპრთეზო მასალის Prothyl Hot კომპონენტებთან ერთობლივი ინკუბაციის ფონზე ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივაცია მიუთითებს ჟანგვითი პროცესების ინტენსიფიკაციაზე. როგორც ჩანს ჟანგვითი პროცესების ინტენსიფიკაცია განსაკუთრებით მაღალია საპროტეზო მასალის Prothyl Hot კომპლექსთან ინკუბაციის შემთხვევაში.

ცხრილი №8

Jurkat უჯრედების კულტურაში ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის ცვლილებები

საპროთეზო მასალის Prothyl Hot -ის კომპონენტებთან (სითხე, ფხვნილი და პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული საპროთეზო პლასტმასა (კომპლექსი)) ინკუბაციის პირობებში

		გლუტათიონ-რედუქტაზა (ნმოლ NADPH/წუთ 1მგ ცილაზე)	სუპეროქსიდ-დისმუტაზა (ნმოლ NADPH/წუთ 1მგ ცილაზე)	კატალაზა (ნმოლ NADPH/წუთ 1მგ ცილაზე)
1	Jurkat	277.8±20.0	22.2±2.0	1.8±0.9
2	Jurkat + Prothyl Hot - ის ფხვნილი 0,013 μგ	294±12.0	22.0±2.7	3.5±0.8*
3	ჯურკატ + Prothyl Hot - ის სითხე 0,013 μგ	600.2±29.0*	56.3±2.1*	2.7±0.6*
4	Jurkat + Prothyl Hot პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული საპროთეზო პლასტმასა	369±22.0*	77.6±2.9*	4.2±0.5*

*-აღნიშნულია სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საკონტროლო დონესთან შედარებით ($p<0.001$).

3.8.3 საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat უჯრედებში ლიპო- და სუპეროქსიდრადიკალების წარმოქმნის ინტენსიბობაზე

Jurkat უჯრედების საპროთეზო მასალის Prothyl Hot კომპონენტებთან ერთობლივი ინკუბაციის ფონზე ჟაგვითი მეტაბოლიზმის ინტენსიფიკაციისა და ჟანგბადის რეაქციული ნაერთების წარმოქმნის გაძლიერების შესახებ მეტყველებს აგრეთვე ეპრ სპექტროსკოპული კვლევის მონაცემები (ცხრილი№9).

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ Jurkat უჯრედების საპტოთეზო მასალასთან Prothyl Hot კომპონენტებთან ერთობლივი ინკუბაციის ფონზე, იზრდება სუპეროქსიდრადიკალებისა და ლიპოპეროქსიდრადიკალების (LOO·) შემცველობა.

ცხრილი №9

Jurkat უჯრედების კულტურაში სუპეროქსიდრადიკალებისა და ლიპოპეროქსიდრადიკალების (LOO.) ეპრ სიგნალების ინტენსივობა საპროთეზო მასალის Prothyl Hot -ის კომპონენტებთან (სითხე, ფხვნილი და კომპლექსი) ინკუბაციის პირობებში

		სუპეროქსიდ რადიკალები (O_2^-)	ლიპოპეროქსიდ რადიკალები (LOO·)
	Jurkat	0	0
	Jurkat + Prothyl Hot სითხე 0,013 μგ	2,0±0,5	2,8±0,3
	Jurkat + Prothyl Hot ფხვნილი 31 μგ	1,8±0,3	2,2±0,4
	Jurkat + Prothyl Hot კომპლექსი 35 μგ	2,2±0,4	2,4±0,5

*-აღნიშნულია სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საკონტროლო დონესთან შედარებით ($p<0.001$).

3.8.4 საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat ჯრედების ენერგეტიკულ პოტენციალზე

საპროთეზო მასალის Prothyl Hot და მის კომპონენტების ტოქსიურობის შეფასების მიზნით, ჩვენ შევისწავლეთ Jurkat უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის ამსახველი ენერგეტიკული მეტაბოლიზმის პარამეტრები, საპროთეზო მასალის კომპონენტების თანაარსებობისას და მათ გარეშე.

გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ Jurkat უჯრედების მიტოქონდრიული მემბრანული პოტენციალის (ΔΨ) მნიშვნელობა, სტაბილური იყო Prothyl Hot პოლიმერის სითხესთან (ფიგურა 1), ფხვნილთან (ფიგურა 2) და მთლიან პოლიმერთან ინკუბაციის შემთხვევაში (ფიგურა 3).

სპექტროფოტომეტრული და ციტომეტრული კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა რომ Prothyl Hot-ის პოლიმერთან ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის სტაბილობის შესახებ.

მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროტეზო მასალა Prothyl Hot არ ხასიათდება ტოქსიურობით. ხოლო Jurkat უჯრედების Prothyl Hot პოლიმერთან ან მის კომპონენტებთან ინკუბაციის შემდეგ, ჩვენს მიერ გამოვლენილი ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაცია განპირობებული შეიძლება იყოს, უჯრედებში განვითარებული ადაპტაციურ-კომპენსატორული რეაქციათა რიგით, საინკუბაციო არეში უცხო ნივთიერების (განსაკუთრებით სითხის) შეტანის საპასუხოდ.



ა



ბ

ფიგურა 1

Prothyl Hot-ის ზემოქმედება Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე (კვლევები ჩატარებულია გამდინარე ციტომეტრიის მეთოდის გამოყენებით) ა - ინტაქტური Jurkat უჯრედები; ბ - ინტაქტური Jurkat უჯრედები + Prothyl Hot სითხე



ა



ბ

ფიგურა 2

Prothyl Hot-ის ზემოქმედება Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე (კვლევები ჩატარებულია გამდინარე ციტომეტრიის მეთოდის გამოყენებით) ა - ინტაქტური Jurkat უჯრედები; ბ - ინტაქტური Jurkat უჯრედები + Prothyl Hot ფხვნილი



ა



ბ

ფიგურა 3

Prothyl Hot-ის ზემოქმედება Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე (კვლევები ჩატარებულია გამდინარე ციტომეტრიის მეთოდის გამოყენებით) ა - ინტაქტური Jurkat უჯრედები; ბ - ინტაქტური Jurkat უჯრედები + Prothyl Hot კომპლექსი

3.8.5 საპროთეზო მასალის ზემოქმედების შესწავლა Jurkat უჯრედების იმუნოლოგიურ მაჩვენებლებზე

იმუნოლოგიური კვლევის შედეგად, Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში პოლიმერის Prothyl Hot, ან მისი კომპონენტების შეტანის შემდეგ უჯრედების მიერ ექსპრესირებული პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების (IL-1β, IL-10) ექსპრესიის ინტენსივობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლენილი არ იყო (ცხრილი №10).

მაშასადამე, მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროტეზო მასალა Prothyl Hot ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- არ ავლენს ტოქსიურ გავლენას Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე (რაც ვლინდება მიტოქონდრიული მემბრანული პოტენციალის სტაბილურობით),
- არ ახდენს ზემოქმედებას უჯრედების, პრო-და ანტიანთებითი ციტოკინების ექსპრესიაზე,
- ხელს უწყობს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ინტენსიფიკაციას რაც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უჯრედებში განვითარებული კომპენსატორულ-ადაპტაციური რეაქცია.

ცხრილი №10

Jurkat უჯრედების კულტურაში ციტოკინების ექსპრესიის ცვლილებები საპროთეზო მასალის Prothyl Hot-ის კომპოლნენტებთან (სითხე, ფხვნილი და კომპლექსი) ინკუბაციის პირობებში

მასალა	IL-1β	IL-10
Jurkat	0,5±0,08	10,3±1,9
Jurkat + Prothyl Hot-ის სითხე 0,013 μg	0,8±0,2	11,3±2,1
Jurkat + Prothyl Hot - ისფხვნილი 31 μg	0,6±0,09	10,8±1,5
Jurkat + Prothyl Hot-ის კომპლექსი 35 μg	0,5±0,06	12,3±2,9

* -სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები კონტროლთან შედარებით (P<0.001).

3.9. საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon და Ftorax-ის ტოქსიკურობის შესწავლა MDCK უჯრედების სამოდელო სისტემაში

ცხრილში №11 მოყვანილია საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax-ის კომპონენტების (სითხესთან და ფხვნილთან) ციტოტოქსიურობის შეფასების შედეგები (MTT ტესტის შედეგები).

როგორც ცხრილში მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარეობს, MDCK უჯრედების საპროთეზო მასალებთან (Prothyl hot, Perflex Flexi Nylon და Ftorax-is) 24 საათიაანი ინკუბაციის შემდეგ. MDCK უჯრედების საინკუბაციო არეში საპროთეზო მასალის Prothyl hot-ის დამატებისას უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,91). MDCK უჯრედების საინკუბაციო არეში საპროთეზო მასალის Ftorax-ის სითხის უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,91). MDCK უჯრედების საინკუბაციო არეში საპროთეზო მასალის Perflex Flexi Nylon-ის ფხვნილის დამატებისას უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება, საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,97).

მაშასადამე, როგორც ჩანს გამოყენებული საპროთეზო მასალები (Prothyl Hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax) არ იწვევენ MDCK უჯრედების სიცოცხლის უნარიანობას შეცვლას და, მაშასადამე არ ხასიათდებიან ტოქსიურობით

ცხრილი №11

MDCK უჯრედების პროლიფერაციული აქტივობის ცვლილებები საპროთეზო მასალის Prothyl hot, Perflex Flexi Nylon, Ftorax-ის კომპონენტებთან (სითხე და ფხვნილი) ინკუბაციის პირობებში.

მასალა		K
არე	0,01±0,002	
MDCK	0,35±0,01	1
MDCK + Prothyl Hot 35 µg	0,32±0,01	0,91 p>0,1
MDCK + Ftorax 35 µg	0,32±0.02	0,91 p>0,1
MDCK + Perflex Flexi Nylon 35 µg	0,34±0,01	0 ,97 p>0,1

*- სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები კონტროლთან შედარებით (P<0.001).

თავი IV. მიღებული შედეგების განსჯა

კბილთა რკალის დეფექტების აღდგენა დაკავშირებულია პირის ღრუში ადამიანის ორგანიზმისათვის უცხო სხეულის ანუ კბილთპროთეზების შეტანასთან. პროთეზები კომპლექსურ ზემოქმედებას ახდენენ პირის ღრუს ყველა შემადგენელ ნაწილზე, რაც დაკავშირებულია კბილთპროთეზების როგორც მექანიკურ, ასევე ტოქსიურ-ალერგიულ ზემოქმედებასთან და აგრეთვე, პირის ღრუში პათოგენური ფლორის გავრცელებასთან. პროთეზის მექანიკური ზეწოლა, ან მისი მასალის ალერგიულ-ტოქსიკური ზემოქმედება, პირის ღრუს ლორწოვან ქსოვილში ანთებითი და დისტროფიული პროცესების განვითარებას განაპირობებს.

სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პირის ღრუს ქსოვილებთან ურთიერთქმედება და მათი მავნე (უარყოფითი) ეფექტის პრევენცია, კორექცია – სტომატოლოგიის ერთ-ერთი გადაუწყვეტელი და აქტუალური პრობლემაა. სტომატოლოგიის ამ დარგში კვლევები ძირითადათ ახალი საპროთეზო მასალების შემუშავებისაკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ინტერესს იპყრობს ახალი სამკურნალო პრეპარატების, საშუალებების და მეთოდების ძიება, რომლებიც მოქმედებენ პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის სხვადასხვა ჯაჭვებზე. აქედან გამომდინარე პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის საკვანძო რგოლების დადგენა და სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პათოლოგიური ზემოქმედების კორექციაზე მიმართული ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების ჩატარება, თანამედროვე ორთოპედიული სტომატოლოგიის ძალზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

პროთეზინდუცირებული გართულებების აცილება და ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების და კორექციის გზების შემუშავება, ამ გართულებების და დაზიანებების განვითარების მოლეკულური მექანიზმების დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ დაგვედგინა, ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი პროთეზების გამოყენების დროს პირის, ღრუში ანთებითი პროცესების ინტენსივობის (ოქსიდაციური სტრესის მაჩვენებლები და ციტოკინური ბალანსი,

აპოპტოზის მარკერი) ცვლილებების დადგენა და აქედან გამომდინარე პროთეზირების დროს პროფილაქტიკის ეფექტური ღონისძიებების სქემა.

გამოკვლეული იქნა 120 (30 საკონტროლო ჯგუფი) პაციენტი, რომლებიც ხმარობდნენ სხვადასხვა კონსტრუქციისა და მასალისგან დამზადებულ მოსახსნელ პროთეზებს (ნაწილობრივს და მთლიანს): პლასტმასის ფირფიტოვან (I ჯგუფი), ბიუგელისებურ (II ჯგუფი) და ნეილონის (ელასტიური) (III ჯგუფი) პროთეზებს. პაციენტების ნაწილი დაკვირვების პერიოდში ხმარობდა, ჩვენს მიერ შეთავაზებულ პირის ღრუსა და პროთეზის მოვლის ჰიგიენური საშუალებებს და ნაწილი არა (რადგანაც მათ სუბიექტური ჩივილები არ გამოუვლინდათ). ასეთ შემთხვევებში პროთეზების მოვლა და პირის ღრუს ჰიგიენა შემოიფარგლებოდა პირის ღრუს ირიგაციით და პროთეზების გარეცხვით გამდინარე წყლის ქვეშ.

პაციენტებს ჩაუტარდათ კლინიკური გამოკვლევა (გამოკითხვა, ანამნეზის შეკრება, დათვალიერება, ყბა-კბილთა სისტემის მდგომარეობის ობიექტური შეფასება, თანმხლები დაავადებების არსებობის დაფიქსირება), ვსაზღვრავდით საპროთეზო ველის ცვლილებასა და ღრძილის მდგომარეობას.

კლინიკური კვლევის შედეგად (პაციენტების გადმოცემით) დადგინდა, რომ კბილების დაკარგვის ძირითადი მიზეზები იყო კარიესული პროცესების გართულებები და პაროდონტის დაავადების გართულება.

ჩვენს მიერ შესწავლილ პაციენტებში პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებლები პროთეზირებამდე იყო ოპტიმალური 22,8 ± 1.3%, ხოლო პროთეზირების მე-3, 4 დღეს ის იზრდებოდა დაახლოებით 60%-ით, 30-ე დღეს კი მცირდებოდა დაახლოებით 5%-ით და აღწევდა 34,4 ± 1,3% (დიაგრამა 1).

ანუ, პროთეზირების შემდეგ პაციენტების პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებლები აღწევდა 34,4 ± 1,3%, რაც არის საკმარისი პირის ღრუსთვის, მაგრამ არა ოპტიმალური.

პროთეზირებამდე API ინდექსი იყო უფრო ნაკლები ვიდრე მესამე დღეს ხოლო 30-ე დღეს ის მცირდებოდა მე-3 დღეს მიღებულ მაჩვენებლებთან შედარებით, მაგრამ იყო მაინც უფრო მეტი ვიდრე პროთეზირებამდე. რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პაციენტები არ ხმარობდნენ პირის

ღრუს მოვლის ჰიგიენურ საშუალებებს, პროთეზების კორექცია და მისი მექანიკური ხარვეზების აღმოფხვრა ხელს უწყობს Api ინდექსის დაქვეითებას.



დიაგრამა 1

პაციენტების პირის ღრუს ჰიგიენური მაჩვენებლები ცვლილებები

1. პროთეზირებამდე ოპტიმალური მაჩვენებელი;
2. პროთეზირების შემდეგ 3-4 დღის მაჩვენებელი;
3. პროთეზირებიდან 30-ე დღის მაჩვენებელი.

ჰიგიენური საშუალებების ხმარებისას, პრთეზების ჩასმიდან მე-3, 4 დღეს შილერ-პისარევის სინჯი (++) და (+++) დაუფიქსირდათ პაციენტების 35,7%-ს, 30 დღის შემდეგ ასეთი მქჩვვენებლები ჰქონდათ 57%-ს. ლორწოვანი გარსის დაზიანების სიხშირე, რაც გამოწვეულია მოსახსნელი პროთეზების ხმარებით (სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობა $p<0.05$) (დიაგრამა 2).



დიაგრამა 2

შილერ-პისარევის სინჯი:

1. პროთეზირებამდე ოპტიმალური მაჩვენებელი;
2. პროთეზირების შემდეგ 3-4 დღის მაჩვენებელი;
3. პროთეზირებიდან 30-ე დღის მაჩვენებელი;

პროთეზირებამდე პაციენტებში PMA ინდექსი თითქმის არ რეგისტრირდებოდა, ე.ი. ღრძილის პაპილო-მარგინო-ალვეოლარული შეღებვა არ აღინიშნებოდა. მე-3, 4 დღეს კი ის უკვე აღწევდა 35%, რაც მიუთითებდა ანთების დაწყების ნიშნებს. 30-ე დღეს ის კიდევ იზრდებოდა 49%-მდე ე.ი. ანთებითი პროცესი განიცდიდა პროგრესირებას (ვინც არ იყენებდა ჰიგიენურ საშუალებებს).

შესაბამისად, პროთეზების მარტო კორექცია, დამხმარე საშუალებების გამოყენების გარეშე თავიდან ვერ აგვაცილებს საპროთეზო ველსა და ღრძილის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ 30-ე დღეს პაციენტები სუბიექტურად არ აღნიშნავდნენ ჩივილებს. შესაბამისად აუცილებელია ორგანიზმის ანტიოქსიდანტური დაცვის გაზრდა. რაც ხელს უწყობს ანთებადი და ტრავმული დაზიანებების შემცირებას, მას აქვს ანტისტრესული და

ადაპტოგენური თვისებები და ხელს უწყობს რეპარაციული პროლიფერაციის პროცესს (დიაგრამა 3).



დიაგრამა 3

PMA ინდექსი

1.პროთეზირებამდე ოპტიმალური მაჩვენებელი;

2.პროთეზირების შემდეგ 3-4 დღის მაჩვენებელი;

3.პროთეზირებიდან 30-ე დღის მაჩვენებელი.

მაშასადემე, მხოლოდ პროთეზების კორექცია ვერ უზრუნველყოფს საპროთეზო ველისა და ღრძილის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების ზრდის აცილებას (სუბიექტური ჩივილების არ არსებობის მიუხედავად).

პირის ღრუს ქსოვილებში პროთეზირების დროს, ასევე, როორც სხვა ეთიოლოგიური ფაქტორების (თერმული, ქიმიური, მექანიკური, ტოქსიკური, ბაქტერიული და სხვ.) მოქმედების შედეგად ადგილი აქვს ანთებადი პროცესების განვითარებას, ლოკალურად ლიმფოციტების, მაკროფაგების დაგროვებას, პროანთებადი ციტოკინების ზრდის ფაქტორების და ჟანგბადის რეაქციული ნაერთების გაძლიერებულ წარმოქმნას, რაც უჯრედული და სუბუჯრედული

მემბრანების დარღვევას, ფერმენტული კომპლექსების, სისტემების ფუნქციების მოშლას და პირის ღრუს ქსოვილების დაზიანებას განაპირობებს (8,12,25,29,62).

პაროდონტის ქსოვილების ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში ენდოგენური რედოქს-სისტემა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფიზიოლოგიურ პირობებში.

ეს სისტემა უზრუნველყოფს რედოქს-ჰომეოსტაზის სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. ენდოგენური ფერმენტული ანტიოქსიდაციური სისტემა უზრუნველყოფს, უჯრედების ნორმალური მეტაბოლიზმის პროდუქტების თავისუფალი რადიკალების (ჟანგბადის და აზოტის რეაქციული ნაერთების ჩათვლით) დონის, მათი წარმოქმნის ინტენსივობის და ანტიოქსიდციური ენდოგენური სისტემის მიერ კლირენსის ბალანსის შენარჩუნებას (128,144). პირის ღრუს ქსოვილების მეტებოლიზმის და სიცოცხლის უნარიანობის რეგულაციაში, უჯრედული რედოქს-ჰომეოსტაზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ჩვენ შევისწავლეთ პირის ღრუს ქსოვილებში ოქსიდაციური მეტაბოლიზმის პარამეტრების და ანთებითი მარკერების მაჩვენებლები, სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული, მოსახსნელი პროთეზების ხმარების დროს. ამ მიზნით პაციენტების ნერწყვში შესწავლილი იქნა, ანტიოქსიდანტური ფერმენტების (სოდ, კატალაზა, გლუტათიონრედუქტაზას) აქტივობა, ლიპოპეროქსიდებისა და თავისუფალი აზოტის ჟანგის შემცველობა (პროთეზების ჩასმამდე, მაქსიმალური გაღიზიანების ფაზაში ჩასმიდან მე-3 დღეს და პროთეზების ჩასმიდან 1 თვის შედეგ).

მე-4 დიაგრამაზე მოყვანილია პაციენტების ნერწყვში ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სოდ-ის) აქტივობის ცვლილებები პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც მე-4 დიაგრამაზე მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში კატალაზას აქტივობა იზრდება 30%-ით და რჩება შედარებით მაღალ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 17%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ იწყებს კლებას და მცირდება 8%-ით.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ, ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში კატალაზას აქტივობა იზრდება 32%-ით და 1 თვის შემდეგ უმნიშვნელოდ მცირდება; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 22%-ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება 10%-ით.



1



2

დიაგრამა 4

პაციენტების ნერწყვში კატალაზასა (1) და სოდ-ის (2) ცვლილებები (A, B - პროთეზი დამზადებულია Ftorax-ის და Perflex Flexi Nylon კომპლექსებისაგან, შესაბამისად, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ)).

1. პროთეზის გამოყენებამდე;
2. პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;
3. პროთეზის გამოყენებიდან 30-ე დღეს

ამასთან, მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ Perflex Flexi Nylon-ის კომპლექსიდან დამზადებული პროთეზი ნაკლებად ტოქსიკურია, ვიდრე Ftorax-ის კომპლექსიდან.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში კატალაზას აქტივობა 26%-ით იზრდება და და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდე; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 13%-ით იზრდება, და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდეგ.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, სამი დღის შემდეგ ნერწყში კატალაზასა აქტივობა 11%-ით იზრდება ხოლო 1თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლამდე. სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ იზრდება13 %-ით, ხოლო 1თვის შემდეგ მცირდება საწყისი მაჩვენებლებლის დონემდე (დიაგრამა 5).

პაციენტების ნერწყვში, რომლებიც პლასტმასის მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში ვლინდება ლიპოპეროქსიდების შემცველობის მომატება. დაკვირვებიდან 1 თვის შემდეგაც ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოდ მცირდება. Perflex Flexi Nylon-ის კომპლექსიდან დამზადებული პროთეზიბის შემთხვევაში ნერწყვში ასევე ვლინდება ლიპოპეროქსიდების შემცველობის მომატება (ჩასმიდან მე-3 დღეს), და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, დაკვირვებიდან 3 დღის შემდეგ ნერწყვში

ლიპოპეროქსიდები შემცველობა იზრდება და საერთოდ არ ვლინდებოდნენ დაკვირვებიდან 1 თვის შემდეგ.

მიღებული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიოქსიდანტური სისტემის ბალანსის დარღვევა, კერძოდ, ადგილი აქვს ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციას, რაც ვლინდება ლიპოპეროქსიდების გამოჩენით და ანტიოქსიდანტური ფერმენტების კომპენსაციური აქტივაციით.



დიაგრამა 5

პაციენტების ნერწყვში კატალაზასა და სოდ-ის ცვლილებები ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ).

1. პროთეზის გამოყენებამდე;
2. პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;
3. პროთეზის გამოყენებიდან 30-ე დღეს

დიაგრამაზე №6 მოყვანილია პაციენტების ნერწყვში IL1β, IL10 შემცველობის ცვლილებები სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც დიაგრამაში №6 მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული

მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა იზრდება 21%-ით და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; ხოლო პაციენტებში, რომლებიც პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL1β-ის შემცველობა იზრდება 10%-ით და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.



1



2

დიაგრამა 6

პაციენტების ნერწყვში IL1β (1) და IL10-ის (2) ცვლილებები (A, B - პროთეზი დამზადებულია Ftorax-ის და Perflex Flexi Nylon კომპლექსებისაგან, შესაბამისად, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ)).

1. პროთეზის გამოყენებამდე;

2.პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;

3.პროთეზის გამოყენებიდან 30-ე დღეს.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL10-ის შემცველობა მცირდება ეს შემცირება გრძელდება 1 თვის განმავლობაში. პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებისას ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში IL10-ის შემცველობა ნორმალიზდება Ftorax-ის კომპლექსისაგან დამზადებული პროთეზების შემთხვევაში, მაგრამ მისი დინამიკა არ იცვლება Perflex Flexi Nylon-ის კომპლექსიდან დამზადებული პროთეზების შემთხვევაში.

პაციენტების იმ ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, ნერწყვში IL1β-ის შემცველობა მნიშვნელოვნად არ იცვლებოდა, ხოლო IL10-ის შემცველობა მცირდებოდა; ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენების ფონზე ციტოკინების მნიშვენლოვანი ცვლილებები დაფიქსირებული არ იყო (დიაგრამა 7).



1.



2.

დიაგრამა 7

პაციენტების ნერწყვში IL1β (1.) და IL10-ის (2.) ცვლილებები ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ).

1.პროთეზის გამოყენებამდე;

2.პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;

3. პროთეზის გამოყენებიდან 30-ე დღეს.

ანუ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების შემცველობის ცვლილებები და მათ შორის ბალანსის დარღვევა, რაც ღრძილის ქსოვილში ანთების განვითარებაზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღსანისნავია I ჯგუფის პაციენტები, სადაც ნერწყვის იმუნური ბალანსის პროანთებითისაკენ გადახრა განსაკუთრებით ძლიერია, როგორც 3 დღის, ასევე 1 თვის შედეგაც.

როგორც ცნობილია, სანერწყვე ჯირკვლების მიერ, ხორციელდება NO-ს დიდი რაოდეობით სეკრეცია. NO-ს კონცენტრაცია ნერწყვში 10-ჯერ მაღალია ვიდრე სისხლის პლაზმაში. პირის ღრუს მიკროორგანიზმები აექსპრესირებენ ფერმენტებს, რომლებიც ეფექტურად აქვეითებენ ნიტრიტების დონეს. რომლებიც PH-ის დაბალ მნიშვნელობებზე (3,5) გარდაიქმნებიან NO-დ. PH-ის ფიზიოლოგიურ მნიშვნელობებზე (6.2-7.6) პირის ღრუში, ეს პროცესი მიმდინარეობს დაბალი ინტენსივობით. ჯანმრთელი პირების პირის ღრუში NO გენერირდება აგრეთვე ნეიტროფილების მიერ (iNOS) სხვადასხვა ანთებითი ფაქტორების საპასუხოდ.

აზოტის ჟანგი – უმნიშვნელოვანესი ბიოლოგიური მოლეკულაა, რომელიც მონაწილეობს მრავალი ბიოლოგიური პროცესების რეგულაციაში, იმუნური პასუხის, ციტოტოქსიურობის, ნეიროტრანსმისიის და ვაზოდილატაციის ჩათვლით (95). NO-ს მონაწილეობით მიმდინარე ბიოლოგიური რეაქციებს შორის აღსანიშნავია დნმ-ის დაზიანება (111,115,116). NO-ს მაღალი კონცენტრაციები იწვევენ დეზოქსინუკლეოტიდების დეამინირებას (111) და მუტაციების განვითარებას (129). NO-ინდუცირებული დნმ-ის დაზიანება მიმდინარეობს სხვადსხვა მექანიზმების მეშვეობით ნიტროზილური დეამინირების (196), დნმ-ის ძაფის გაწყვეტის და პეროქსინიტრიტით ინდუცირებული ჟანგვითი დაზიანების ჩათვლით (102). NOO˜ აგრეთვე მონაწილეობს ციტოკინ- და აქტივირებული მაკროფაგების მიერ ინდუცირებული აპოპტოზის განვითარებაში (130).

დიაგრამაზე №8 მოყვანილია პაციენტების ნერწყვში აზოტის ჟანგის შემცველობის ცვლილებები, სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც დიაგრამაზე 8 მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული, მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა იზრდება 40%-ით. 1 თვის შემდეგ კი იზრდება და შეადგენს საწყისი მაჩვენებლის 130%-ს.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას იყენებდნენ ჰიგიენურ სითხეს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა უმნიშვნელოდ იზრდება 43%-ით, ხოლო 1 თვის შემდეგ მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 120%-ს შეადგენს.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე. სავლებისა და ჰიგიენური სითხის ხმარების ფონზე აზოტის ჟანგის შემცველობა ქვეითდება (დიაგრამა 9).



დიაგრამა 8

პაციენტების ნერწყვში NO-ს შემცველობის ცვლილებები (A, B - პროთეზი დამზადებულია Ftorax-ის და Perflex Flexi Nylon კომპლექსებისაგან, შესაბამისად, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ)).

1. პროთეზის გამოყენებამდე;
2. პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;
3. პროთეზის გამოყენებიდან 30-ე დღეს

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას, არ ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 38%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 117%-ს შეადგენს.

პაციენტების ჯგუფში (ჯგუფი IIბ), რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში თავისუფალი NO-ს შემცველობა 29%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ, ეს პარამეტრი მცირდება და თითქმის უტოლდებოდა საწყისი მაჩვენებლების დონეს.



დიაგრამა 9

პაციენტების ნერწყვში NO-ს შემცველობის ცვლილებები ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლებისხმარების ფონზე (ბ)).

1. პროთეზის გამოყენებამდე;
2. პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;
3. პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ

ჩვენ გამოვიყენეთ აზოტის ჟანგი, როგორც პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული ანთბებითი პროცესის ინტენსივობის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ანთებითი პროცესების შედარებით დაბალი ინტებსივობის შესახებ. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს, მაგრამ არ ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ნერწყვში აზოტის ჟანგის შემცველობაზე.

კვლევის შემდეგ ეტაპზე, ჩვენ შევისწავლეთ პაციენტების ნერწყვში პროაპოპტოზური ცილის P53-ის შემცველობა, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას პირის ღრუს ქსოვილებში აპოპტოზის ინტენსივობის შესახებ.

ცილა P53-ის აქტივაცია რეგულირდება პოსტტრანლაციურ დონეზე. სტრესორული ზემოქმედების შედეგად ადგილი აქვს ცილა P53-ის სტაბილიზაციას და დაგროვებას ბირთვში, სადაც ის DNA-ს სპეციფიური მონაკვეთებთან შეკავშირების შედეგად რიგი P53- რეგულირებადი გენების (p21/Waf-1, 14-3-3-σ, bax, და ა.შ.) ტრანსკრიფციას ამოდულირებს. ცილა P53 ააქტივებს და ზრდის მარეგულირებელ გენებს, მაგალითად, p21WAF-1/Cip1, GADD45, P21ƒAF-1/CIH1, GADD45, ციკლინ G-ს, რაც იწვევს უჯრედის ციკლის არესტს G1 ფაზაში (134), აპოპტოზის განვითერებაში მონაწილე გენების, მაგალითად, ბახ, ტრანსკრიაციას. ამის გარდა P53-ს შეუძლია დნმ-ის რეპარაციულ სისტემასთან ურთიერთქმედება, დაზიანებული დნმ-ის რეპარაცია, ან უჯრედების აპოპტოზის რეგულაცია (114,157).

NO-ს ინდუციბელური იზოფორმა (iNOS) წარმოქმნის NO-ს მაღალ კონცენტრაციებს, ოქსიდაციური სტრესის და პროანთებითი ციტოკინების ზემოქმედებით პოტენციურად უზრუნველყოფს ციტოტოქსიურობას, დნმ-ის

დაზიანებას და ქსოვილის დესტრუქციას. ნაჩვენებია, რომ NO-ს შეუძლია P53 –ს ექსპრესიის და აპოპტოზის განვითარების ინიციაცია, რაც მეტყველებს იმის შესახებ, რომ NO-ინდუცირებული აპოპტოზი მიმდინარეობს დნმ-ის დაზიანებით და P53–ს აკუმულაციის გზით (169). P53-ის პროაპოპტოზური ტრანსკრიპციული აქტივობის მომატება ხორციელდება NH2Fტერმინალის სერინ 15-ის NO-ინდუცირებული ფოსფორილირების გზით, რომელიც ხორციელდება დნმ-დამოკიდებული პროტეინკინაზას და P53 მიტოგენ აქტივირებული პროტეინკინაზას სტიმულაციის მეშვეობით (94;106,180,191). Forrester K. და თანაავტორებმა აჩვენეს, რომ P53 ასრულებს მნიშვნელოვან როლს iNOS გენის ექსპრესიის და, მაშასადამე, NO P53-ს აქტივობის რეგულაციის საშუალებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს გენომის შენარჩუნების პროცესში. ჟანგბადის რეაქციული ნაერთებს, აგრეთვე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება P53 – დამოკიდებული აპოპტოზის ინიციაციაში (161). ანუ, ბირთვული ფაქტორების P-53 აქტიურდება უჯრედშიდა რედოქს-ბალანსის ცვლილებების საპასუხოდ და მონაწილეობს დნმ-ის ტრანსკრიპციის რეგულაციაში.

დიაგრამა 10-ზე მოყვანილია პაციენტების ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობის ცვლილებები სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

როგორც დიაგრამა 10-ზე მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Ftorax -ის კომპლექსის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა იზრდება 68 %-ით.1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 55%-ს შეადგენს. ჰიგიენურ სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენებების შემთხვევაში პროთეზების ხმარებიდან მე-3 დღეს P53 უმნიშვნელოდ მცირდება (7%-ით), 1თვის შემდეგ განაგრძობს კლებას და საწყისი მაჩვენებლის 32%-ს შეადგენს.



დიაგრამა 10

პაციენტების ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში, პროთეზები დამზადებულია A-Ftorax-ის და B-Perflex Flexi Nylon-ისაგან, შესაბამისად სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ)).

1.პროთეზის გამოყენებამდე;

2.პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;

3.პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIა) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას, არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ, ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა 53%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 53%-ს შეადგენს (2,56 ჯერ აღემატენა საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის Perflex Flexi Nylon (ჯგუფი IIIბ) ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას, ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა არ იცვლებოდა საწყის დონესთან შედარებით, 1 თვის

შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 28%-ს შეადგენს (1,4 ჯერ აღემატება საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც Perflex Flexi Nylon-ის კომპლექსის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარებისას მე-3 დღეს ცილა P53-ის შემცველობა იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და აღემატება საკონტროლო მაჩვენებელს 2,56-ჯერ; ჰიგიენურ სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენებების შემთხვევაში 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობა არ იცვლებოდა საწყის დონესთან შედარებით, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საკონტროლო მაჩვენებელს 1,4 ჯერ აღემატება.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა P53-ის შემცველობა 50%-ით მცირდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი კიდე 10%-ით მცირდება (თითქმის 2,8-ჯერ აღემატება საკონტროლო მაჩვენებელს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა P53-ის შემცველობა მცირდება 44-ით, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და უახლოვდება საკონტროლო მაჩვენებლების დონეს. ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენების ფონზე ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობს დინამიკა იცვლება დადებითად (დიაგრამა 11).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ცილა P53 შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც პირის ღრუს ქსოვილებში აპოპტოზის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ, ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ღრძილის დაზიანება შედარებით დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ნერწყვი წყლის (99.5%) გარდა, შეიცავს სხვადასხვა ორგანულ (0,3%) და არაორგანულ (0,2%) ნაერთებს. ნერწყვის შემადგენლობა იცვლება, სხვადასხვა ზემოქმედებების, სისტემური დაავადებების განვითარების, პირის ღრუს მდგომარეობის ცვლილებების (ჰიგიენური მარკერების) დროს. ნერწყვი სხვადასხვა ნაერთების შემცველობის ცვლილებები ასახავს პირის ღრუში პათოლოგიური პროცესების განვითარებას და შეიძლება განიხილებოდეს , როგორც დაავადებების, ან მისი სიმძიმის ამსახველი მარკერი. სხვადასხვა კვლევებში ნაჩვენები იქნა ანტრანილის მჟავის შემცველობის მომატება ნერწყვში პირის ღრუში პათოლოგიური პროცესების განვითარების დროს (108,190).



დიაგრამა 11

პაციენტების ნერწყვში ცილა P53-ის შემცველობის ცვლილებები ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას, სავლების გამოყენების გარეშე (ა) და სავლების ხმარების ფონზე (ბ)).

1. პროთეზის გამოყენებამდე;
2. პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს;
3. პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ

ანტრანილის მჟავა - ტრიფტოფანის დაშლის პროდუქტია; ეს ნაერთი იმუნური პროცესების რეგულაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და, აგრეთვე, ავლენს ანტიბაქტერიულ აქტივობას.

ტრიპტოფანი ადამიანის ორგანიზმში გამოიყენება ცილების სინთეზისათვის; ტრიპტოფანის 94% მეტაბოლიზირდება კინურენინის გზით (187) ანტრანილური, კინურენული და 3-ჰიდროქსილკინურენული მჟავას წარმოქმნით (182).

ჩვენ შევისწავლეთ პაციენტების ნერწყვში ანტრანილის მჟავის შემცველობა პროთეზირებამდე და პროთეზირების სხვადასხვა ვადებში და დამოკიდებულება პაციენტების ნერწყვში ანტრანილის მჟავას კონცენტრაციისა და პაციენტების პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსის მნიშვნელობებს შორის.

ჩვენი კვლევის შედეგად არ გამოვლინდა ნერწყვში, ანტრანილის მჟავას შემცველობის სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები პრე-და პოსტპროთეზირების პერიოდში, აგრეთვე პროთეზირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენების დროს. კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება ნერწყვში, ანტრანილის მჟავას შემცველობასა და შესწავლილი პაციენტების პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსისი მაჩვენებლებს შორის (დიაგრამა 12). მიღებული შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ანტრანილის მჟავა (მისი შემცველობა ნერწყვში) ასახავს პირის ღრუს მდგომარეობას.



დიაგრამა 12

დამოკიდებულია პაციენტების ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობასა და პირის ღრუს ჰიგიენური ინდექს შორის.

პირის ღრუში, ქსოვილების პროთეზთან ურთიერთქმედების შედეგად შესაძლებელია პირის ღრუს ქსოვილის ლორწვანი გარსის დაზიანება და ეპითელიოციტების დესტრუქცია (137,181,198), წყლულების წარმოქმნა. ბიოაქტიური ნაერთები, რომლებიც გამოიყენება მოსახსნელი პროთეზების შემთხვევაში, (მაგალითად Polimethylmethacrylate) ხელს უწყობენ ფიბრობლასტების მასიურ დაღუპვას (113), ალერგიული რეაქციების და დაზიანებების განვითარებას, რაც თავის მხრივ მიკროორგანიზმების ინტერვენციის, იმუნური და ოქსიდაციური მეტაბოლიზმის დარღვევის მიზეზი შეიძლება გახდეს. ეს ყველაფერი განაპირობებს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ინტენსიფიკაციას, უჯრედების პროლიფირაციის დარღვევას და ზოგიერთ შემთხვევაში აპოპტოზის ინიციაციას, ქსოვილებში ანთებითი პროცესების (სტომატიტი, გინგივიდი), პარადონტის ქსოვილის დესტრუქციას, და პირის ღრუს მეზენქიმალური ქსოვილების კვდომას (150). ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ იმუნოკომპეტენტური უჯრედები (T ლიმფოციტები და მაკროფაგები), რომლებიც გროვდება დაზიანების კერებში და იწვევენ პროანთებითი ციტოკინების, ზრდის ფაქტორების, და ჟანგბადის რეაქციული ნაერთების სინთეზის ლოკალურ ინტენსიფიკაციას (163). სწორედ იმიტომ კვლევის შემდეგ ეტაპზე ჩვენ შევისწავლეთ საპროთეზო მასალების (Ftorax-ის Perflex Flexi Nylon და Prothyl Hot) ციტოტოქსიურობა Jurkat MDCK და უჯრედების სამოდელო სისტემაში.

კვლევის შედეგად (MTT ტესტის შედეგები) დადგინდა, რომ საპროთეზო მასალასთან (Prothyl Hot-ის სითხესთან) 24 საათიაანი ინკუბაციის შემდეგ, უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=0,93). Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში Prothyl Hot - ის ფხვნილის დამატებისას ამ უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა, არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (K=1). ჯურკატ უჯრედების

სითხესთან და ფხვნილთან ერთდროული 24 საათიაანი ინკუბაციის შემდეგ უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა აგრეთვე არ იცვლება საკონტროლო მაჩვენებლების დონემდე (K=1) (დიაგრამა 13).

მაშასადამე, გამოყენებული საპროთეზო მასალის (Prothyl Hot) კომპონენტები, ცალცალკე და კომპლექსში არ იწვევენ Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობის შეცვლას (არ ხასიათდებიან ტოქსიურობით).

საპროტეზო მასალის Prothyl Hot და მის კომპონენტების ტოქსიურობის შეფასების მიზნით, შესწავლილი იქნა აგრეთვე Jurkat უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის ამსახველი ენერგეტიკული მეტაბოლიზმის პარამეტრები, საპროთეზო მასალის კომპონენტების თანაობისას და მათ გარეშე.

გამდინარე ციტომეტრიის მეთოდით ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ Jurkat უჯრედების მიტოქონდრიული მემბრანული პოტენციალის (ΔΨ) მნიშვნელობა სტაბილური იყო Prothyl Hot პოლიმერის სითხესთან (ფიგურა 1), ფხვნილთან (ფიგურა 2) და მთლიან პოლიმერთან ინკუბაციის შემთხვევაში (ფიგურა 3).



დიაგრამა 13

Jurkat უჯრედების პროლიფერაციული აქტივობის ცვლილებები

საპროთეზო მასალის Prothyl Hot -ის კომპონენტებთან (ინტაქტური Jurkat უჯრედები (1), Jurkat +ფხვნილი (2), Jurkat + სითხე (3 Jurkat +კომპლექსი (4)) ინკუბაციის პირობებში

MTT ტესტის და ციტომეტრული კვლევების შედეგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია გავაკეთოდ დასკვნა Prothyl Hot კომპლექსის კომპონენტებთან (სითხესთან, პოლიმერთან და მთლიან კომპლექსთან) ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობის სტაბილობის შესახებ. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროტეზო მასალა Prothyl Hot არ ხასიათდება ტოქსიურობით.

ჩვენ შევისწავლეთ მონაცემები, Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტური სისტემის აქტივობის ცვლილებები, საპროთეზო მასალის Prothyl Hot კომპონენტებთან (სითხესთან, პოლიმერთან და მთლიან კომპლექსთან) 24 საათიანი ინკუბაციის პირობებში. მოყვანილი მონაცამებიდან გამომდინარეობს, რომ Prothyl Hot - ის ფხვნილთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში სოდ-ისა და გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა არ იცვლება, ხოლო კატალაზას აქტივობა 2-ჯერ იზრდება, საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით. Prothyl Hot - ის სითხესთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში სოდ-ის აქტივობა 150%-ით, გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა 116%-ით, ხოლო კატალაზას აქტივობა 50%-ით მატულობს საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით.

პოლიმერიზაციის შედეგად მიღებული საპროთეზო პლასტმასასთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში სოდ-ის აქტივობა 250%-ით, გლუტათიონრედუქტაზას აქტივობა 33%-ით, ხოლო კატალაზას აქტივობა 130%-ით მატულობს საკონტროლო მაჩვენებლებთან შედარებით (დიაგრამა 14).


გლუტოთიონრედუქტაზა
700
600
500
400
300
200
100
0
1
2
3
4


სოდ
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
1
2
3
4


კატალაზა
4,5
4
3,5
3
2,5
2
1,5
1
0,5
0
1
2
3
4

დიაგრამა 14

Jurkat უჯრედების კულტურაში გლუტათიონ რედუქტაზას, სოდ-ის და კატალაზას აქტივობის ცვლილებები. საპროთეზო მასალის Prothyl Hot-ის კომპონენტებთან (ინტაქტური Jurkat უჯრედები (1), Jurkat +სითხე (2), Jurkat+ფხვნილი (3), Jurkat +კომპლექსი (4)) ინკუბაციის პირობებში.

Jurkat უჯრედების საპროთეზო მასალის Prothyl Hot -ის კომპონენტებთან ერთობლივი ინკუბაციის ფონზე ჟანგვითი მეტაბოლიზმის, ლიპოპეროქსიდაციის ინტენსიფიკაციისა და ჟანგბადისა და ლიპიდების რეაქციული ნაერთების წარმოქმნის გაძლიერების შესახებ მეტყველებს აგრეთვე ეპრ სპექტროსკოპული კვლევის მონაცემები (დიაგრამა 15).



დიაგრამა 15

Jurkat უჯრედების კულტურაში სუპეროქსიდრადიკალებისა და ლიპოპეროქსიდრადიკალების (LOO·) ეპრ სიგნალების ინტენსივობა საპროთეზო მასალის Prothyl Hot -ის კომპონენტებთან (ინტაქტური Jurkat უჯრედები (1), Jurkat +სითხე (2), Jurkat+ფხვნილი (3), Jurkat +კომპლექსი (4)) ინკუბაციის პირობებში

მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ Jurkat უჯრედების საპროთეზო მასალასთან Prothyl Hot კომპონენტებთან ერთობლივი ინკუბაციის ფონზე იზრდება სუპეროქსიდრადიკალებისა და ლიპოპეროქსიდრადიკალების (LOO·) შემცველობა.

მოყვანილი კვლევების შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ თუნდაც საპროთეზო მასალის კომპონენტები არ ავლენენ ციტოტოქსიურობას, მაგრამ იწვევენ Jurkat უჯრედების ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივაციას (განსაკუთრებით ერთდროული მოქმედების შემთხვევაში). ვვარაუდობთ, რომ ამ მასალების ზემოქმედებით, უჯრედებში ადგილი აქვს ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ცვლილებებს და ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივობის ზრდა ატარებს კომპენსატორულ ხასიათს.

Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში პოლიმერის Prothyl Hot, ან მისი კომპონენტების შეტანის შემდეგ უჯრედების მიერ ექსპრესირებული პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების (IL-1β, IL-10) ექსპრესიის ინტენსივობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოვლენილი არ იყო (დიაგრამა 16).





დიაგრამა 16

Jurkat უჯრედებში ციტოკინების (IL-1β, IL-10) ექსპრესიის ცვლილებები საპროთეზო მასალის Prothyl Hot-ის კომპონენტებთან (ინტაქტური Jurkat უჯრედები (1), Jurkat +სითხე (2), Jurkat + ფხვნილი (3), Jurkat +კომპლექსი (4)) ინკუბაციის პირობებში

მაშასადამე, მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროტეზო მასალა Prothyl Hot ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

-არ ავლენს ტოქსიურ გავლენას Jurkat უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე (რაც ვლინდება მიტოქონდრიული მემბრანული პოტენციალის სტაბილურობით),

-არ ახდენს ზემოქმედებას Jurkat უჯრედების პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების ექსპრესიაზე,

-ხელს უწყობს Jurkat უჯრედების ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ინტენსიფიკაციას, რაც შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უჯრედებში განვითარებული კომპენსატორულ-ადაპტაციური რეაქცია.

ჩვენ, აგრეთვე, შევისწავლეთ Prothyl Hot-ის ციტოტოქსიურობა ეპითელური MDCK უჯრედების სისტემაში. MTT-ტესტის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ კომპლექსი Prothyl Hot და მისი კომპონენტები არ ავლენენ ციტოტოქსიურობას MDCK უჯრედების მიმართ (დიაგრამა 17).



დიაგრამა 17

Jurkat (1-4) და MDCK (5-8) უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა სხვადასხვა საპროთეზო მასალების ზემოქმედების ფონზე (1 - Jurkat. 2 - Jurkat+ Prothyl Hot, 3 - Jurkat +Ftorax , 4 - Jurkat + Perflex Flexi Nylon , 5 – MDCK, 6, MDCK+Prothyl Hot, 7 – MDCK+ Ftorax, 8 – MDCK+ Perflex Flexi Nylon

ვინაიდან, პირის ღრუს ქსოვილების დესტრუქციული პროცესების მექანიზმებში აქტიურად მონაწილეობენ იმუნური და ეპითელური უჯრედები, ამიტომ სადისერტაციო ნაშრომში ჩვენ შევისწავლეთ, კლინიკურ კვლევებში გამოყენებული საპროთეზო მასალების (Ftorax-ის და Perflex Flexi Nylon) ციტოტოქსიურობა Jurkat და MDCK უჯრედების სამოდელო სისტემაში.

ჩატარებული კვლევის შედეგები (MTT ტესტი) მიუთითებს, რომ კომპლექსები Ftorax და Perflex Flexi Nylon, რომლებიც გამოიყენება როგორც მოსახსნელი პროთეზების საფუძველი არ ავლენენ ტოქსიკურობას ინტაქტურ Jurkat და MDCK უჯრედებზე, რაც დასტურდება ამ უჯრედების მიტოქონდრიული

დეჰიდროგენაზების სტაბილურობით და უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის შეარჩუნებით.

ვინაიდან Jurkat და MDCK გამოიყენება, როგორც იმუნური და ეპითელური უჯრედების მოდელები, ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესწავლილი მასალების, პლასტმასის მეთილის მეტაკრილატის Ftorax და ელასტიური თერმოპლასტიკური პოლიმერი მასალის Perflex Flexi Nylon-ის, საფუძველზე დამზადებული მოსახსნელი პროთეზები არ უნდა ავლენდნენ ტოქსიკურობას და, სავარაუდოთ, არ შეუძლია იმუნურ და ეპითელური უჯრედების მასიური განადგურება, ალერგიული ან ანთებითი რეაქციების გამოწვევა, და, შესაბამისად, სტომატიტის და გინგივიტის განვითარების ინიციაცია.

დასკვნები

1. პირის ღრუს კლინიკური ინდექსები დინამიკაში პროთეზებთან ადაპტაციის პერიოდში იზრდებოდა ე.ი. ანთებითი პროცესი განიცდიდა პროგრესირებას (ვინც არ იყენებდა ჰიგიენურ საშუალებებს). შესაბამისად პროთეზების მარტო კორექცია პროფილაქტიკური საშუალებების გამოყენების გარეშე თავიდან ვერ აგვაცილებს საპროთეზო ველსა და ღრძილის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ 30-ე დღეს (სრული შეკავების ფაზაში, როდესაც პაციენტები სრულად შეგუებულნი არიან პროთეზებთან) პაციენტები სუბიექტურად არ აღნიშნავდნენ ჩივილებს. შესაბამისად აუცილებელია ორგანიზმის ანტიოქსიდანტური დაცვის გაზრდა. რაც ხელს უწყობს ანთებადი გამოვლინებების შემცირებას, მას აქვს ანტისტრესული და ადაპტოგენური თვისებები და ხელს უწყობს რეპარაციული პროლიფერაციის პროცესს.

მაშასადემე, მხოლოდ პროთეზების კორექცია ვერ უზრუნველყოფს საპროთეზო ველისა და ღრძილის ქსოვილში მიმდინარე ანთებითი პროცესების ზრდის თავიდან აცილებას (სუბიექტური ჩივილების არარსებობის მიუხედავად).

2. პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ადგილი აქვს პრო- და ანტიოქსიდანტური სისტემის ბალანსის დარღვევას, ადგილი აქვს ოქსიდაციური სტრესის ინტენსიფიკაციას, რაც ვლინდება ლიპოპეროქსიდების გამოჩენით და ანტიოქსიდანტური ფერმენტების კომპენსაციური აქტივაციით.

3. პროთეზების ხმარების დროს ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების შემცველობის ცვლილებები და მათ შორის ბალანსის დარღვევა, რაც ღრძილის ქსოვილში ანთების განვითარებაზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია I ჯგუფის პაციენტები, სადაც იმუნური ბალანსის პროანთებითისაკენ გადახრა განსაკუთრებით ძლიერია, როგორც 3 დღის, ასევე 1 თვის შემდეგაც.

4. პროთეზების ხმარების დროს პაციენტების ნერწყვში იზრდება აზოტის ჟანგის შემცველობა. ლითონის ბაზისიანი და ნეილონის პროთეზების ხმარების დროს ანთებითი პროცესების ინტენსივობა შედარებით დაბალია; პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის

დამატებით დაცვას უზრუნველყოფს, მაგრამ არ ახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას ნერწყვში აზოტის ჟანგის შემცველობაზე.

5. ცილა P53-ის არსებობა პირის ღრუს ქსოვილებში აპოპტოზის ინტენსივობას ასახავს. პირის ღრუს ქსოვილებში ცილა P53-ის ცვლილებების დინამიკა მოწმობს ლითონის ბაზისიანი და ნეილონის პროთეზების ხმარების დროს, ღრძილის ქსოვილის შედარებით დაბალი დაზიანების შესახებ; პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს, და პირის ღრუს ქსოვილებში ცილა P53-ის შემცველობის შემცირებით ვლინდება.

6. დადგენილია სტატისტიკურად სარწმუნო დადებითი კორელაცია ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობასა და პაციენტების პირის ღრუს ჰიგიენური ინდექსის მაჩვეენბლებს შორის.

7. საპროტეზო მასალები FTORAX და Perflex Flexi Nylon-ი Jurkat და MDCK უჯრედების სამოდელო სისტემებში შესწავლის შედეგად დადგინდა::

- საპროთეზო კომპლექსები არ ავლენენ ტოქსიურ გავლენას Jurkat და MDCK უჯრედების სიცოცხლის უნარიანობაზე,
- არ ახდენენ ზემოქმედებას უჯრედების პრო-და ანტიანთებითი ციტოკინების ექსპრესიაზე,
- ხელს უწყობენ ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ინტენსიფიკაციას რაც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც უჯრედებში განვითარებული კომპენსატორულ-ადაპტაციური რეაქცია.

პრაქტიკული რეკომენდაციები

1. პაციენტებმა პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება სასურველია დაიწყონ პროთეზების ჩასმისთანავე და გააგრძელონ 1 თვის განმავლობაში, ვინაიდან სუბიექტური ჩივილების არ ქონის მიუხედავად პროთეზების ხმარების დროს, ნერწყვში ვლინდება პრო- და ანტიანთებითი ცვლილებები და მათ შორის ბალანსის დარღვევა, რაც ღრძილის ქსოვილში ანთების განვითარებაზე მიუთითებს.

2. პროთეზებთან შეგუების პროცესში ნერწყბში მიმდინარე ცვლილებები საკმაოდ ობიექტურად ასახავს პაციენტების მოსახსნელ პროთეზებთან ადაპტაციის პროცესებს, რაც შეიძლება გამოყენებული იქნას ორთოპედიული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

3. სასურველია მოხდეს აკრილის ბაზისზე დამზადებული პროთეზების ჩანაცვლება ნეილონის ბაზისზე დამზადებული პროთეზებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს საპროთეზო პლასტმასების მიმართ შეუგუებლობას (ალერგიულ რეაქციების გამოვლენას და სხვა.).

4. ბიუგელისებური პროთეზების დამზადებისას უმჯობესი იქნება საბაზისო მასალად საპროთეზო პლასტმასის ნაცლად გამოყენებული იქნას ნეილნის ბაზისი.

5. ნერწყვის შემადგენლობა იცვლება სხვადასხვა ზემოქმედებების, სისტემური დაავადებების განვითარების, პირის ღრუს მდგომარეობის ცვლილებების (ჰიგიენური მარკერების) დროს. ნერწყვი სხვადასხვა ნაერთების შემცველობის ცვლილებები ასახავს პირის ღრუში პათოლოგიური პროცესების განვითარებას და შეიძლება განიხილებოდეს , როგორც დაავადებების, ან მისი სიმძიმის ამსახველი მარკერი (მაგ. ანტრანილის მჟავის, P53. და სხვა.). თითქმის იგივე ცვლილებები მიმდინარეობს, ახლად პროთეზირებულ პაციენტების ნერწყვში დაახლოებით 30 დღემდე, რაც შეიძლება გახდეს არწორი დიაგნოსტიკის საფუძველი და უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.Абдурахманов А.И., Курбанов О.Р. Материалы и технологии в ортопедической стоматологии: Учебник. - М.: Медицина, 2002. - 208 с.

2.Агзамходжаев С.С. Клинико-функциональные и биохимические исследования побочных воздействий съёмных протезов на ткани протезного ложа, методы их профилактики: Автореф. дис... к. мед. н.: 14.00.21. - Ташкент, 1998. - 36 с.

3.Аззам О.Б. Диагностика непереносимости протезов из акриловых пластмасс путем применения флоуметрического метода определения освобождения гистамина базофилами: Автореф. дис... к. мед. н.: 14.00.21., 14.00.16. - М., 2003. - 25 с.

4.Алимов С.И. Влияние зубных протезов на состояние тканей протезного ложа и среду полости рта: Автореф. дис... к. мед. н: 14.00.21. - Ташкент, 1979. - 19 с.

5. Афанасьев И.Б. Стоматология. Учебник для ВУЗов 2018

6.Бадалов Р.М., Гараев З.И., Рзакулива Д.М. Адаптация к съемным пластиночным зубным протезам // Caucasian dental news - 2002.- №6. С.137-142.

7.Базиян Г.В. Исследование распространенности стоматологических заболеваний у населения СССР, прогнозирование и планирование стоматологической помощи: Автореф.дис... д.мед.н.: 14.00.21. - М.,1971.-24 с.

8.Барер ГюМ и др. Часть Болезни пародонта. М.: Гэотар-медиа, 2009. 224 с.

9.Беликов О.Б. Юншко-лабораторна ощнка якост1 повних зшмних про- тез1в та методи оо шдвищення у масовому виробництвк Автореф.дис... к.мед.н.: 14.00.21. - Полтава., 1993.-23

10. Белоусова М.А. Патогенетическое обоснование коррекции микроци куляторных нарушений в слизистой оболочке протезного ложа: Автореф. дис... к.мед.н.: 14.00.16. - Чита, 19987- 19 с.

11.Бойко Л.П. Усовершенствованная технология изготовления съёмных пластиночных зубных протезов с эластичной пластмассой: Автореф. дис... к.мед.н: 14.00.21. - Львов, 1988. - 18 с.

12.Боровский Е.В. Микрофлора полости рта // Терапевтическая стомато логия. - М.: МИА, 1997. - С.56 - 59.

13.Вавакин А.ß., Гольдштейн Р.В., Салганик Р.Л., Ющенко Н.С. Об оп ределении характеристик долговечности по данным кинетики роста трещин // Механика полимеров. - 1973. - №4.- С. 634 - 640.

14.Василенко З.С. Функциональные и морфологические изменения в слизистой оболочке полости рта и ее рецепторном аппарате под влиянием съёмных протезов:Автореф.дис... д.мед.н.: 14.00.21.- К., 1977.17 с.

15 .Власова Л.Ф., Резникова Е.О. Зависимость реакции слизистой оболочки олости рта от физико-химической характеристики поверхности пластиночных протезов из акриловых пластмасс// Бюлл. экспе- рим. биол. мед. -2000,- №1. - С.109-112.

16.Врачебные ошибки в стоматологии / А.П. Грохольский, М.Л.Заксон, И.Н. Корбелецкий, В.И.Сердюков. - К.: Здоров"я, 1994.

17.Гаврилов Е.И. Протез и протезное ложе. - М.: Медицина, 1979. - 268 с.

18.Гожая Л.Д. Аллергические заболевания в ортопедической стоматоло гии. - М.: Медицина, 1988. - 160 с.

19. Горбачева И.А. Диссертация на тему «Оценка состояния полости рта у больных бронхиальной астмой, 2009.

20. Гризодуб В.И., Жуков К.В. Токсико-химические свойства базисных акриловых пластмасс в аспекте повышения биологической инертности съёмных пластиночных протезов //Питания ортопедично1 стоматологи: наук. пр. - Полтава, 1997 - С.22 - 24.

21. Гроссман В.Л. Тензиометрический метод проведения предварительной оценки долговечности базисных материалов //Тез. докл. 6-й конф молодых науч. работников Моск. мед. стомат. ин-та - М., 1967 г. - С.88 – 89.

22. Гуршал И.Б. Врачебные ошибки в амбулаторной стоматологичесой практике//Стоматология.- 1981.-№ 2- С. 82.

23. Давиденко Г.М. Стан неспециф1чно1 резистентное тканин ротовой порожнини у хворих на цукровий д1абет в рі3Ні термши користування зшмними пластинковими протезами: Автореф. дис... к.мед.н.: 14.01.22.-Полтава, 1998.- 18 с.

24. Диканова М.В. Применение термометрии для изучения адаптации слизистой оболочки протезного ложа к съёмным пластиночным протезам //

Фундаментальные науки и прогресс клинической медицины: Материалы 2-й Рос. конф. молодых ученых. - М.., 2001.- С. 176-177.

ჩვენ გამოვიყენეთ აზოტის ჟანგი, როგორც პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული ანთებითი პროცესის ინტენსივობის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ანთებითი პროცესების შედარებით დაბალი ინტენსივობის შესახებ. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ლიტერატურაBorradon L., Sonnenberg A. Structure and function of hemidesmosomes: more that simple adhesion complexes. J. Invest. Dermatolig., 1999, 112, 411-418.

Chai Y. Ito Y., Han J. TGF-beta signaling andits functional significance in regulating the fate of cranial neural crest cells. Crit rev oral., Biol. Med., 2003, 14, 78-88.

Evan G. I., Vousden K.H. Proliferation, cell cicle and apoptosdis in cancer., Nature., 2001, 411, 342-348.

Hoffman M.P., Kidder B.L., Steinberg Z.I., et al. Gene expression profiles of mouse submandibular gland development: FGFR1 regulates branching morphogenesis in vitro through BMP- and FGF-dependent mechanisms. Development , 2002, 129, 5767-5778.

Jarnbring F., Somogyi E., Dalton J., et al., Quantitative assessment of apoptotic and proliferative gingival keratinocytes in oral and sulkular epithelium in patients with gingivitis and periodontites. J. Clin. Periodontite., 2002, 29, 1065-1071.

Li PF, Dietz R, von Harsdorf R. p53 regulates mitochondrial membrane potential through reactive oxygen species and induces cytochrome c-independent apoptosis blocked by Bcl-2. EMBO J. 1999 Nov 1;18(21):6027-36.

Miletich I., Share P.T. Normal and abnormal dental development. Hum Mol Gernes., 2003, 12, 69-73.

Min B.M., Woo K.M., Lee G., et al., Terminal differentiation of normal human oral keratinocytes is associated with enhanced cellular TGP-beta and phospholipase C-gamma 1 levels and apoptotic cell death. Exp. Cell. Res., 1999, 249, 3777-383.

Oh J., E., Kook J.K., Park K.H.,et al., Phospholipase C-gamma 1 is required for subculture-induced terminal differentiation of normal human oral keratinocytes. Int J. Mol. Med., 2003, 11 491-498.Messmer UK, Ankarcrona M, Nicotera P, Brune B. p53 expression in nitric oxide-induced apoptosis. FEBS Lett. 1994 Nov 21;355(1):23-6

რეზიუმე.

NO - პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული ანთბებიტი პროცესის ინტენსივობის ამსახველი პარამეტრი

ზ. ნაკუდაშვილი, ი. მღებრიშვილი, ი. დათუნაშვილი, თ. შანიკიძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

გამოკვლვის მიზანი: ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენების დროს ნერწყვში თავისუფალი აზოტის ჟანგის, როგორც ანთებითი მარკერის, შემცველობის ცვლილებების დადგენა.

შესწავლილია 60 პაციენტი სხვადასხვა სახის მოსახსნელი პროთეზებით (1 ჯგუფი – 30 პაციენტი, რომლებიც ატარებენ მოსახსნელ ფირფიტოვან პროთეზებს პლასტმასის ბაზისით და პროთეზირების შემდეგ გამოიყენებენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს (1 ა) და მის გარეშე (1ბ); 2 ჯგუფი - 30 პაციენტი, რომლებიც ატარებენ მოსახსნელ ლითონის ბაზისიან პროთეზებს და გამოიყენებენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს (2 ა) და მის გარეშე (2 ბ). 3 საკონტროლო ჯგუფი - 30, პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის ღრუს მქონე, ადამიანი. პაციენტების ნერწყვში ვსწავლობდით თავისუფალი -ს შემცველობას (1 –

პროთეზირებამდე, 2 - პროთეზის ჩასმიდან მე-3 დღეს, 3 - ერთი თვის შემდეგ) ეპრ მეთოდით.

კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ანთებითი პროცესების შედარებით დაბალი ინტენსივობის შესახებ. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

NO – marker of denture induced inflammation of paradont tissue

Z, Nakudashvili, I. Mgebrishvili, I. Datunashvili, T. Sanikidze
Tbiisi State Medical University

The aim of the study – establishment of denture induced alteration of concentration inflammatory marker, NO.

60 patient with denture was investigated (1 group – 30 patient with denture on the plastic basis, who used specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity (1a) and not (1b); 2 group – 30 patients with denture with metal basis, who used specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity (2a) and not (2b)). The 3-d control group – 30 volunteers with healthy oral cavity. Alterations of free NO content in patients' saliva was studied by EPR method (1-st before denturing; 2-d – 3 days after denturing; 3-d – 1 month after denturing).

Result of the study testify, that in patients with metal basis denture process is less; employing of specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity decreases intensity of inflammation.

№ 4, 2016

ნინო ჯავახიშვილი
NINO JAVAKHISHVILI
Н.А.ДЖАВАХИШВИЛИ
1913-2012

ექსპერიმენტული და კლინიკური

მედიცინა

Experimental & Clinical MEDICINE

Экспериментальная и клиническая МЕДИЦИНА

Abstracts of articles are published in "Georgian ref. Journal" (www.tech.caucasus.net)

UDC(უაკ)61+57(051.2)
ე-92
Ე-413
E-97

ISSN 1512-0392

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა

№4

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ, ჟურნალი ჩართულია სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში, სადაც რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტების გამოქვეყნება

გამოქვეყნებული სტატიების რეფერატები იბეჭდება საქართველოს ტექინფორმის «ქართულ რეფერატულ ჟურნალში»

თბილისი 2016

სარჩევი **CONTENTS** **СОДЕРЖАНИЕ**

ჯიმშერ ლეშავა 8
ექიმობის მივიწყებული ხელოვნება

O.ABRAHAMOVYCH, U.ABRAHAMOVYCH, S.GUTA, O.SYNENKYI, L.TSYHANYK 11
STATE OF THE AUTONOMIC NERVOUS SYSTEM IN PATIENTS WITH SYSTEMIC LUPUS ERYTHEMATOSUS

T.T. GABUNIA, S.D. TURABELIDZE, N.N. GOGEBASHVILI, N.V. KIPIANI, T.V. SANIKIDZE 17
IMPACT OF LASER TREATMENT ON THE RHEOLOGICAL PROPERTIES OF RED BLOOD CELLS IN PATIENTS WITH PERIODONTITIS

ლ.ჯანაშვილი, ო.ჩოკოშვილი, თ.ბაბრიჭიძე, ე.ფერაძე 23
სილამაზის სალონების მომხმარებლებში ცოდნა:
დამოკიდებულების შეფასება ონლაინ გამოკითხვის საშუალებით

М.А. ХОЧАВА, Т.Г. ДЖОХТАБЕРИДЗЕ, И.А. ШАЛАМБЕРИДЗЕ, Г.ДЖ. ХОКРИШВИЛИ, Л.В. НЕБИЕРИДЗЕ, Р.Б. КОБАХИДЗЕ, М.Ш. МАЙСУРАДЗЕ 29
ЭНТЕРОПАТИЧЕСКИЙ АКРОДЕРМАТИТ – ACRODERMATITIS ENTEROPATHICA, КАК РЕДКО ДИАГНОСТИРУЕМОЕ ЗАБОЛЕВАНИЕ

ზ.ნაკეშდაშვილი, ი.ძღებრიშვილი, მ.ენუქიძე, მ.მაჭავარიანი, თ.სანიკიძე 33
ცილა P53 - როგორც პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხო დაზიანებული ღრძილის ქსოვილის კვდომის მაჩვენებელი

ე.ბურკაძე, ნ.მიცკევიჩი, ნ.ჩიხლაძე, მ.ელიავიშვილი, ნ.ფიცხელაური, ბ.ტეილორი . 36
ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები

შ.ვაშაძე 40
ინსულტის შესახებ

ზ.ნაკეშდაშვილი, ი.ძღებრიშვილი, მ.პაპავა, მ.ენუქიძე, მ.მაჭავარიანი, თ.მჭედლიშვილი, თ.სანიკიძე 43
პირის ღრუს მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული იმუნური და ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ცვლილებები

ს.ტურაბელიძე, თ.ბაბუნია, მ.პაპავა, ნ.ყიფიანი, გ.ორმოცაძე, მ.მაჭავარიანი, მ.ენუქიძე, თ.მჭედლიშვილი, ნ.ბოგებაშვილი, თ.სანიკიძე 48
ანტრანილის მჟავა, როგორც პარადონტიტის მარკერი დიაბეტით დაავადებულ პაციენტებში

К. УКЛЕБА, И. ПАВЛЕНИШВИЛИ, Д. ЗУРАБАШВИЛИ 52
ПЕРИНАТАЛЬНОЕ ГИПОКСИЧЕСКИ – ИШЕМИЧЕСКОЕ ПОРАЖЕНИЕ ЦЕНТРАЛЬНОЙ НЕРВНОЙ СИСТЕМЫ И КОГНИТИЧЕСКАЯ СФЕРА ПОДРОСТКОВ

გ.გურგენიძე, დ.ლაბარტყავა, ნ.ურუშაძე 57
კვლევის ალგორითმი ბრონქული ასთმით დაავადებული პაციენტების სტეროიდ-მგრძნობელობის კლინიკური შეფასებისათვის

მ.გონგაძე, ნ.გოგია, ც.ათაიაშვილი, ა.სეფაშვილი, მ.ციბაძე 59
დიაბეტით გამოწვეული სპონტანური აბორტების პატოგენეზში საკვანძო მოლეკულები

N. KANTARIA, G. SIMONIA 65
SALT-SENSITIVITIVITY AMONG THE PEDIGREES OF THE PATIENTS WITH ESSENTIAL HYPERTENSION IN GEORGIA

О.О. СЫЗОН 68
АРТРОПАТИЧЕСКИЙ ПСОРИАЗ: ДИСКУССИОННЫЕ ВОПРОСЫ

ე. არახამია, თ. ჩიქოვანი, ლ. ჯანაშვილი, ნ. ბარნაბიშვილი, ლ. ბოგვიჩიშვილი 80
ცისტური ექინოკოკოზის იმუნოფერმენტული დიაგნოსტიკისა და სწრაფი მარტივი ტესტის შედეგების შედარება

ზ.ნაკუდაშვილი, ი.მღებრიშვილი, მ.ენუქიძე,
მ.მაჭავარიანი, თ.სანიკიძე

ცილა P53 - როგორც პირის ღრუს ქსოვილებში მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხო დაზიანებული ღრძილის ქსოვილის კვდომის მაჩვენებელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ვლ.ბახუტაშვილის სახელობის სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

Z. NAKUDASHVILI, I. MGHEBRISHVILI, M. ENUKIDZE,
M. MACHAVARIANI, T. SANIKIDZE

PROTEIN P53 – AS PROGNOSTIC CRITERIA OF DENTURE INDUCED APOPTOSIS OF PARADONT TISSUE

Tbilisi State Medical University, Vl. Bakhutashvili Institute of Medical Biotechnology, Georgia

SUMMARY

The aim of the study – establishment of denture induced alteration of apoptosis marker – p53. 60 patient with denture was investigated (1st and 2nd groups – 30 patient with denture on the plastic and metal basis, who used specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity (1a, 2a) and not (1b, 2b); The 3rd control group – 30 volunteers with healthy oral cavity. Alterations of protein p53 content in patients' saliva were studied by immune-enzymatic test-system «Cusabio» (before denturing; 3 days and 1 month after denturing).

Result of the study testify, that in patients with metal basis denture process is less; employing of specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity decreases intensity of inflammation and therefore apoptosis.

Reviled results give us possibility to recommend saliva p53 diagnostic-prognostic marker of severity of inflammatory processes in oral cavity, develop by the course of denture induced alteration damages and also for score of effectiveness different prophylactic- treatment medicines and procedures.

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 იანვრის №59 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში.

პაროდონტის ქსოვილები, როგორც ყველა სხვა პოლიფერადი ქსოვილი ორგანიზმში, მუდმივ განახლებას განიცდიან, რომელიც განპირობებულია მისი უჯრედების პოლიფერაციის, აპოპტოზის, მომწიფებისა და დიფერენციაციის განმსაზღვრელი მოლეკულური მექანიზმებით [1], სხვადასხვა ზრდის ფაქტორების, ციტოკინების [4,7], ინტეგრინ-, კალციუმ- და რედოქს-დამოკიდებულ სასიგნალო სისტემების (აზოტის ჟანგი, ჟანგბადის რეაქციულ ნაერთები და აპოპტოზის მარკერების) მონაწილეობით [2,3].

ორთოპედიული სტომატოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კბილთა რკალის დეფექტების აღდგენა დაკავშირებულია პირის ღრუში ადამიანის ორგანიზმისათვის უცხო სხეულის ანუ კბილთპროთეზების შეტანასთან. პროთეზები კომპლექსურ ზემოქმედებას (მექანიკური ზეწოლა, საპროთეზო მასალის ალერგიულ-ტოქსიკური ზემოქმედება, პირის ღრუს ლორწოვან ქსოვილში ანთებითი და დისტროფიული პროცესების განვითარება) ახდენენ პირის ღრუს ყველა შემადგენელ ნაწილზე. სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების ურთიერთქმედება პირის ღრუს ქსოვილებთან და მათი მავნე (უარყოფითი) ეფექტის პრევენცია, კორექცია სტომატოლოგიის ერთ-ერთი გადაუწყვეტელი და აქტუალური პრობლემაა. სტომატოლოგიის ამ დარგში კვლევები ძირითადათ ახალი საპროთეზო მასალების შემუშავებისაკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ინტერესს იწვევს ახალი სამკურნალო პრეპარატების, საშუალებების და მეთოდების ძიება, რომლებიც მოქმედებენ პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის სხვადასხვა ჯაჭვებზე.

პირის ღრუს ქსოვილის უჯრედების პროთეზინდუცირებული კვდომის ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალია [5]. დადგინდა, რომ პირის ღრუს უჯრედების პროლიფერაცია, ტერმინალური დიფერენციაცია და სპონტანური აპოპტოზის რეგულაცია პროაპოპტოზური ცილა p53-ის მონაწილეობით მიმდინარეობს [6-10]. ასე რომ სხვადასხვა სახის საპროთეზო მასალის გამოყენების პირობებში პროთეზ-ინდუცირებული ანთების შემდგომი ღრძილის ქსოვილის აპოპტოზის მარკერის, ცილა p53-ის, შემცველობის ცვლილებები ფრიად მნიშვნელოვანია სტომატოლოგიური პროთეზების უვნებლობისა, ან სხვადასხვა საკორექციო პრეპარატების ეფექტურობის შეფასებისათვის.

გამოკვლევის მიზანი: ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენების დროს ნერწყვში ცილა p53-ის, როგორც ღრძილის ქსოვილის აპოპტოზის მარკერის, შემცველობის ცვლილებების დადგენა.

მასალა და მეთოდები. შესწავლილია 60 პაციენტი სხვადასხვა სახის მოსახსნელი პროთეზებით, რომლებიც ქმნიან სამ ჯგუფს: 1 ჯგუფი 30 პაციენტი, რომლებსაც მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზები დაუმზადდათ პლასტმასის ბაზისით; 2 ჯგუფი 30 პაციენტი, რომლებსაც დაუმზადდა მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზები. თითოეული ჯგუფი თავის მხრივ 2 ქვეჯგუფად გაიყო (ა და ბ ქვეჯგუფი 15-15 პაციენტი). 1ა და 2ა ქვეჯგუფებში არიან პაციენტები, რომლებიც პროთეზირების შემდეგ იყენებენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, ხოლო 1ბ და 2ბ ქვეჯგუფებში პაციენტები მოსახსნელი პროთეზით, რომლებიც აღნიშნულ სითხეებს არ იყენებენ. მესამე საკონტროლო ჯგუფში შეყვანილია 30, პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის ღრუს მქონე, ადამიანი (18 დან 25 წლის ასაკი). ყურადღება მიექცევა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მდგომარეობას.

ნერწყვი, აღებულ იქნა უზმოზე მინის ჭურჭელში სტიმულაციის გარეშე (60 პროტეზირებული და 30 ჯანმრთელი პირი).

ნერწყვის გამოკვლევა პაციენტებს ჩაუტარდათ სამჯერადად: 1 პროთეზირებამდე მათი საპროთეზოდ მომზადების პერიოდში; 2 პროთეზის ჩასმიდან მე-2, მე-3 დღეს მაქსიმალური ვაღიზიანების ფაზაში; 3 ერთი თვის შემდეგ, რაც მეტნაკლებად შეესაბამება შეკავების ფაზას.

ნერწყვში ცილა p53-ის შემცველობის განსაზღვრა მოხდა ჩუსაბიო იმუნოფერმენტული ტესტ-სისტეის საშუალებით.

სტატისტიკური დამუშავება: მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 10.0) პროგრამული პაკეტით. შედეგები მიღებულ იქნა საშუალო და საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილება. სხვაობა ჯგუფებს შორის შეფასდა Student t+ კრიტერიუმით. ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრებიდა P<0,05-ით.

შედეგები და მათი განხილვა.

1-ლ ცხრილში მოყვანილია პაციენტების ნერწყვში ცილა p53-ის შემცველობის ცვლილებები სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

ცხრილი 1. პაციენტების ნერწყვში ცილა p53-ის შემცველობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში (მმ/მგ)

მაჩვენებ-ლები	პროთეზის გამოყენებამდე	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს	პროთეზის გამოყენებიდან 1თვის შემდეგ
კონტროლი	2,5,0±0,7		
1ბ	12,0±2,6	22,6±2,5*	7,2±2,7*
1	13,7±2,8	13,0±2,8*	4,8±2,5*
2ბ	15,5±3,5	8,1±3,6*	6,8±1,4
2	15,8±3,6	7,0±2,4*	2,8±2,6

* – სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროტეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა p53-ის შემცველობა 88%-ით იზრდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 60%-ს შეადგენს (თიტქმის 3 ჯერ აღემატენა საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში ცილა p53-ის შემცველობა არ იცვლებოდა საწყის დონესთან შედარებით, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი მცირდება და საწყისი მაჩვენებლის 35%-ს შეადგენს (ორჯერ აღემატება საკონტროლო დონეს).

პაციენტების ჯგუფსი რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა p53-ის შემცველობა 50%-ით მცირდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი კიდევ 10%-ით მცირდება (თითქმის 3-ჯერ აღემატება საკონტროლო მაჩვენებელს).

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, 3 დღის შემდეგ ნერწყვში თავისუფალი ცილა p53-ის შემცველობა 50%-ით მცირდება, 1 თვის შემდეგ ეს პარამეტრი აგრძელებს შემცირებას და უტოლდება საკონტროლო მაჩვენებელს.

ჩვენ გამოვიყენეთ ცილა p53- როგორც პირის ღრუს ქსოვილებში აპოპტოზის ამსახველი პარამეტრი. კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ღრძილის დაზიანება შედარებით დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხის და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა

1. Borradon L., Sonnenberg A. – Structure and function of hemidesmosomes: more that simple adhesion complexes// J. Invest. Dermatolog., 1999, #112, 411-418.
2. Chai Y., Ito Y., Han J. – TGF-beta signaling audits functional significance in regulating the fate of cranial neural crest cells// Crit. Rev. Oral., 2003, #14, 78-88.
3. Evan G., Vousden K. – Proliferation, cell cycle and apoptosis in cancer// Nature, 2001, #411, 342-348.
4. Hoffman M. et al. – Gene expression profiles of mouse submandibular gland development: FGFR1 regulates branching morphogenesis in vitro through BMP- and FGF-dependent mechanisms// Development , 2002, #129, 5767-5778.
5. Jarnbring F. et al. – Quantitative assessment of apoptotic and proliferative gingival keratinocytes in oral and sulkular epithelium in patients with gingivitis and periodontites// J. Clin. Periodontite, 2002, #29, 1065-1071.
6. Li P., Dietz R., von Harsdorf R. – p53 regulates mitochondrial membrane potential through reactive oxygen species and induces cytochrome-C-independent apoptosis blocked by Bcl-2// EMBO J., 1999, #18(21), 6027-6036.
7. Miletich I., Share P. – Normal and abnormal dental development// Hum. Mol. Genes., 2003, #12, 69-73.
8. Min B. et al. – Terminal differentiation of normal human oral keratinocytes is associated with enhanced cellular TGP-beta and phospholipase C-gamma 1 levels and apoptotic cell death// Exp. Cell. Res., 1999, #249, 3877-3883.
9. Oh J. et al. – Phospholipase C-gamma 1 is required for subculture-induced terminal differentiation of normal human oral keratinocytes// Int. J. Mol. Med., 2003, #11, 491-498.
10. Messmer U. et al. – p53 expression in nitric oxide-induced apoptosis// FEBS Lett., 1994, #21(1), 23-26.

З. НАКУДАШВИЛИ, И. МГЕБРИШВИЛИ, М. ЕНУКИДЗЕ, М. МАЧАВАРИАНИ, Т. САНИКИДЗЕ

БЕЛОК Р53 – КАК ДИАГНОСТИКО-ПРОГНОСТИЧЕСКИЙ МАРКЕР ИНТЕНСИВНОСТИ ИНДУЦИРОВАННОГО СЪЕМНЫМИ ПРОТЕЗАМИ АПОПТОЗА ТКАНЕЙ ПОЛОСТИ РТА

Тбилисский Государственный Медицинский Университет, Институт медицинской биотехнологии, Грузия

РЕЗЮМЕ

Цель исследования – устновление изменений в слюне содержания белка р53, маркера апоптоза, индуцированное съемными протезами. Исследовано 60 пациентов с съемными протезами (1 и 2 группы – по 30 пациентов со съемными протезами с пластмасовой и металлической базой, которые использовали специальную гигиеническую жидкость для ухода за протезами и полостью рта (1а, 2а) и без (1б, 2б); 3 контрольная группа – 30 добровольцев с практически здоровой полостью рта. В слюне пациентов исследовали содержание белка Р-53 (до протезирования, на 3 день и через 1 месяц после установления протеза) с помощью иммуно-энзиматической тест-системы «Cusabio».

Результаты исследования свидетельствуют, то при использованием протезов с металической базой интенсивность воспалительного процесса сравнительно низкая; специальная гигиеническая жидкость обеспечивает дополнительную защиту тканей полости рта от повреждения.

Показатели белка р53 в слюне пациентов позволяют использовать их в качестве диагностико-прогностического критериума при оценке воспалительных процессов в полости рта, а также эфективности различных лечебно-профилактических средств и процедур.

ე.ბურკაძე, ნ.მიცკევიჩი, ნ.ჩიხლაძე, მ.მელიქიშვილი, ნ.წიცხელაური, ბ.ტეილორი

ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

E. BURKADZE, N. MITSKEVICH, N. CHIKHLADeZE, M. MELIKISHVILI, N. PITSKHELAURI, B. TAYLOR

THE USE OF ANIMAL IN BIO-MEDICAL RESEARCH: ETHICAL ASPECTS

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SUMMARY

Use of animals for scientific discoveries counts a history of more than 2000 years. First normative act on animal care and use was issued only in 19th century, which was a first result of long anti-vivisection attitude. In 1873 US Congress passed a low of twenty-eight hours, serving as a basis for British Parliament to issue a first regulatory act on animal use in experiments.

Protection of ethical aspects of animal use in bio-medical research requires utilization of internationally approved regulations and guidelines. There are no ethical-legal regulations of animal use in bio-medical research in Georgia, neither on institutional nor on governmental level. Thus, familiarization with the US and European experience is of great importance for Georgia in development of ethical-legal regulations and harmonization with international standards.

ზ.ნაკუდაშვილი, ი.მღებრიშვილი, მ.პაპავა, მ.ენუქიძე,
მ.მაჭავარიანი, თ.მჭედლიშვილი, თ.სანიკიძე

პირის ღრუს მოსახსნელი პროთეზების ხმარების საპასუხოდ განვითარებული იმუნური და ოქსიდაციური მეტაბოლიზმის ცვლილებები

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ვლ. ბახუტაშვილის სახელობის
სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

*Z. NAKUDASHVILI, I. MGEBRISHVILI, M. PAPAVA, M. ENUKIDZE, M. MACHAVARIANI,
T. MCHEDLISHVILI, T. SANIKIDZE*

DENTURE INDUCED ALTERATIONS OF IMMUNE AND REDOX BALANCE OF PATIENTS

Tbilisi State Medical University, Vl. Bakhutashvili Institute of Medical Biotechnology, Georgia

SUMMARY

The aim of the study – establishment of denture induced alterations of immune and redox balance in patients blood. 60 patient with denture was investigated: 1st group – 30 patient with denture on the plastic basis, who used specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity (1a) and not (1b); 2nd group – 30 patients with denture with metal basis, who used specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity (2a) and not (2b). The 3rd control group – 30 volunteers with healthy oral cavity.

Result of the study indicates the different intensity of disorders of immune and redox balance odpatients blood, depending on the type of denture, It was testified, that in patients with metal basis denture inflammatory process is lessintensive; employing of specific hygienic liquid for denture cleaning and swilling of oral cavity decreases intensity of inflammation.

კვლევა ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2015 წლის 30 იანვრის №59 ბრძანებით დამტკიცებული სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერის ფარგლებში.

ორთოპედიული სტომატოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კბილთა რკალის დეფექტების აღდგენა დაკავშირებული არის პირის ღრუში ადამიანის ორგანიზმისათვის უცხო სხეულის ანუ კბილთპროთეზების შეტანასთან. პროთეზები კომპლექსურ ზემოქმედებას (მექანიკური ზეწოლა, საპროთეზო მასალის ალერგიულ-ტოქსიკური ზემოქმედება, პირის ღრუს ლორწოვან ქსოვილში ანთებითი და დისტროფიული პროცესების განვითარება) ახდენენ პირის ღრუს ყველა შემადგენელ ნაწილზე. სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პირის ღრუს ქსოვილებთან ურთიერთქმედება და მათი მავნე (უარყოფითი) ეფექტის პრევენცია, კორექცია სტომატოლოგიის ერთ-ერთი გადაუწყვეტელი და აქტუალური პრობლემაა. სტომატოლოგიის ამ დარგში კვლევები ძირითადათ ახალი საპროთეზო მასალების შემუშავებისაკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ინტერესს იპყრობს ახალი სამკურნალო პრეპარატების, საშუალებების და მეთოდების ძიება, რომლებიც მოქმედებენ პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის სხვადასხვა ჯაჭვებზე.

ანთებადი რეაქციის და ორგანიზმის მიერ საპასუხო რეაქციების გან ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთნება რედოქს-ბალანსისა და იმუნური მეტაბოლიზმის ცვლილებებს. ციტოკინები წარმო ადგენს იმუნიტეტის მედიატორებს და არეგულირებს იმუნური სისტემის ფუნ ქციურ აქტიურობას სტიმულაციის ან სუპრესიის გზით. აქედან გამომდინარე, მათი დონის

განსაზღვრა სისხლსა და ბიოლოგიურ სითხეებში მნიშვნელოვანია როგორც იმუნოკომპეტენტური უჯრედების ფუნ ქციური აქტიურობის, ისე ანთებადი პროცესის სიმძიმის შესა ფა სებლად და დაავადების გამოსავლის პროგნოზირების თვალსაზრისით [3,4].

გამოკვლევის მიზანი: ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენების დროს ნერწვში IL1β და IL10-ს და ანტიბაქტერიული თვისებების მარკერის, ანტრანილის მჟავასშემცველობის, აგრეთვე სისხლის რედოქს ბალანსის განსაზღვრა.

მასალა და მეთოდები. შესწავლილია 60 პაციენტის ხვადასხვა სახის მოსახსნელი პროთეზებით, რომლებიც ქმნიან სამ ჯგუფს 1 ჯგუფი – 30 პაციენტი, რომლებსაც მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზები დაუმზადდათ პლასტმასის ბაზისით; 2 ჯგუფი – 30 პაციენტი, რომლებსაც დაუმზადდა მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზები. თითოეული ჯგუფი თავის მხრივ 2 ქვეჯგუფად გაიყოფა (ა და ბ ქვეჯგუფი 15–15 პაციენტი). 1ა და 2ა ქვეჯგუფებში შევიდნენ პაციენტები, რომლებიც პროთეზირების შემდეგ იყენებენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს სავლებებს, ხოლო 1ბ და 2ბ ქვეჯგუფებში პაციენტები მოსახსნელი პროთეზით, რომლებიც აღნიშნულ სითხეებს არ იყენებენ. მესამე საკონტროლო ჯგუფში შეყვანილი იქნა 30, პრაქტიკულად ჯანმრთელი პირის ღრუს მქონე, ადამიანი (18 დან 25 წლის ასაკში). ყურადღება მიექცევა პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მდგომარეობას.

ნერწყვი, აღებულ იქნა უსმოზე მინის ჭურჭელში სტიმულაციის გარეშე (60 პროტეზირებული და 30 ჯანმრთელი პირი).

ნერწყვში ანტრანილის მჟავას შემცველობას ვსაზღრავდით სპექტროფოტო–მეტრული მეთოდით, რომელიც ეფუძნება ანტრანილის მჟავას *p-N,N*-დიმეთილენდიამინთან რეაქციას შედეგად ($S_2O_8^{-2}$–ის თანაობისას) ინტენსიურად შეფერილი პროდუქტის წარმოქმნით (აბსორბციის მაქსიმუმი 670-320ნმ) [5].

ნერწვში ციტოკინების IL1β, IL10 რაოდენობრივი მაჩვენებლები ისაზღვრებიდა იმუნო ფერ მენტული ანალიზის მეთოდით.

პაციენტების სისხლში რედოქს ბალანსის განსაზრვრის მიზნით ვენურ სისხლში ვსაზღვრავდით პეროლქსილ რადიკალების (LOO.) შემცველობას და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ)) აქტივობას.

პეროლქსილრადიკალების (LOO.) განსაზღვრის მიზნით ვიყენებდით სპინხაფანგს α-ფენილ-ტერტბუტილნიტრონ (PBN) (SIGMA), დოზით 50 mM 0,5 ml სისხლზე. LOO·-ს ეპრ სპექტრებს ვსაზღვრავდით ეპრ რადიოსპექტრომეტრზე РЭ-1307 ოთახის ტემპერატურაზე მიკროტალღოვან სიმძლავრეზე 20 mVt.

ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სუპეროქსიდდისმუტაზას (სოდ)) აქტივობას ვსაზღვრავდით სპექტროფოტომეტრული მეთოდით სტანდარტული მეთოდიკის მიხედვით [1,2].

გამოკვლევა პაციენტებს ჩაუტარდათ სამჯერადად: 1) პროთეზირებამდე მათი საპროთეზოდ მომზადების პერიოდში; 2)პროთეზის ჩასმიდან მე–2, მე–3 დღეს მაქსიმალური გაღიზიანების ფაზაში; 3)ერთი თვის შემდეგ, რაც მეტნაკლებად შეესაბამება შეკავების ფაზას.

მიღებული შედეგების სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა SPSS (ვერსია 10.0) პროგრამული პაკეტით. შედეგები მიღებულ იქნა საშუალო და საშუალო სიდიდეების სტანდარტული ცდომილება. სხვაობა ჯგუფებს შორის შეფასდა student t+ კრიტერიუმით. ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სარწმუნოება განისაზღვრებიდა P<0,05–ით.

შედეგები და მათი განხილვა. 1–ლ ცხრილში მოყვანილია პაციენტების ნერწვში IL1β, IL10 შემცველობის ცვლილებები სხვადასხვა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

ცხრილი 1. პაციენტების ნერწყვში IL1β, IL10 შემცველობა (მმ/მგ) პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში

ჯგუფები/ მაჩვენებლები		პროთეზის გამოყენებამდე	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ
კონტროლი	IL1β	20,0±2,8		
	IL10	25,1±3,6		
	IL1β/IL10	0.8		
1ბ	IL1β	21,5±2,1	28,3±3,3*	26,5±3,0*
	IL10	26,0±2,6	18,5±2,8*	21,2±2,1*
	IL1β/IL10	0,8	1,5	1,3
1	IL1β	20,9±2,0	33,7±3,9*	27,6±3,8*
	IL10	25,8±3,0	17,6±2,6*	19,9±2,9*
	IL1β/IL10	0,8	1.,9	1,4
2ბ	IL1β	19.8±2,2	26,9±2,2*	22,3±3,0
	IL10	25,1±3,6	22,9±2,4	23,5±2,7
	IL1β/IL10	0,8	1,17	0,8
2	IL1β	20,6±2,5	25,1±2,7	23,0±2,9
	IL10	26,1±2,9	23,9±2,4	24,1±2,0
	IL1β/IL10	0,8	1,1	1,0

*- სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწვში IL1β-ის შემცველობა 31% -ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 29% -ით მცირდება, ხოლო 1 თვის შემდეგ იწყრბს კლებას და მცირდება 13% -ით.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეებს, 3 დღის შემდეგ სისხლში IL1β-ის შემცველობა 61% -ით იზრდება და 1 თვის შემდეგ უმნიშვნელოდ მცირდება (19%); IL10-ის შემცველობა 3 დღის შემდეგ 32% -ით მცირდება, და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ ნერწვში IL1β-ის შემცველობა 21% -ით იზრდება და რჩება ამდონეზე 1 თვის შემდეგაც; I 10-ის შემცველობა თითქმის არ იცვლება მთელი დაკვირვების განმავლობაში.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეებს, 3 დღის შემდეგ სისხლში IL1β-ის შემცველობა 25% -ით იზრდება და 1 თვის შემდეგ მცირდება 8% -ით; IL10-ის შემცველობა თითქმის არ იცვლება მთელი დაკვირვების განმავლობაში.

ანუ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს ნერწვშივლინდება პრო- და ანტიანთებითი ციტოკინების შემცველობის ცვლილებები და მათ შორის აბალანსის დარაარვევა, რაც ღრძილის ქსოვილში ანთების განვითარებაზე მიუთითებს. განსაკუთრებით აღსანისნავია I ჯგუფის პაციენტები, სადაც ნერწვშიიმუნური ბალანსის პროანთებითისაკენ გადახრა განსაკუთრებით ძლიერია, როგორც 3 დღის, ასევე 1 თვის შედეგაც.

მე-2 ცხრილში მოყვანილია პაციენტების სისხლში ლიპოპროქსიდების შემცველობისა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სოდ-ის) აქტივობის ცვლილებები პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში.

ცხრილი 2. პაციენტების სისხლში ლიპოპროქსიდების შემცველობა და ანტიოქსიდანტური ფერმენტების (კატალაზას და სოდ-ის) აქტივობა პროთეზების გამოყენების სხვადასხვა ვადებში (მმ/მგ)

ჯგუფები/ მაჩვენებლები		პროთეზის გამოყენებამდე	პროთეზის გამოყენებიდან მე-3 დღეს	პროთეზის გამოყენებიდან 1 თვის შემდეგ
კონტროლი	კატალაზა	12,8±1,8		
	სოდ	47,1±3,9		
	LOO	-		
1ბ	კატალაზა	13,0±2,1	17,9±3,3	16,5±3,1*
	სოდ	46,0±2,9	58,5±3,7*	51,2±2,1*
	LOO	-	1,9±0,2	1,2±0,2
1ა	კატალაზა	13,8±2,6	18,3±2,5*	17,3±3,5*
	სოდ	45,7±2,3	57,6±3,6*	56,9±2,9*
	LOO	-	1,0±0,3	0,9±0,2
2ბ	კატალაზა	13,4±2,8	16,9±2,12	12,3±3,0
	სოდ	46,7±2,2	52,9±2,1	48,5±2,1
	LOO	-	1,0±0,2	-
2ა	კატალაზა	13,8±2,6	15,1±2,4	13,0±2,2
	სოდ	48,0±1,9	53,9±2,1	48,9±2,4
	LOO	-	0.9±0,2	-

*- სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საწყის მაჩვენებელთან შედარებით

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ვამომდინარეობს, პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეგებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ სისხლშიკატალაზას აქტივობა 38% -ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 27% -ით იზრდება, ხოლო 1 თვის შემდეგ იწყრბს კლებას და მცირდება 13% -ით.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც პლასტმასის ბაზისით დამზადებული მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების ხმარებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეგებს, 3 დღის შემდეგ სისხლში კატალაზას აქტივობა 33% -ით იზრდება და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 26% -ით იზრდება, და რჩება ამ დონეზე 1 თვის შემდეგაც.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც მოსახსნელი ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას არ ხმარობდნენ პროთეზის გასაწმენდ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეგებს, პროთეზების ხმარების 3 დღის შემდეგ სისხლშიკატალაზას აქტივობა 26% -ით იზრდება და და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდე; სოდ-ის აქტივობა 3 დღის შემდეგ 13% -ით იზრდება, და და 1 თვის შემდეგ მცირდება საწყის მაჩვენებლების დონემდეგ.

პაციენტების ჯგუფში, რომლებიც ლითონის ბაზისიანი პროთეზების გამოიყენებისას ხმარობდნენ ჰიგიენურ სითხეს და პირის ღრუს საგლეგებს, 3 დღის შემდეგ სისხლში კატალაზასა და სოდ-ის აქტივობა იზრდება 10% -ით საწყის მაჩვენებლებთან შედარებით და შემდეგ უბრუნდება საწყის მაჩვენებელს.

ანუ, შეგვიზლია დავასკვნათ, რომ პროთეზების ხმარების დროს სისხლსი ვლინდება პრო- და ანტიოქსიდანტური სისტემის ბალანსის დარღვევით, კერძოდ, ადგილი აქვს ოქსიდაციური

სტრესის ინტენსიფიკაციის (რაც ლიპოპეროქსიდების გამოჩენით ვლინდება) და ანტიოქსიდანტური ფერმენტების აქტივაციას.

გამოკვლეული პაციენტების ნერწყვში არ გამოვლინდა ანთრანილის მჟავას შემცველობის სარწმუნო ცვლილებები, რაც პროთეზების ხმარებისას ნერწყვის ანტიმიკრობული დაცვის შენარჩუნებაზე მიუთითებს.

კვლევის შედეგები მოწმობენ ლითონის ბაზისიანი პროთეზების ხმარების დროს ღრძილის დაზიანება შედარებით დაბალი ინტენსივობით მიმდინარეობს. პროთეზის გასაწმენდი ჰიგიენური სითხეს და პირის ღრუს სავლებების გამოყენება პირის ღრუს ქსოვილის დამატებით დაცვას უზრუნველყოფს.

ლიტერატურა

1. Королюк М.А., Иванова Л.И., Майорова И.Г. – Метод определения активности каталазы// Лаб. дело, 1988, № 1, 16–19.
2. Макаренко Е.В. – Комплексное определение активности СОД и глутатионредуктазы в эритроцитах у больных с хроническими заболеваниями печени// Лаб. дело, 1988, №11, 48-50.
3. Ярилин А.А. – Система цитокинов и принципы ее функционирования в норме и при патологии// Иммунология, 1997, №5, 7-14.
4. Abbas A., Lichtman A., Rober I. – Cellular and Molecular Immunology// Philadelphia, 1999, 417p.
5. Sastry1 C.,Tipirneni A., Suryanarayana M. – Spectrophotometric analysis of some anthranilic acid derivatives and their pharmaceutical preparations// Microchemical J., 1989, #39(3), 277-282.

З.НАКУДАШВИЛИ, И.МГЕБРИШВИЛИ, М.ПАПАВА, М.ЕНУКИДЗЕ, М.МАЧВАРИАНИ, Т.МЧЕДЛИШВИЛИ, Т.САНИКИДЗЕ

НАРУШЕНИЯ ИММУНОГО И РЕДОКС БАЛАНСА КРОВИ ПАЦИЕНТОВ, ИНДУЦИРОВАННЫЕ СЪЕМНЫМИ ПРОТЕЗАМИ ПОЛОСТИ РТА

Тбилисский Государственый Медицинский Унивеситет, Институт медицинской биотехнологии
им. Вл. Бахуташвили, Грузия

Цель исследования – устновление изменений иммуного и редокс баланса в крови пациентов, индуцированных съемными протезами.

Исследовано 60 пациентов с съемными протезами (1 группа – 30 пациентов со съемными протезами с пластмасовой базой, которые использовали специальную гигиеническую жидкость для ухода за протезами и полостью рта (1а) и без (1б); 2 группа – 30 пациентов со съемными протезами с металлической базой, подгруппы 2а и 2б. 3 контрольная группа – 30 добровольцев с практически здоровой полостью рта. В крови пациентов исследовали содержание цитокинов, IL10, IL1в и антраниловой кислоты, а такжк состояние редокс-баланса крови на разных сроках после применения протезов.

Результаты исследования свидетельствуют о различной степени изменений иммуного и редокс баланса крови пациентов при использовании различного типа протезов. Сделано заключение, что интенсивноть воспалительного процесса сравнительно низкая в случае протезов с металической базой; использование специальной гигиенической жидкости для ухода за протезами и полостью рта обеспечивает дополнительную защиту тканей полости рта от повреждения.

N 5 2018

ნინო ჯავახიშვილი
NINO JAVAKHISHVILI
Н.А.ДЖАВАХИШВИЛИ
1913-2012

ექსპერიმენტული და კლინიკური

მედიცინა

Experimental & Clinical MEDICINE

Экспериментальная и клиническая МЕДИЦИНА

Abstracts of articles are published in "Georgian ref. Journal" (www.tech.caucasus.net)

UDC(უაკ)61+57(051.2)
ე-92
Ე-413
E-97

ISSN 1512-0392

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის სახელობის
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინა

№5

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის, სტომატოლოგიის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ფარმაციის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ, ჟურნალი ჩართულია სამეცნიერო გამოცემების ნუსხაში, სადაც რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტების გამოქვეყნება

გამოქვეყნებული სტატიების რეფერატები იბეჭდება საქართველოს ტექინფორმის «ქართულ რეფერატულ ჟურნალში»

თბილისი 2018

მ.ციმაკურიძე, ე.მაისურაძე, დ.ზურაშვილი, მ.მათეშვილი,
მაია ციმაკურიძე, ნ.ხაჭაპურიძე ---------- 16
სისხლის ზოგიერთი ბიოქიმიური მაჩვენებელი ვიბრაციული
დაავადების დროს

D.TOPHURIA, M.MATOSHVILI, L.BENASHVILI, N.SULASHVILI ---------- 18
LIVER TOXIC DAMAGE IN OCCUPATIONAL EXPOSURE TO SOLVENTS

ა.მაკალათია, ე.მირველაშვილი ---------- 20
პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის დონის შეფასება ქვემო ქართლის
რეგიონის მოსახლეობაში

Н.С.ВАЧНАДЗЕ, Т.Ш.СУЛАДЗЕ, В.Ю.ВАЧНАДЗЕ ---------- 22
ФИТОХИМИЧЕСКИЙ СКРИНИНГ РАСТЕНИЙ РОДА MAGNOLIA, ИНТРОДУЦИРОВАННЫХ В
ЗАПАДНУЮ ГРУЗИЮ

D.TOPHURIA, M.MATOSHVILI, L.BENASHVILI, I.KOKHREIDZE, B.SAMKHARADZE ---------- 25
DRUG-MEDIATED LIVER INJURY IN OBESITY

დ.ტურაბელიძე, ბ.კიკალიშვილი, ნ.ბორგასლიძე,
ც.სულაქველიძე, მ.მალანია ---------- 28
საქართველოში კულტივირებული ზოგიერთი მცენარის
ლიპიდების კვლევა

ნ.ნემსიწვერიძე, თ.ჭუმბურიძე, თ.ზარქუა, ი.წურწუმია,
ნ.ნიკურაძე, ნ.დუღაშვილი ---------- 30
ფარმაცევტული ზრუნვის ასპექტები ჯანდაცვაში

ნ.ბორგასლიძე, ლ.ნადირაშვილი, გ.ერქომაიშვილი ---------- 31
ლეღვის ხის (FICUS CARICA) შმწიფარი ნაყოფის რძეწვენში პროტეოლიზური
ფერმენტის აქტივობის განსაზღვრის მეთოდის მეტროლოგიური დახასიათება

П.А.ЯВИЧ, М.Б.КАХЕТЕЛИДЗЕ, Л.И.ЧУРАДЗЕ, М.А.ГАБЕЛАЯ ---------- 34
К ВОПРОСУ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПРИРОДНЫХ ИСТОЧНИКОВ ГРУЗИИ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ
ЛЕКАРСТВЕННЫХ И КОСМЕТИЧЕСКИХ СРЕДСТВ

ა.ციბაძე, ნ.ცხვედიანი, ლ.მიქელაძე, დ.დელიბაშვილი, ს.ბოქაძე ---------- 36
თეთრი და ლურჯი ფერის შუქდიოდით დასხივების გავლენა
ადამიანის თმასა და კანზე

ქ.ბ.შალაშვილი, თ.ბ.საღარეიშვილი, მ.დ.ალანია ---------- 38
საქართველოში ინტროდუცირებული ზოგიერთი მცენარის
ფენოლური ნაერთები

ლ.კინწურაშვილი, ქ.მჭედლიძე, მ.ჭურაძე, ვ.მშვილდაძე ---------- 41
უთხოვარის - TAXUS BACCATA L. (Taxaceae) წიწვის, როგორც
სამკურნალო მცენარეული ნედლეულის მიკროსტრუქტურული თავისებურებანი

დ.ჩიტაშვილი, ე.კორინთელი, ნ.ბერიანიძე, ა.ბობირახაშვილი ---------- 44
გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გავლენა სპორტსმენთა
კარდიო-რესპირატორული სისტემის ფუნქციურ მაჩვენებლებზე

ე.კორინთელი ---------- 47
საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული (16-17 წწ.) ნაკრების
ფიზიკური და ფუნქციური მონაცემები პასიური და აქტიური დასვენების
გამოყენების პირობებში

ქ.ხაზარაძე, ნ.ჯაფარიძე, ვ.სურგულაძე ---------- 49
ადაპტური სპორტის მნიშვნელობა შეზღუდული
შესაძლებლობების მქონე პირთათვის

D.TOPHURIA, M.MATOSHVILI, L.BENASHVILI, I.KAKHNIASHVILI ---------- 51
COMBINATION TREATMENT OF NON-ALCOHOLIC FATTY LIVER DISEASE

ზ.ქემოკლიძე, მ.გეთია, ნ.გორგასლიძე ---------- 53
ფაციფლოგენის ტაბლეტებიდან მოქმედი ნივთიერების
კონცენტრაციის დინამიკის ანალიზი ფარმაკოთერაპიის ოპტიმიზაციისათვის

T.G.GIORGADZE; S.G.GIORGADZE ---------- 55
PYROPTOSIS - POSSIBLE TARGET FOR ENVIRONMENTAL FACTORS

დ.გაბუნია, ა.ქისტაური ---------- 59
ყურადღება – პოლიპრაგმაზია

ა.კარსანიძე, ნ.ანთელავა, ნ.გორგასლიძე, მ.ოკუჯავა, მ.ღონღაძე, ქ.პაჭკორია ----- 61
სტატინების მარკეტინგული კვლევა საქართველოს
ფარმაცევტულ ბაზარზე

მ.კაპანაძე ---------- 65
ენდოპროტეზირების არადამაკმაყოფილებელი შედეგის რისკის შეფასება,
მაღალი ამოვარდნილობის ფონზე განვითარებული დისპლაზიური კოქსართროზის
დროს (CROWE III-IV) რბილქსოვილოვანი რელიზის მოდიფიცირებული მეთოდის
გამოყენებისას

ლ.ბუღაძე, ლ.ჟორჟოლიანი, ნ.მანჯავიძე ---------- 68
ვიტამინ D-ს დონე და კომორბიდული მდგომარეობები
ბრონქული ასთმით დაავადებულ ბავშვებში

დ.ტაბიძე, ლ.ბარამიძე, ზ.სიხარულიძე, დ.კიტოვანი, მ.ყაჯრიშვილი ---------- 73
C ჰეპატიტის ელიმინაციის მართვის პროგრამაში ჩართული
კლინიკებისა და პაციენტთა კმაყოფილების დონის შესწავლა

L.IREMADZE, A.GVENETADZE, V.TANOS ---------- 76
PREGNANCY RATES AFTER LAPAROSCOPIC TREATMENT OF MINIMAL OR MILD
ENDOMETRIOSIS – 5th YEARS OF EXPERIENCE

ს.ბრუნჯაძე, შ.ვაშაძე, ქ.დოლიძე, მ.ართმელაძე ---------- 79
დემენცია ონკოპაციენტებში

ზ.ნაკუდაშვილი, ს.ელებრიშვილი, ი.ბარბაქაძე, თ.სანიკიძე ---------- 83
სხვადასხვა საბაზისო მასალისგან დამზადებული მოსახსნელი პროთეზების
გავლენა პირის ღრუს მეტაბოლიზმზე

მ.ლეკვეიშვილი ---------- 88
ფანგვის სტრესთან დაკავშირებული მდგომარეობების
სამკურნალო საშუალება

გ.კვარაცხელია, ლ.ლურსმანაშვილი, ნ.ლობჯანიძე, გ.ორმოცაძე,
ე.შეყილაძე, ნინა ვ.ყიფიანი, თ.სანიკიძე ---------- 91
ლიპიდური მეტაბოლიზმის მაჩვენებლები ჭიმურის რაიონის სხვადასხვა
დაბინძურების ხარისხის მქონე სოფლების მოსახლეობაში

L.TANDASHVILI, A.GVENETADZE, V.TANOS ---------- 93
NEONATAL UTERINE BLEEDING AS A PRECURSOR IN ADULT ENDOMETRIOSIS

დ.ბახტურიძე, ზ.დაბრუნდაშვილი, თ.მაღლაკელიძე,
თ.ჩიბურდანიძე, კ.მარდალეიშვილი ---------- 97
მგზავრავი იოგების დამბლა. ეტიოლოგიური ფაქტორები და კლინიკური
გამოვლინება

ნ.მგალობლიშვილი, მ.გოთუა ---------- 101
FENO-ს როგორც ასთმის მე-2 ტიპის ბიომარკერის დიაგნოსტიკური ღირებულება

დ.ბახტურიძე, ზ.დაბრუნდაშვილი, თ.მაღლაკელიძე,
თ.ჩიბურდანიძე, კ.მარდალეიშვილი ---------- 106
მგზავრავი იოგებისორმხრივი დამბლის მკურნალობის მეთოდები

მ.გარუჩავა, გ.ფარულავა ---------- 111
ზოგიერთ საკვებ კულტურებში ჰეტინური ნივთიერებების კვლევა

ამრიგად, დემენცია საკმაოდ გავრცელებულია ონკოპაციენტებში, მათგან მძიმე და საშუალო ხარისხის დეპრესია სჭარბობს 79%-ში, მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვერ დავაფიქსირეთ დემენცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მკვლევარები მიუთითებენ შექცევად დემენციაზე ქიმიოთერაპიის შემდგომ, რომელიც გარკვეული დროის გავლის შემდეგ შექცევადია.

ონკოპაციენტების მკურნალობასა და ახალ რეალობასთან ფსიქოლოგიურ ადაპტაციაში დახმარების გაწევის მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ჩართულობას. საჭიროა შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მიზანი იქნება დახმარების გაწევა დიაგნოზის დასმის მომენტიდან მკურნალობის დასრულებამდე. პაციენტის და მისი ოჯახის ფსიქოგანათლება ეფექტური მკურნალობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, ადრეული დიაგნოზის დასმა, პაციენტების და მათი ოჯახების წევრების ცხოვრების ხარისხი გაუმჯობესება საზოგადოების მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

საჭიროა ჩამოყალიბდეს ონკოპაციენტთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის უფასო ცენტრები ონკოკლინიკების ბაზაზე. კვალიფიციური ფსიქოლოგიური დახმარება არა მარტო გააუმჯობესებს ონკოპაციენტების სიცოცხლის ხარისხს, არამედ ხელს შეუწყობს მათი ოჯახის წევრების ნერვულ-ფსიქიკური დარღვევების კუბირებას. ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია მკურნალობის პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. დღეს მსოფლიოში ონკოპაციენტების მკურნალობის პროცესის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა დიაგნოზის დასმის მომენტიდან მკურნალობის დასრულებამდე. აქტიურად ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის ცენტრები, რომლებიც სარგებ ლობენ სახელმწიფოს, საქველმოქმედო ორგანიზაციების თუ ფონდების ფინანსური მხარდაჭერით. ონკოლოგებს და ონკოფსიქოლოგებს კარგად ესმით პაციენტის დადებითი განწყობის, ფსიქო-ემოციური სტაბილურობის უდიდესი როლი მკურნალობის პროცესში.

ზ.ნაკუდაშვილი, ს.მღებრიშვილი, ი.ბარბაქაძე, თ.სანიკიძე

სხვადასხვა საბაზისო მასალისგან დამზადებული მოსახსნელი პროთეზების გავლენა პირის ღრუს მეტაბოლიზმზე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

Z.NAKUDASHVILI, S.MGHEBRISHVILI, I.BARBAKADZE, T.SANIKIDZE

EFFECT OF PROSTHESES FROM VARIOUS MATERIALS ON TISSUES OF THE ORAL CAVITY

Tbilisi State Medical University, Georgia

SUMMARY

We investigated the intensity of inflammatory processes (indicators of oxidative stress and balance of cytokines, a marker of apoptosis) during the use of removable prostheses from various materials.

Sixty patients were examined, who used prosthesis on the basis of Ftorax and Perflex Flexi Nylon. The parameters of oxidative metabolism and markers of inflammation of the oral cavity tissues were studied before the use of the prosthesis, after 3 days and 1 month after its establishment. For this purpose in the patients' saliva the activity of antioxidant enzymes (SOD, catalase) was studied by spectrophotometry, the cytokine content (IL-1в, IL10) by the immuno-enzymatic method and the P53 protein content using the Cusabio test system.

An analysis of the results showed that the prothesing (Ftorax.Perflex Flexi Nylon) is accompanied by a reversible change in the oxidative and immune balance and an increase of apoptosis in the patients' oral cavity. Intensification of oxidative metabolism and apoptosis is much less observed when using prostheses based on Perflex Flexi Nylon.

სტომატოლოგიური საპროთეზო მასალების პირის ღრუს ქსოვილებთან ურთიერთქმედება და მათი მავნე (უარყოფითი) ეფექტის პრევენცია, კორექცია – სტომატოლოგიის ერთ-ერთი ვადაუწყვეტელი და აქტუალური პრობლემაა [1-6]. სტომატოლოგიის ამ დარგში კვლევები ძირითადათ ახალი საპროთეზო მასალების შემუშავებისაკენაა მიმართული, მაგრამ ამავე დროს ინტერესს იპყრობს ახალი სამკურნალო პრეპარატების, საშუალებების და მეთოდების ძიება, რომლებიც მოქმედებენ პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის სხვადასხვა ჯაჭვებზე. აქედან გამომდინარე პოსტპროთეზული დაზიანებების პათოგენეზის საკვანძო რგოლების დადგენა და სტომატოლოგიური პროთეზების მასალების პათოლოგიური ზემოქმედების კორექციაზე მიმართული ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების ჩატარება თანამედროვე ორთოპედიული სტომატოლოგიის ძალზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

პროთეზინდუცირებული გართულებების აცილება და ეფექტური, მგრძნობიარე სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების და კორექციის გზების შემუშავება, ამ გართულებების და დაზიანებების განვითარების მოლეკულური მექანიზმების დაწვრილებით შესწავლას მოითხოვს.

ჩვენ **მიზნად** დავისახეთ დაგვედგინა ნაწილობრივი და მთლიანი მოსახსნელი ფირფიტოვანი პროთეზების გამოყენების დროს პირის ღრუში ანთებითი პროცესების ინტენსივობა (ოქსიდაციური სტრესის მაჩვენებლები და ციტოკინური ბალანსი, აპოპტოზის მარკერი) სხვადასხვა საბაზისო მასალის მოსახსნელი პროთეზირების გამოყენების დროს და პროფილაქტიკის ეფექტური ღონისძიებების სქემა.

მასალა და მეთოდები. გამოკვლეული იქნა 60 პაციენტი, რომლებიც ხმარობდნენ პლასტმასის (Ftorax, Perflex Flexi Nylon) ფირფიტოვან პროთეზებს. პაციენტების ნაწილი დაკვირვების პერიოდში ხმარობდა ჩვენს მიერ შემთავაზებულ პირის ღრუსა და პროთეზის მოვლის ჰიგიენური საშუალებებს და ნაწილი – არა.

პაციენტებს ჩაუტარდათ კლინიკური გამოკვლევა (გამოკითხვა, ანამნეზის შეკრება, დათვალიერება, ყბა-კბილთა სისტემის მდგომარეობის ობიექტური შეფასება, თანმხლები დაავადებების არსებობის დაფიქსირება), ვსაზღვრავდით საპროთეზო ველის ცვლილებასა ღრძილის მდგომარეობას, ყბა-ღრუნდის კბილთა რკალის დეფექტების კლასიფიკაციას

ჩვენ შევისწავლეთ პირის ღრუს ნერწყვში ოქსიდაციური მეტაბოლიზმის პარამეტრების და ანთებითი მარკერების მაჩვენებლები სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული მოსახსნელი პროთეზების ხმარების დროს (პროთეზების ჩასმამდე, მაქსიმალური ვაღიზიანების ფაზაში ჩასმიდან მე-3 დღეს და პროთეზების ჩასმიდან 1 თვის შედეგ). ამის მიზნით პაციენტების ნერწყვში შესწავლილი იქნა ანტიოქსიდანტური ფერმენტების (სოდ, კატალაზა) აქტივობა სპექტროფოტომეტრული მეთოდით, ციტოკინების IL1β, IL10 რაოდენობრივი მაჩვენებლები იმუნოფერმენტული ანალიზის მეთოდით და ცილა P53-ის შემცველობას „Cusabio" იმუნოფერმენტული ტესტ-სისტემის საშუალებით.

